ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
18 ივნისი პარასკევი 2010
№ 141 (13 129) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

A ჯგუფი

# მექსიკამ საფრანგეთი დამარხა



» გვერდი 2

# სუპერ არგენტინა

## თითქმის მერვედფინალში




იგუაინის სამი...

B ჯგუფი

» გვერდი 3

B ჯგუფი



## საბერძნეთმა გაიღვიძა...

...მაგრამ ნიგერიას უკეთესი შანსი რჩება

» გვერდი 2

D ჯგუფი

» გვერდი 8





## სერბეთი იჭიმება, ლიოვი ფრთხილობს

C ჯგუფი




## შეცვლილი ინგლისი

» გვერდი 3

A ჯგუფი

# არ გჯეროდათ ზიდანის? ესეც შენ!

17 ივნისი. პოლოკვანი. პიტერ მოკაბა. 30 000 მაყურებელი

**საფრანგეთი–მექსიკა 0:2**

**საფრანგეთი:** ლორისი - სანია, გალასი, აბიდალი, ევრა - ტულალანი, დიაბი - გოვუ (69. ვალბუენა), რიბერი, მალუდა - ანელკა (46. ჟინიაკი).

**მექსიკა:** პერესი - ოსორიო, მორენო, როდრიგესი, სალსიდო - დოს სანტოსი, ხუარესი (55. ერნანდესი), მარკესი, ტორადო, ველა (31. ბარერა) - ფრანკო (62. ბლანკო)

**გოლები:** 0:1 ერნანდესი (64), 0:2 ბლანკო (79-პენ)

**გაფრთხილება:** ფრანკო (5), ტულალანი (45), ხუარესი (48), მორენო (49), აბიდალი (78), როდრიგესი (83)

**მატჩი დაიწყო:** საფრანგეთი; **დარტყმა:** 10(4)-13(5); **ჯარიმა:** 21-21; **კუთხური:** 7-1; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**არბიტრი:** ხალილ ალ გამდი (საუდის არაბეთი)

**საინტერესო მომენტები**

6' - **ფრანკ რიბერიმ** ჯარიმა შეასრულა, **ოსკარ პერესმა** ბურთი ხელებში შეიმაგრა.

8' - **კარლოს ველამ** ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა.

12' - **გილერმო ფრანკომ** არაზუსტად დაარტყა.

18' - **კარლოს სალსიდოს** დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

27' - სალსიდოს **უგო ლორისმა** აჯობა.

33' - ლორისის უხეშ შეცდომას **პაბლო ბარერას** არაზუსტი თავური მოჰყვა.

39' - **ჯოვანი დოს სანტოსმა** ბურთი მიზანს ააცილა.

54' - **ფლორენ მალუდას** ძლიერი დარტყმა მექსიკელთა მეკარემ მოიგერია.

63' - **რაფაელ მარკესის** შორეულ დარტყმას ლორისი გაუმკლავდა.

64' - მარკესმა **ხავიერ ერნანდესი** შენიშნა და მოედნის სიღრმიდან მისი მისამართით შესანიშნავი გადაცემა გააკეთა. ერნანდესმა მეკარე მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა - 0:1.

78' - **ერიკ აბიდალმა** საკუთარ საჯარიმოში ბარერა წააქცია და მსაჯმა პენალტი დანიშნა.

79' - **კვატემოკ ბლანკომ** თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა - 0:2.

თუ ვინმეს **ზინედინ ზიდანის** სიტყვებში ეჭვი ეპარებოდა, უკვე დარწმუნდა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა აბსოლუტურად მართალი იყო - **რაიმონ დომენეკმა** საფრანგეთის ნაკრები ჩიხში შეიყვანა, თანაც ისეთ ჩიხში, საიდან გამოსვლაც ამ მუნდიალზე უკვე წარმოუდგენლად მოჩანს. ასე რომ, იქიდან გუნდის გამოყვანა უკვე **ლორან ბლანს** მოუწევს. ვინ იცის, რამდენი ხანი დასჭირდება სამფეროვანთა ახალ თავკაცს წინამორბედის ბრიყვული ნაბიჯების გამოსასწორებლად.

ტყუილად ელოდნენ საფრანგეთის ეროვნული გუნდის ქომაგები, რომ მათი საყვარელი გუნდი პირველი თამაშის შემდეგ რამეს უკეთესობისკენ შეცვლიდა. ფრანგებმა კვლავ უსახურად და უფანტაზიოდ ითამაშეს და თუკი პირველ ტურში ნულოვან ფრეს მაინც მიაღწიეს, გუშინ ესეც სანატრელი გაუხდათ. საფრანგეთმა, პირველ რიგში, შეტევაში ვერ ივარგა, სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ **ხავიერ აგირეს** გუნდმა აიწყვიტა და მეტოქეს თავბედი აწყევლინა.

შეცვლაზე შესულმა **ერნანდესმა მარკესის** ბრწყინვალე გადაცემა მიიღო, ლორისი იოლად ჩამოიცილა და ანგარიში გახსნა. ეპიზოდი მეტად ეფექტური გამოდგა. ჰგავდა თამაშგარე მდგომარეობას, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ მექსიკას ან გოლი არ ეკუთვნოდა, ან გამარჯვება. ვის ვის და ფრანგებს მსაჯობაზე ხმა არ ამოელებათ.

**ტიერი ანრის** ხელი რომ არა, გუშინ მექსიკის მეტოქე შესაძლოა, არა საფრანგეთი, არამედ ირლანდია ყოფილიყო...

ანრი ვახსენეთ და ვეტერანი ფორვარდი მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ენერგიულად ხურდებოდა, მაგრამ დომენეკისგან მოედანზე შესვლის ნიშანს ვერ ელირსა. სამფეროვანთა მწვრთნელის კრიტიკის ათასი მიზეზი არსებობს, მაგრამ დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ანრის იგნორირებას მას განსაკუთრებით წამოაძახებენ.

შეიძლება, ვჩქარობთ და ფრანგთა უბადრუკ სამერვედფინალო შანსებს ნაადრევად ვუსვამთ ხაზს, მაგრამ გუშინდელმა საღამომ მძაფრად გვაგრძნობინა, რომ საფრანგეთის ნაკრებში დომენეკის ექვსწლიანი ეპოქის დასრულებამდე ერთადერთი თამაშილა დარჩა. შეგახსენებთ, მან ამ თანამდებობაზე ექვსი წელიწადი იმუშავა და თუკი 2006 წელს ზიდანის წყალობით მსოფლიოს ჩემპიონობამდე სულ ცოტა დააკლდა, პოსტზიდანისეულ ხანაში ხელი ყველგან მოეცარა. ორი წლის წინ ფრანგები ევროპის ჩემპიონატის ჯგუფში ჩარჩნენ, ახლა კი მუნდიალზეც იმავე „მიღწევას" უმიზნებენ. მოკლედ, ფრანგული ფეხბურთის მამებმა ჯერ დომენეკის ნაკრებში დანიშვნით დაუშვეს საშინელი შეცდომა, ორი წლის წინ კი მისთვის კონტრაქტის გახანგრძლივებით.



ფრანგებზე საუბარს ამით მოვრჩეთ და გუშინდელი საღამოს ტრიუმფატორებს მივაგოთ კუთვნილი პატივი. ქებათაქება ხავიერ აგირეს! უკვე შეგვიძლია იმის თამამად თქმა, რომ ამ გამოცდილმა და მცოდნე სპეციალისტმა სამხრეთ აფრიკაში ჩინებული გუნდი ჩაიყვანა, რომელსაც ნამდვილად აქვს ბოლო მუნდიალების მიღწევის (ზედიზედ რამდენიმე მერვედფინალი) გაუმჯობესების პოტენციალი. პირველ ტურში მექსიკელებს იდეალური შთაბეჭდილება სულაც არ დაუტოვებიათ, მაგრამ ეს არაფერი, მთავარია, რომ გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას შეძლო თამაშის ხარისხის ერთიათად გაზრდა. გუშინ საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ მექსიკელებს მაღალი დონის შემსრულებლების გარდა, ერთ მუშტად შეკრული გუნდიც ჰყავთ, გუნდი, რომელშიც აგირემ ახალგაზრდა და გამოცდილი მოთამაშეების იდეალური სინთეზი მოახდინა, იქ ერთნაირად მნიშვნელოვანი ფიგურები არიან 21 წლის **დოს სანტოსი** და 37 წლის **ბლანკო**, რომელმაც დაგვიმტკიცა, რომ მუნდიალზე წარსული დამსახურების გამო არ მოხვედრილა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ უნაკლოდ შესრულებული პენალტის წყალობით, 37 წლისა და 151 დღის ბლანკო ასაკით მესამე ფეხბურთელი გახდა, რომელმაც მუნდიალზე გოლი გაიტანა. პირველი რალა თქმა უნდა, **როჟე მილაა** 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გატანილი ბურთით, მეორეზე კი შვედი **გუნარ გრენი** 1958 წლის გოლით

მადლობა მექსიკას, რომელმაც გუშინ მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი გვაჩუქა და სერიოზულ შედეგზე საფუძვლიანი პრეტენზია განაცხადა!

**საუკეთესო მოთამაშე**

რაფაელ მარკესი (მექსიკა)

**უსამართლობა იქნება, რომელიმე მექსიკელს თავგანწირვა არ დაუფასო. გუშინდელ გამარჯვებაში ხომ მოედანზე მყოფმა თითოეულმა ფეხბურთელმა ლომის წილი დაიდო, მაგრამ რაფაელ მარკესი მაინც უნდა გამოვარჩიოთ - მატჩში გარდატეხის შემტან სუპერპასს რომ თავი დავანებოთ, იგი ყოველ წუთს, მოედნის ყოველ გოჯზე ამტკიცებდა თავის ვარსკვლავურ სტატუსს. მარკესმა გუშინ ყველა თავისი საუკეთესო თვისება გამოავლინა - იყო გუნდის ჭეშმარიტი ლიდერი, უნაკლო იყო „შავი სამუშაოს" შესრულებისას და თავისი მდიდარი შემტევი პოტენციალიც სრულყოფილად გამოავლინა.**

**მატჩის შემდეგ**

რაიმონ დომენეკი (საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„სიტყვები არ მყოფნის. შემუშავებული გვქონდა ჩვენი გეგმა, რომელმაც სამწუხაროდ, არ იმუშავა. კარგად ვიცი, რომ შემდეგ ეტაპზე სასწაული თუ გაგვიყვანს, მაგრამ მაინც ვალდებულები ვართ, ბოლო მატჩში რაღაცას მივაღწიოთ".**

ფლორენ მალუდა (საფრანგეთის ნაკრების გარემარბი): **„პირდაპირ ვიტყვი - ასე წაგება სირცხვილია. ამის მიუხედავად, გამარჯვების გარეშე შინ დაბრუნებას არ ვაპირებთ. ეს ღირსების საკითხია".**

ლევან ჯანეზაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| მექსიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| სამხ. აფრიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

**ბოლო ტური**

**22 ივნისი**

მექსიკა-ურუგვაი, 18:00

საფრანგეთი-სამხ. აფრიკა, 18:00

B ჯგუფი

# საბერძნეთმა გაიღვიძა, ნიგერია თავს იკლავს...

## ...მაგრამ არ გამოსდის. აფრიკელებს მერვედფინალში გასვლის საბერძნეთზე უკეთესი შანსი აქვთ

17 ივნისი. ბლუმფონტეინი. ფრი სტეიტი. 31 593 მაყურებელი

**საბერძნეთი–ნიგერია 2:1**

**საბერძნეთი (3-4-1-1-1):** ცორვასი - ა. პაპადოპულოსი, პაპასტატოპულოსი (37. სამარასი), კირიაკოსი - ვინტრა, კაცურანისი, ციოლისი, ტოროსიდისი - კარაგუნისი - სალპინგიდისი - გეკასი (79. ნინისი).

**ნიგერია (4-3-2-1):** ენიემა - ოდია, იობო, შიტუ, ტაივო (56. ეჩიეჯილე/77. აფოლაბი) - არუნა, ეტუჰუ, კაიტა - ოდემვინგი (46. ობასი), კ. უჩე - იაკუბუ.

**გოლები:** 0:1 კ. უჩე (16), 1:1 სალპინგიდისი (44), 2:1 ტოროსიდისი (71)

**გაფრთხილება:** პაპასტატოპულოსი (15), ციოლისი (60), სამარასი (88), ობასი (89).

**გაძევება:** კაიტა (33. ნიგერია)

**მატჩი დაიწყო:** საბერძნეთი; **დარტყმა:** 21(11)-10(3); **ჯარიმა:** 13-14; **კუთხური:** 11-3; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**არბიტრი:** ოსკარ რუისი (კოლუმბია)

საბერძნეთის ნაკრებმა პირველი მატჩი (0:2 სამხრეთ კორეასთან) იმდენად ცუდად ჩაატარა, რომ **ოტო რეჰაგელის** გუნდისგან სახეიროს არავინ არაფერს ელოდა. მით უმეტეს, ნიგერიის ნაკრებთან, რომელსაც არგენტინასთან ცუდად არ უთამაშია (0:1). ვერ ვიტყვით, რომ გუშინ ბერძნებმა იფრინეს, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამოსვლის არცთუ ისე დიდ ისტორიაში, პირველი გამარჯვება მოიპოვეს და ციდან მერვედფინალში გასვლის შანსიც ჩამოუვარდათ.

პირველი ნახევარი საათის მანძილზე ძალიან უსახური ფეხბურთი ვიხილეთ - ისეთი, როგორსაც ამ მუნდიალმა უკვე მიგვაჩვია. გუნდებმა ის არ იკმარეს, რომ დაცვაზე ზედმეტად იყვნენ ორიენტირებულები და ამასთან ერთად, ნერვიულობაც ეტყობოდათ. რაც ასევე მნიშვნელოვანია, ბერძნებსაც და ნიგერიელებსაც ძალიან უჭირდათ შეტევების აწყობა. რეჰაგელმა ძირითადი შემადგენლობაც შეცვალა და ტაქტიკური სქემაც - გუნდი მოედანზე უფრო დაცვითი განლაგებით, 3-4-1-1-1-ით გაიყვანა. ამრიგად, თავდაცვის დროს (და ბერძნები უმეტესად მხოლოდ დაცვაზე ზრუნავდნენ), რეჰაგელს 5 მცველი და სამი საყრდენი ნახევარმცველი ჰყავდა. ამ სამეულიდან ოდნავ წინ მოქმედებდა **კარაგუნისი**, მის წინ შეტევაზე ეულად ზრუნავდა **სალპინგიდისი**, სულ წინ კი, **თეოფანის გეკასი** იდგა. ამასთან, ოტომ **ვინტრა** დაცვის მარჯვენა ფლანგზე დააბრუნა, ცენტრი კი სამი უკანახაზელით, **პაპადოპულოსით, პაპასტატოპულოსით** და **კირიაკოსით** შეკრა. თუ საბერძნეთი უტევდა, მხოლოდ ფლანგებიდან და ისიც ჩანდა, რომ ეს სტრატეგია რეჰაგელს წარმატებას ვერ მოუტანდა, რადგან თავით თამაში, გეკასის მთავარი პლუსი არასდროს ყოფილა.

გასაოცარი ის არის, რომ დაახლოებით ასეთივე სტრატეგია ჰქონდათ ნიგერიელებსაც. არანაირი მოძრავი, მოკლე პასებიანი შეტევები - აფრიკელებიც გრძელი გადაცემებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ნიგერიის ნახევარდაცვა მხოლოდ ათლეტური ფეხბურთისთვის ჩანს „შექმნილი".

შესაბამისად, ლოგიკურია ის, რომ გოლი, რომელიც ნიგერიელებმა გაიტანეს და რომლითაც ანგარიში გაიხსნა, ფაქტობრივად არაფრისგან გავიდა - **უჩეს** ჯარიმით, 30 მეტრიდან. მერე კი მოხდა ის, რის გამოც ნიგერიამ თამაში წააგო და რაც აფრიკელებმა მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალონ: ვგულისხმობთ **კაიტას** გაძევებას, რომელმაც თამაში რადიკალურად შეცვალა. რეჰაგელმა იყნოსა, რომ მატჩის შემოტრიალება რეალურზე რეალური იყო და მაშინვე მოხსნა სამიდან ერთ-ერთი ცენტრალური მცველი პაპასტატოპულოსი, რომელიც თავდამსხმელ **სამარასით** შეცვალა. საბერძნეთმა შეუტია, მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერა და ნიგერიელებიც დაიბნენ! და აბსოლუტურად ლოგიკური იყო ის, რომ ტაიმის მიწურულს ბერძნებმა ანგარიში გაათანაბრეს.

რეჰაგელის გუნდმა მეორე ტაიმში ტემპი ვერ შეინარჩუნა, ნიგერიელებიც უკეთ დალაგდნენ, კონტრიერიშებზე იკბინებოდნენ და უნდა ვთქვათ, რომ ორივე გუნდს შეეძლო თამაშის მოგება. მაგრამ მოიგო საბერძნეთმა - გოლით, რომელიც ნიგერიელთა კარის დარაჯის სინდისზეა. **ვინსენტ ენიემამ** არგენტინასთან რომ მკვდარი ბურთები აილო და მატჩის გმირი გახდა, ერჩივნა, ის ნახტომები საბერძნეთისთვის შემოენახა. ფაქტი ის არის, რომ ამ მატჩის ანტიგმირი სწორედ ენიემაა, რა თქმა უნდა, გაძევებულ კაიტასთან ერთად.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: მიუხედავად მარცხისა, ნიგერიელებს მერვედფინალში გასვლის შანსი მაინც აქვთ და თანაც, საბერძნეთზე უკეთესი! თუ ვივარაუდებთ, რომ არგენტინა ბოლო ტურში საბერძნეთს მოუგებს, ნიგერიას სამხრეთ კორეასთან ნამდვილი ფინალი ელოდება, ფინალი, რომელშიც მოგებული, მეორე ადგილზე, ანუ, მერვედფინალში გავა. მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ **ლარს ლაგერბაკის** გუნდმა ძალიან მოუმატოს. ტაქტიკური დისციპლინის თვალსაზრისით, სამხრეთ კორეა ნიგერიაზე მაღლა დგას.

საბერძნეთს კი არგენტინასთან მინიმუმ ქულა დასჭირდება და შეიძლება, მოგებაც დასჭირდეს და ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ ბერძნებმა „ალბისელესტესთან" წარმატების მიღწევა შეძლონ, რადგან ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება არც არგენტინას აქვს განაღდებული.

**საუკეთესო ფეხბურთელი**

დიმიტრიოს სალპინგიდისი (საბერძნეთი)

**რეჰაგელი 28 წლის სალპინგიდისს ენდო და ამ უკანასკნელმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ოტოს იმედები გაემართლებინა. თავიდან ცოტა ნერვიულობდა, მაგრამ მერე გამოსწორდა და განსაკუთრებით მეორე ტაიმში ითამაშა კარგად. სალპინგიდისი, გეორგიოს კარაგუნისთან ერთად, მოედანზე საუკეთესო იყო და რაც მთავარია, გაიტანა უაღრესად მნიშვნელოვანი გოლი, რომლითაც ბერძნებმა ანგარიში გაათანაბრეს.**

**მატჩის შემდეგ**

ოტო რეჰაგელი (საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი): **„მიხარია, რომ მოვიგეთ და მერვედფინალში გასვლის შანსი შევინარჩუნეთ. არგენტინასთან წარმატების მიღწევა ურთულესი ამოცანაა, მაგრამ ჩვენ ცდას არ დავაკლებთ."**

იოზეფ იობო (ნიგერიის ნაკრები): **„სამხრეთ კორეასთან აუცილებლად უნდა მოვიგოთ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ უკვე გავვარდით, ძალიან ცდება"!**

გოტფრიდ ლენცი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

B ჯგუფი

# სტაბილე, ბატისტუტა, ისევ ბატისტუტა, იგუაინი!

## მარადონა: არგენტინამ თითქმის სრულყოფილი ფეხბურთი ითამაშა

17 ივნისი. იოჰანესბურგი. სოკერ სიტი. 82 000 მაყურებელი

**არგენტინა–ს. კორეა 4:1**

**არგენტინა (4-1-2-1-2):** რომერო - გუტიერესი, დემიკელისი, სამუელი (23. ბურდისო), ჰაინცე - მასკერანო - მაქსი როდრიგესი, დი მარია - მესი - ტევესი (75. აგუერო), იგუაინი (82. ბოლატი).

**სამხრეთ კორეა (4-2-2-1-1):** სუნ-რიონ იუნი - სეოკი, იუნ-ჰიუონ ჩო, იუნ-სუ ლი, იან-ჰიო ლი - იუნ-ვუ კიმი, სუნ-იონ კი (46. ნამ-ილ კიმი) - ჩუნ-იონ ლი, ჟი-სუნ პარკი - კი-ჰუნ იეომი - ჩუ-იან პარკი (81. დონ-გოკ ლი).

**გოლები:** 1:0 ჩუ-იან პარკი (16-საკ. კარში), 2:0 იგუაინი (33), 2:1 ჩუნ-იონ ლი (45+1), 3:1 იგუაინი (76), 4:1 იგუაინი (80)

**გაფრთხილება:** კი-ჰუნ იეომი (10), ჩუნ-იონ ლი (34), გუტიერესი (55), მასკერანო (55), ჰაინცე (74).

**მატჩი დაიწყო:** არგენტინა; **დარტყმა:** 18(8)-16(2); **ჯარიმა:** 19-19; **კუთხური:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

**საინტერესო მომენტები**

16' - არგენტინის ნაკრების ჯარიმა მარცხენა ფლანგიდან: **მესიმ** საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც არეულობაა, **ჩუ-იან პარკი** ვითარებაში ვერ გაერკვია და მისი ფეხიდან ბურთი **სუნ-რიონ იუნის** კარის ბადეში გაეხვია. სამხრეთკორეელთა მეკარეს მოგერიების შანსი არ ჰქონდა.

23' - **ვალტერ სამუელს** კუნთი დაეჭიმა და თამაშის გაგრძელება აღარ შეუძლია. მარადონამ მის ნაცვლად **ბურდისო** გამოიყვანა

33' - ისევ სტანდარტული მდგომარეობა სამხრეთკორეელთა კართან: მესიმ და **მაქსიმ** გაითამაშეს, ამ უკანასკნელმა კი მარცხნიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ბურდისომ ბურთს მიმართულება შორეული ძელისკენ შეუცვალა, სადაც **იგუაინი** აბსოლუტურად მარტოა - 2:0.

45' - სამხრეთკორეელთა მოულოდნელი გოლი პირველი ტაიმის მიწურულს: მეკარის გრძელი პასი, **ჩუ-იან პარკი** ბურთის თავით მიმართულებას უცვლის, **დემიკელისის** შეცდომა, რომლითაც **ჩუნ-იონ ლი** სარგებლობს და 2:1.

54' - **გუტიერესი** არასპორტული საქციელის გამო გააფრთხილეს. ეს მისი მეორე ყვითელი ბარათია მიმდინარე მუნდიალზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საბერძნეთთან დისკვალიფიცირებული იქნება.

76' - შეცვლაზე შესულმა **აგუერომ** ბრწყინვალე პასით მესი დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, ლეოს პირველი დარტყმა მეკარემ მოიგერია, განმეორებითი მცდელობის შემდეგ კი ბურთი ძელს მოხვდა და იგუაინს მიუვიდა, რომელსაც ისღა დარჩენოდა, რომ ბურთი ცარიელ კარში შეეგორებინა - 3:1. გამეორებაზე გამოჩნდა, რომ არგენტინელი თავდამსხმელი თამაშგარე მდგომარეობაში იყო და წესით, გოლი არ უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ ლაინსმენი და მსაჯი შეცდნენ.

80' - „ალბისელესტეს“ ბრწყინვალე კომბინაცია: ამჯერად უკვე მესიმ უპასა აგუეროს, რომელმაც მეკარის საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ბურთს ისევ იგუაინი დახვდა, რომელმაც თავით გადაგზავნა ბურთი კორეელთა კარში - 4:1. მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატის პირველი ჰეთ-თრიკის ავტორი გონსალო იგუაინია!

სამხრეთ კორეამ პირველ ტურში, საბერძნეთის ნაკრებთან მარტივი, მაგრამ იმდენად დისციპლინირებული ფეხბურთი ითამაშა, ვფიქრობდით, რომ აზიელები ჯგუფისა და მთლიანად ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ არგენტინას ჯეროვან წინააღმდეგობას გაუწევდნენ, მაგრამ **დიეგო მარადონას** გუნდმა პირველი თამაშის (1:0 ნიგერიასთან) შემდეგ ერთი-ორად მოუმატა და სამხრეთ კორეას შანსი არ დაუტოვა.

მარადონამ ამჯერად უფრო 4-1-2-1-2-თან მიახლოვებული ტაქტიკური სქემა აირჩია. ტრავმირებული **ვერონის** ადგილი, მოლოდინისამებრ, **მაქსი როდრიგესმა** დაიკავა, ძირითად შემადგენლობაში დარჩა **ხონას გუტიერესიც**. პირველი მატჩისგან განსხვავებით, სასტარტო შემადგენლობაში ცვლილებას მიმართეს კორეელებმაც - მარჯვენა მცველის პოზიციაზე, **დური ჩას** ნაცვლად **სეოკი** ვიხილეთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, არგენტინა კიდევ უფრო მეტად დომინანტის რანგში მოგვევლინა, ვიდრე ნიგერიასთან შეხვედრაში. ბურთსაც „ალბისელესტე“ ფლობდა და მოედანზე მიმდინარე მოვლენებსაც მარადონას ბიჭები აკონტროლებდნენ. დიეგომ ამჯერად შეტევის მარცხენა ფლანგი უფრო მეტად დატვირთა, სადაც სწრაფი, ტექნიკური და დრიბლიორი ფეხბურთელები, მესი და **დი მარია** კომბინირებდნენ.

აღსანიშნავია, რომ პირველი ორივე გოლი არგენტინამ სტანდარტული მდგომარეობებიდან გაიტანა, რაც მარადონას სამწვრთნელო აქტივში უნდა ჩავუთვალოთ. ორივე მატჩის ჯამში აშკარაა, რომ „ალბისელესტეს“ თითქმის ყველა სტანდარტული მდგომარეობა საკმაოდ სახიფათოა. სამხრეთკორეელები კი პირველ ტაიმში თითქმის საერთოდ არ ჩანდნენ და მხოლოდ იმის გამო გამოფხიზლდნენ, რომ არგენტინელთა მცველი **მარტინ დემიკელისი** საბედისწეროდ შეცდა. სწორედ „ბაიერნის“ მცველის შეცდომის ბრალია ის, რომ პირველი ნახევრის მიწურულს სამხრეთ კორეამ სხვაობა შეამცირა. თამაშიდან გამომდინარე კი ეს გოლი აბსოლუტურად ალოგიკური გახლდათ.

ამ გოლმა აზიელებს თავდაჯერება შემატა. **იუნ-მუ ჰუს** გუნდმა მეორე ტაიმი გაცილებით აგრესიულად დაიწყო და ზუსტად ისე, როგორც პირველ ტურში ნიგერიამ, ამ მატჩში სამხრეთ კორეამ გვაჩვენა, რომ არგენტინას დაცვის ხაზში მთლად ისე ვერ აქვს საქმე, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს შეეფერება. სამაგიეროდ, მარადონას გუნდს წინა ხაზი ჰყავს შესანიშნავი - მესამე და მეოთხე გოლები კონტრშეტევებზე გავიდა. შეცვლაზე შესული **სერხიო აგუერო** თამაშში ბრწყინვალედ ჩაერთო და „ალბისელესტეს“ შეტევებს აშკარად შემატა სიცოცხლე. გავრისკავთ და ვიტყვით, რომ მარადონას სიძე უფრო ეფექტურია, ვიდრე **კარლოს ტევესი**. ყოველ შემთხვევაში, კორეასთან მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ტევესისა.

ასეა თუ ისე, ერთი რამ უნდა ითქვას: მეორე მატჩმა უკვე საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ არგენტინა ჭეშმარიტად მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტია. მიუხედავად პრობლემებისა დაცვაში, მთავარი ის არის, რომ გუნდს მარადონას ხელწერა ეტყობა.. „ალბისელესტე“ ფუნქციონირებს როგორც გუნდი და თამაშობს უაღესად შემტევ, ლაღ და ლამაზ ფეხბურთს.

შესაბამისად, თითქოს ლოგიკურიც კია ის, რომ არგენტინას დაცვაში უჭირდეს. სამხრეთ კორეასთანაც გამოჩნდა, რომ „ალბისელესტე“ თავდაცვისას ყოველთვის არ არის კომპაქტური. თანაც, არგენტინას ვერონის სახით, არა მარტო შეტევების მთავარი ორგანიზატორი, არამედ ნახევარდაცვაში **მასკერანოს** დამხმარეც აკლდა - დი მარიას და მაქსი როდრიგესს ხომ „წარმოდგენაც არ აქვთ“, როგორ უნდა ჩაშალონ მეტოქე გუნდის იერიშები. დიეგომ უნდა ილოცოს იმაზე, რომ **ვალტერ სამუელის** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდება, თორემ თუ გუნდს „ინტერის“ მცველი გამოაკლდა, დიდი შანსია, რომ „ალბისელესტეს“ დაცვა კოშმარული გახდეს. თუნდაც იმიტომ, რომ მისი მეწყვილე დემიკელისი არ არის მაინცდამაინც სანდო მცველი, რაც გუშინაც დაამტკიცა.



დიეგო მარადონა და მატჩის გმირი გონსალო იგუაინი

**საუკეთესო ფეხბურთელი**

გონსალო იგუაინი (არგენტინა)

მსოფლიოს ჩემპიონატი იმდენად დუნედ და ცოტა გოლებით მიმდინარეობდა, კინაღამ ვიფიქრეთ, რომ ამ მუნდიალზე ჰეთ-თრიკს საერთოდ ვერ ვნახავდით. მაგრამ არა: მუნდიალი ჰეთ-თრიკების გარეშე გამორიცხულია და პირველის ავტორი გონსალო იგუაინი გახდა. არგენტინელთა მთავარ კოზირად კვლავ მესი რჩება და ლეომ გუშინაც ოთხივე გოლში შეიტანა წვლილი, მაგრამ ყველაზე უკეთ იგუაინი წარმოჩნდა, რომელიც ყოველთვის საჭირო ადგილზე იყო. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ იგუაინი ლეგენდარული არგენტინელი თავდამსხმელების მარაქაში გაერია. აქამდე, მუნდიალზე ჰეთ-თრიკი მხოლოდ ორ არგენტინელს ჰქონდა შესრულებული, აქედან, ერთს ორჯერ: 1930 წელს, ურუგვაიში გამართულ მუნდიალზე არგენტინელთაგან ჰეთ-თრიკი გილერმო სტაბილემ (6:3 მექსიკასთან) შეასრულა, 1994 წელს აშშ-ში გაბრიელ ბატისტუტამ (4:0 საბერძნეთთან) და 1998 წელს საფრანგეთში კვლავ ბატისტუტამ (5:0 იამაიკასთან).

**მატჩის შემდეგ**

დიეგო მარადონა (არგენტინის ნაკრების მწვრთნელი): **„ჩემს ფეხბურთელებს ბრწყინვალე გამარჯვებას ვულოცავ და ამასთან ერთად, მინდა თითოეულ მათგანს მადლობა გადავუხადო იმისათვის, რომ რაც მატჩის წინ მოვილაპარაკეთ, ყველაფერი შეასრულეს. არგენტინის ნაკრებმა თითქმის სრულყოფილი ფეხბურთი ითამაშა“.**

იუნ-მუ ჰუ (სამხრეთ კორეის ნაკრების მწვრთნელი): **„მეორე ტაიმში არგენტინელები ცოტათი მოეშვნენ და ჩვენ თამაშის შემოტრიალება შეგვეძლო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. ახლა კი, ნიგერიასთან უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის, რომლისთვის ძალიან კარგად მოვემზადებით.“**

გოტფრიდ ლენცი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| სამხ. კორეა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| ნიგერია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**ბოლო ტური**

**22 ივნისი**

| | |
|---|---|
| ნიგერია-სამხ. კორეა | 22:30 |
| საბერძნეთი-არგენტინა | 22:30 |

C ჯგუფი

# სახეცვლილი ინგლისი

18 ივნისი. კეიპთაუნი. გრინ პოინტი. 22:30

**ინგლისი–ალჟირი**

საავარაუდო შემადგენლობები

ინგლისი: **გრინი - ჯონსონი, კარაგერი, ტერი, ე. კოული - ლენონი, ლემპარდი, ჯერარდი, ბერი - რუნი, ჰესკი**

ალჟირი: **შაუში - ბუგერა, ჰალიში, იაჰია, ბელჰაჯი - გედიურა, ლასენი, იებდა, ბუდებუზი - ზიანი - მატმური**

არბიტრი: **რ. ირმატოვი (უზბეკეთი)**

ინგლისელები სამხრეთ აფრიკაში საჩემპიონო ამბიციებით ჩავიდნენ, მაგრამ თუ დღესაც ისე ითამაშეს, როგორც სასტარტო მატჩში, მუნდიალის მოგება კი არა, ჯგუფიდან გასვლა გაუხდებათ სათუო. **ფაბიო კაპელოს** გუნდისგან მთელი ინგლისი გამარჯვებას და ამავდროულად, ხარისხიან ფეხბურთს ითხოვს და თუ ინგლისელებს მართლაც შესწევთ პროგრესის გზაზე სიარულის ძალა, ამის დამტკიცება ალჟირთან უფრო უნდა გაუადვილდეთ, ვიდრე გაცილებით ძლიერ ამერიკელებთან.

ალჟირს ბოლომდე მაინც ნუ ჩამოვწერთ, მაგრამ იმასაც გავუსვათ ხაზი, რომ ამ გუნდს მიზერული სამერვედფინალო შანსებიღა დარჩა. თუკი **რაბაჰ საადანის** ფეხბურთელები სლოვენიასთან ვერაფერს გახდნენ, სასწაული უნდა მოხდეს, რომ უმოკლეს დროში ამ გუნდმა ისე მოუმატოს, თუნდაც უგერგილოდ მოთამაშე ინგლისს მოუხერხოს რამე. არადა, უკანდასახევი ...ჭრილია - თუ ალჟირელებს გზაც თიუ... საფლეიოფო პერსპექტივის შენარჩუნება სურთ, დღეს მინიმუმ ფრედ უნდა ითამაშონ.

ინგლისელთა ბანაკში მომხდარ ამბებზე „ლელოს“ ბოლო ნომრებში გამუდმებით ვწერდით, მაგრამ მთავარ ეპიზოდებს მოკლედ მაინც შეგახსენებთ: ამერიკელებთან შეხვედრაში დაშავდა **ლედლი კინგი**, რომელიც ამ მუნდიალზე შეიძლება ველარც ვიხილოთ. **რიო ფერდინანდის** არყოფნით ისედაც დასუსტებულ დაცვის ცენტრში კიდევ უფრო მეტი ხვრელი გაჩნდა და ნაკლებად სავარაუდოა, მათი ამოვსება ვეტერანმა **ჯეიმი კარაგერმა** შეძლოს. ისიც გეხსომებათ, რომ პირველი ტურის მატჩისას კაპელო უკმაყოფილო დარჩა **ჯეიმს მილნერის** თამაშით და ახალგაზრდა ნახევარმცველი ისე შეცვალა, შესვენებას არ დაელოდა. მის ნაცვლად მოედანზე **შონ რაიტ-ფილიპსი** შევიდა, მაგრამ დღეს ძირითადში არც მას ელიან და მით უფრო, არც - მილნერს. სავარაუდოდ, მოედანზე პირველივე წუთებიდან ვიხილავთ **გარეთ ბერის**, რომელსაც ტრავმა ახალი მოშუშებული აქვს და ამის გამო, ამერიკასთან ვერ ითამაშა. გამორიცხული არაა, თავდასხმაში **უეინ რუნის** მეწყვილე შეუცვალონ და ძირითადში **ემილ ჰესკის** ნაცვლად **პიტერ კრაუჩი** გაამწესონ.

და რაც ყველაზე საინტერესოა - ვის დააყენებს კაპელო კარში? იტალიელმა ამის თაობაზე კონკრეტული არაფერი თქვა, მხოლოდ ის აღნიშნა, ძირითად შემადგენლობას ჩვეულებისამებრ, ზედ თამაშის წინ გამოვაცხადებ და ყველაფერს მაშინ შეიტყობთო. ასე რომ, **რობერტ გრინი** კი წერია სავარაუდო შემადგენლობაში, მაგრამ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ მის ნაცვლად ინგლისელთა კარში **დევიდ ჯეიმსს** ვიხილავთ ან **ჯო ჰარტს**.

ალჟირელთა მთავარი მწვრთნელი რაბაჰ საადანი უკმაყოფილო დარჩენილა **ფუედ კადირის** თამაშით და ამიტომაც მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში, სავარაუდოდ, **ადლენ გედიურა** მოხვდება. გრინისა არ იყოს, სლოვენიასთან მატჩში ალჟირელებმაც მეკარის უხეში შეცდომის გამო გაუშვეს გოლი, მაგრამ **ფაუზი შაუში** მწვრთნელთა მხრიდან ძველებური ნდობით სარგებლობს და ამიტომაც ალჟირის ნაკრების კარში დღესაც მას ვიხილავთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუკეთესო ელ გრინში

## ყველაზე, ყველაზე: საუკეთესოები და უარესები

მუნდიალის ჯგუფური ეტაპის შემდეგ სტატისტიკაშიც ჩავიხედოთ. ხშირად, ზუსტად სტატისტიკა გვაძლევს მნიშვნელოვან კითხვებზე სწორ პასუხს, მით უფრო, რომ წლევანდელ მუნდიალზე ყველაფერს დეტალურად ითვლიან, ის რაც ფეხბურთის ანალიტიკოსთა მახვილ თვალს გაეპარა, „კასტროლ ინდექსი“ (რომელიც ოფიციალურად მუშაობს წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის სტატისტიკაზე) დღის სინათლეზე წარმოგვიდგენს.

ჩილეს ნაკრებმა 48-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გაიმარჯვა, შვეიცარიის ნაკრებმა უდიდესი სენსაცია მოახდინა და პირველად მუნდიალზე ვიხილეთ სამი ძმა...

**484** - წუთი გოლის გაუშვებლად მუნდიალზე, ეს შვეიცარიის ნაკრების ახალი მიღწევაა. ხუთი მატჩია ზედიზედ, ამ გუნდს გოლი არ გაუშვია, არადა წინა, 22-ივე მატჩში შვეიცარიის კარში ერთი გოლი მაინც გადიოდა, მოკლედ, ამ გუნდმა დაცვაში თამაში ისწავლა. უკეთესი შედეგი მუნდიალებზე მხოლოდ იტალიას (550 წუთი) და ინგლისს (501) ჰქონიათ, ერთი „მშრალი მატჩი“ და შვეიცარია აბსოლუტურ რეკორდს შესწვდება.

**24** - I ტურში გავიდა 24 გოლი, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, საინტერესოა, რომ ერთმა ფეხბურთელმაც ვერ შეძლო დუბლის შესრულება (პირველად ისტორიაში) - 24 გოლი 24-მა სხვადასხვა მოთამაშემ გაიტანა. მეტიც, დაფიქსირდა 21 საგოლე გადაცემა, 21-ვე სხვადასხვა ფეხბურთელის შესრულებით.

**3** - ჰონდურასის ნაკრების ანუ „ლოს კატრაჩოსის“ რიგებში 3 ძმა პალასიოსი ირიცხება, მას შემდეგ, რაც გუნდს დაემატა ჯერი პალასიოსი, გუნდში ისედაც იყვნენ ფორვარდის ორი უფროსი ძმა ვილსონი და ჯონი. ტრიოს ნაცვლად შეიძლებოდა ძმები პალასიოსების კვარტეტიც გვეხილა, 29 წლის მილტონ პალასიოსიც, რომ მიეწვიათ გუნდში (მას 14 მატჩი აქვს ნაკრებში ჩატარებული). პალასიოსების საფეხბურთო ოჯახს სამი წლის წინათ დიდი ტრაგედია შეემთხვა - მეხუთე ძმა, ისიც ფეხბურთელი ედვინი ბანდიტებმა სახლიდან გაიტაცეს და მიუხედავად იმისა, რომ ოჯახმა გამოსასყიდი (დაახლოებით 150 ათასი დოლარი) გადაიხადა, 16 წლის ბიჭი მაინც მოკლეს, მისი ცხედარი კი მთებში მხოლოდ შარშან იპოვეს.

4 - მოგება და 2 ფრე - ასეთია სამხრეთამერიკელთა მიღწევა მუნდიალის პირველ ტურში. საშუალოდ 2,33 ქულა, რაც საუკეთესო შედეგია და ბევრად სჯობს ევროპელთა, ჩრდილოამერიკელთა, აზიელთა და აფრიკელთა მიღწევას.

ვფიქრობთ, ზედმეტი ტექსტით აღარ დაგტვირთავთ და ჩვენ მიერ შერჩეულ სტატისტიკურ მონაცემებს შემოგთავაზებთ. ბოლოს კი ამ მონაცემებზე დაყრდნობით, საკუთარ დასკვნებსაც წარმოგიდგენთ.



გაბრიელ ჰაინცე

## I ტურის სტატისტიკა

### ინდივიდუალური

#### კარისკენ დარტყმა

| | | |
|---|---|---|
| 8 | მესი | არგენტინა |
| 6 | რობინიო | ბრაზილია |
| 6 | ლამპარდი | ინგლისი |
| 6 | ჩ. პარკი | ს. კორეა |
| 5 | ფორლანი | ურუგვაი |

(5-5-ჯერ დაარტყა კიდევ შვიდმა ფეხბურთელმა)

#### კარში დარტყმა

| | | |
|---|---|---|
| 4 | მესი | არგენტინა |
| 3 | კლოზე | გერმანია |
| 3 | დოს სანტოსი | მექსიკა |
| 3 | გიანი | განა |
| 3 | მონტოლივო | იტალია |

(კიდევ ერთმა ფეხბურთელმა კარში 3-ჯერ დაარტყა)

#### ხარიხა

| | | |
|---|---|---|
| 1 | მბია | კამერუნი |
| 1 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 1 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |

#### ძელი

| | | |
|---|---|---|
| 2 | გიანი | განა |
| 1 | მფელა | ს. აფრიკა |
| 1 | ელია | ჰოლანდია |
| 1 | რონალდო | პორტუგ. |
| 1 | ოკაზაკი | იაპონია |

(კიდევ ერთმა ფეხბურთელმა გაარტყა ძელს)

#### საჯარიმო დარტყმა

| | | |
|---|---|---|
| 2 | ლამპარდი | ინგლისი |
| 2 | რონალდო | პორტუგ. |
| 2 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 1 | გიანი | განა |
| 1 | ბელჰაჯი | ალჟირი |

(კიდევ თხუთმეტმა ფეხბურთელმა დაარტყა თითო საჯარიმო)

#### დარტყმის სიზუსტე (%)

(2 და მეტი ზუსტი დარტყმის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 100% | ჰონდა | იაპონია |
| 100% | პიკე | ესპანეთი |
| 100% | ნილმარი | ბრაზილია |
| 100% | ჯ. პარკი | ს. კორეა |
| 75% | დოს სანტოსი | მექსიკა |

#### ზუსტი დარტყმა

(საჯარიმოდან)

| | | |
|---|---|---|
| 3 | გიანი | განა |
| 3 | კლოზე | გერმანია |
| 2 | დოს სანტოსი | მექსიკა |
| 2 | ელანო | ბრაზილია |
| 2 | მესი | არგენტინა |

#### ზუსტი დარტყმა

(საჯარიმოს გარედან)

| | | |
|---|---|---|
| 3 | მონტოლივო | იტალია |
| 2 | ნუნიესი | ჰონდურასი |
| 2 | ჩ. პარკი | ს. კორეა |
| 2 | მესი | არგენტინა |
| 2 | ბირსა | სლოვენია |

#### სოლორეიდი

| | | |
|---|---|---|
| 11 | მაიკონი | ბრაზილია |
| 11 | რობინიო | ბრაზილია |
| 8 | ტევესი | არგენტინა |
| 8 | კაკა | ბრაზილია |
| 8 | მესი | არგენტინა |

#### ზუსტი პასი

მეტოქის საჯარიმოში

| | | |
|---|---|---|
| 4 | მაიკონი | ბრაზილია |
| 3 | მესი | არგენტინა |
| 3 | ინიესტა | ესპანეთი |
| 3 | ჩავი | ესპანეთი |
| 3 | ფერნანდესი | ჩილე |

(კიდევ ორმა ფეხბურთელმა გააკეთა 3 ზუსტი პასი მეტოქის საჯარიმოში)

#### თამაშგარე

| | | |
|---|---|---|
| 4 | ჰესკი | ინგლისი |
| 3 | სუარესი | ურუგვაი |
| 3 | იოზილი | გერმანია |
| 3 | ანელკა | საფრანგეთი |
| 3 | ვან პერსი | ჰოლანდია |

#### ბურთის დაკარგვა

(მეკარეთა გარდა)

| | | |
|---|---|---|
| 8 | სეიტარიდისი | საბერძ. |
| 7 | მიულერი | გერმანია |
| 6 | ტაგოე | განა |
| 6 | კაპდევილა | ესპანეთი |
| 6 | ჯონსონი | ინგლისი |

(კიდევ ოთხმა ფეხბურთელმა დაკარგა ბურთი 6-ჯერ)

#### ნაგებული ორთაბრძოლა

| | | |
|---|---|---|
| 5 | რუნი | ინგლისი |
| 4 | ვერა | პარაგვაი |
| 3 | ალვარესი | ჰონდურასი |
| 3 | ოდია | ნიგერია |
| 3 | კასერესი | პარაგვაი |

(კიდევ ორმა ფეხბურთელმა წააგო ორთაბრძოლა 3-ჯერ)

#### ჩაჭრა

| | | |
|---|---|---|
| 5 | ალკარასი | პარაგვაი |
| 5 | და სილვა | პარაგვაი |
| 5 | გრიხტინგი | შვეიცარია |
| 5 | გალასი | საფრანგეთი |
| 4 | ბონეტი | პარაგვაი |

(კიდევ ხუთმა ფეხბურთელმა 4-ჯერ ჩაჭრა ბურთი)

#### ართმევა

(გუნდისთვის დაბრუნებული ბურთი)

| | | |
|---|---|---|
| 4 | ა. პერეირა | ურუგვაი |
| 4 | მასკერანო | არგენტინა |
| 3 | ინლერი | შვეიცარია |
| 3 | მერტეზაკერი | გერმანია |
| 3 | ი. რი | ჩ. კორეა |

(კიდევ ოთხმა ფეხბურთელმა მეტოქეს ბურთი აართვა 3-ჯერ)

#### მოგებული ორთაბრძოლა

| | | |
|---|---|---|
| 3 | მასკერანო | არგენტინა |
| 3 | ა. პერეირა | ურუგვაი |
| 2 | კანავარო | იტალია |
| 2 | ი. რი | ჩ. კორეა |
| 2 | იებდა | ალჟირი |

(კიდევ 9 ფეხბურთელმა მოიგო ორთაბრძოლა 2-ჯერ)

#### სეივი*

| | | |
|---|---|---|
| 8 | მ. რი | ჩ. კორეა |
| 7 | ბენალიო | შვეიცარია |
| 7 | ჰოვარდი | აშშ |
| 6 | ენიეამა | ნიგერია |
| 5 | შვარცერი | ავსტრალია |

(კიდევ ერთმა ფეხბურთელმა შეასრულა 5 სეივი)

#### გაძევება (1)

კეჰილი (ავსტრალია)

#### ორი ყვითელი ბარათი (3)

გეზალი (ალჟირი), ლუკოვიჩი (სერბეთი), ლოდეირო (ურუგვაი)

#### დაჯარიმდა

| | | |
|---|---|---|
| 6 | დიაბი | საფრანგეთი |
| 6 | კალენბერგი | დანია |
| 6 | ტაგოე | განა |
| 5 | მბია | კამერუნი |
| 5 | ჰონდა | იაპონია |

(კიდევ 6 ფეხბურთელი დაჯარიმდა 5-ჯერ)

#### მასზე დაჯარიმდნენ

| | | |
|---|---|---|
| 7 | ნაკაზავა | იაპონია |
| 6 | სანჩესი | ჩილე |
| 6 | ჰონდა | იაპონია |
| 6 | ვან ბომელი | ჰოლანდია |
| 6 | ოკუბო | იაპონია |

#### ხელით თამაში

(მეკარეების გარდა)

| | | |
|---|---|---|
| 2 | იაკინი | შვეიცარია |
| 2 | ალტიდორი | აშშ |
| 1 | დინდანე | კოტ დივ. |
| 1 | ჰესკი | ინგლისი |
| 1 | ჟილარდინო | იტალია |

(კიდევ 28 ფეხბურთელმა ითამაშა ხელით ერთხელ)

#### პასი

| | | |
|---|---|---|
| 110 | მაიკონი | ბრაზილია |
| 105 | ბაშტოში | ბრაზილია |
| 95 | კაპდევილა | ესპანეთი |
| 92 | მელო | ბრაზილია |
| 92 | ჩავი | ესპანეთი |

#### ზუსტი პასი

| | | |
|---|---|---|
| 92 | მაიკონი | ბრაზილია |
| 89 | ბაშტოში | ბრაზილია |
| 84 | მელო | ბრაზილია |
| 77 | კაპდევილა | ესპანეთი |
| 71 | ლამი | გერმანია |

#### პასის სიზუსტე (%)

(50 და მეტი პასის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 96% | სესარი | სლოვენია |
| 94% | როდრიგესი | მექსიკა |
| 91% | დე იონგი | ჰოლანდია |
| 91% | მელო | ბრაზილია |
| 91% | ჟილბერტო სილვა | ბრაზ. |

#### ჩანოდება

| | | |
|---|---|---|
| 10 | მიულერი | გერმანია |
| 9 | ნავასი | ესპანეთი |
| 9 | ელანო | ბრაზილია |
| 9 | უილკშირი | ავსტრალია |
| 8 | სეიტარიდისი | საბერძ. |

(კიდევ სამმა ფეხბურთელმა ჩააწოდა 8-ჯერ)

#### ზუსტი ჩაწოდება

| | | |
|---|---|---|
| 3 | პეპე | იტალია |
| 3 | ლამპარდი | ინგლისი |
| 3 | ებუე | კოტ დივუარი |
| 3 | უილკშირი | ავსტრალია |
| 3 | მიულერი | გერმანია |

(კიდევ ერთმა ფეხბურთელმა ჩააწოდა ზუსტად 3-ჯერ)

#### აუტი

| | | |
|---|---|---|
| 21 | ძამბროტა | იტალია |
| 17 | ვან დერ ვილი | ჰოლანდია |
| 15 | ივანოვიჩი | სერბეთი |
| 14 | მაიკონი | ბრაზილია |
| 14 | ბრეჩკო | სლოვენია |

#### კუთხური

| | | |
|---|---|---|
| 10 | ჩავი | ესპანეთი |
| 6 | პეპე | იტალია |
| 6 | მესი | არგენტინა |
| 6 | ვაისი | სლოვაკეთი |
| 6 | კარაგუნისი | საბერძნ. |

(კიდევ ერთმა ფეხბურთელმა მოაწოდა 6 კუთხური)

#### ზუსტი კუთხური

(ბურთი მიიღო თანაგუნდელმა)

| | | |
|---|---|---|
| 5 | ჩავი | ესპანეთი |
| 4 | ლამპარდი | ინგლისი |
| 4 | ვაისი | სლოვაკეთი |
| 3 | ებუე | კოტ დივუარი |
| 3 | უილკშირი | ავსტრალია |

(კიდევ ერთმა ფეხბურთელმა ჩააწოდა კუთხური 3-ჯერ ზუსტად)

#### კუთხურის სიზუსტე

(2 და მეტი კუთხურის შემთხვევაში

| | | |
|---|---|---|
| 100% | მ. როდრიგესი | არგენტ. |
| 100% | ელიოტი | ავსტრალ. |
| 100% | კალენბერგი | დანია |
| 100% | მალუდა | საფრანგ. |
| 80% | ლამპარდი | ინგლისი |

#### მოკლე პასის სიზუსტე

(10 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 100% | რიბერი | საფრანგ. |
| 100% | ჟ. სილვა | ბრაზილია |
| 100% | ზოკორა | კოტ დივ. |
| 100% | დ. ალვეში | ბრაზილია |
| 100% | ზიანი | ალჟირი |

(კიდევ 2 ფეხბურთელი 100%-იანი შედეგით)

#### საშუალო პასების სიზუსტე

(10 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 100% | კინგსონი | განა |
| 100% | სტოიკოვიჩი | სერბეთი |
| 100% | ჰეიტინგა | ჰოლანდია |
| 100% | ზოკორა | კოტ დივ. |
| 100% | ედუარდო | პორტუგ. |

(კიდევ 4 ფეხბურთელი 100%-იანი შედეგით)

#### გრძელი პასების სიზუსტე

(10 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 100% | ბადშტუბერი | გერმანია |
| 94% | პიკე | ესპანეთი |
| 91% | მარკეტი | იტალია |
| 89% | მელო | ბრაზილია |
| 87% | როდრიგესი | მექსიკა |

#### გაირბინა

| | | |
|---|---|---|
| 12 927 | ვალერი | ავსტრალია |
| 12 608 | ტორადო | მექსიკა |
| 12 258 | ხედირა | გერმანია |
| 12 244 | ფერნანდესი | შვეიც. |
| 12071 | შვაინშტაიგერი | გერ. |

#### მაქსიმალური სისწრაფე

| | | |
|---|---|---|
| 31,1 კმ/სთ | ობინა | ნიგერია |
| 30,9 კმ/სთ | იგუაინი | არგენტინა |
| 30,1 კმ/სთ | ფინდლი | აშშ |
| 30,1 კმ/სთ | ნაგამოტო | იაპონია |
| 30,1 კმ/სთ | ჩუპო | კამერუნი |

#### აქტიური ფაზა

| | | |
|---|---|---|
| 632 | ვალერი | ავსტრალია |
| 592 | ტორადო | მექსიკა |
| 584 | ხუარესი | მექსიკა |
| 567 | უილკშირი | ავსტრალ. |
| 536 | ფერნანდესი | შვეიც. |

### გუნდური

#### გოლი

| | |
|---|---|
| 4 | გერმანია |
| 2 | ს. კორეა |
| 2 | ჰოლანდია |
| 2 | ბრაზილია |
| 1 | არგენტინა |

(კიდევ 14 გუნდი 1 გოლით)

#### გოლი საჯარიმოდან

| | |
|---|---|
| 4 | გერმანია |
| 2 | ბრაზილია |
| 2 | ს. კორეა |
| 1 | ახ. ზელანდია |
| 1 | მექსიკა |

(კიდევ 10 გუნდი 1 გოლით)

#### დარტყმა

| | |
|---|---|
| 26 | ბრაზილია |
| 24 | ესპანეთი |
| 20 | არგენტინა |
| 20 | ჩილე |
| 18 | ინგლისი |

(კიდევ 3 გუნდი 18 დარტყმით)

#### კარში დარტყმა

| | |
|---|---|
| 10 | გერმანია |
| 10 | ბრაზილია |
| 8 | ინგლისი |
| 8 | ესპანეთი |
| 7 | ს. კორეა |

(კიდევ 2 გუნდი კარში 7 დარტყმით)

#### დარტყმის სიზუსტე

| | |
|---|---|
| 100% | იაპონია |
| 62% | გერმანია |
| 57% | სლოვენია |
| 50% | იტალია |
| 44% | ინგლისი |

#### შეტევა

| | |
|---|---|
| 19 | ბრაზილია |
| 18 | ესპანეთი |
| 16 | არგენტინა |
| 16 | მექსიკა |
| 15 | საფრანგეთი |

(კიდევ 1 გუნდი 15 შეტევით)

#### შეტევა

მარცხენა ფლანგიდან

| | |
|---|---|
| 10 | იტალია |
| 10 | არგენტინა |
| 7 | ს. კორეა |
| 7 | საფრანგეთი |
| 6 | ესპანეთი |

შეტევა ცენტრიდან

| | |
|---|---|
| 7 | ინგლისი |
| 7 | განა |
| 6 | მექსიკა |
| 6 | საფრანგეთი |
| 5 | ჩ. კორეა |

(კიდევ 3 გუნდი ცენტრიდან 5 შეტევით)

მარჯვენა ფლანგიდან

| | |
|---|---|
| 9 | გერმანია |
| 9 | ბრაზილია |
| 8 | მექსიკა |
| 7 | ესპანეთი |
| 6 | ჩილე |

#### თამაშგარე

| | |
|---|---|
| 7 | გერმანია |
| 6 | მექსიკა |
| 5 | ინგლისი |
| 4 | ურუგვაი |
| 4 | ჰოლანდია |

(კიდევ 4 გუნდი 4 თამაშგარეთი)

#### სოლორეიდები

| | |
|---|---|
| 40 | ბრაზილია |
| 26 | საფრანგეთი |
| 25 | არგენტინა |
| 22 | ესპანეთი |
| 18 | იტალია |

#### ზუსტი პასი საჯარიმოში

| | |
|---|---|
| 15 | ესპანეთი |
| 12 | ჩილე |
| 8 | ჰოლანდია |
| 8 | ბრაზილია |
| 8 | კამერუნი |

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# საუკეთესო ელ გრინგო

## ყველაზე, ყველაზე: საუკეთესოები და უარესები

| ჩაქრა | |
|---|---|
| 24 | პარაგვაი |
| 17 | შვეიცარია |
| 14 | ჩ. კორეა |
| 12 | იტალია |
| 12 | ურუგვაი |

| მოგებული ორთაბრძოლა | |
|---|---|
| 6 | ჩ. კორეა |
| 5 | ალჟირი |
| 5 | იტალია |
| 5 | ურუგვაი |
| 5 | დანია |

| გაფრთხილება | |
|---|---|
| 4 | შვეიცარია |
| 3 | ავსტრალია |
| 3 | ინგლისი |
| 3 | აშშ |
| 3 | საფრანგეთი |

| დაჯარიმდა | |
|---|---|
| 29 | კამერუნი |
| 21 | ჩილე |
| 21 | შვეიცარია |
| 20 | დანია |
| 20 | საფრანგეთი |

(კიდევ 1 გუნდი 20 ჯარიმით)

| ხელით თამაში (მეკარის გარდა) | |
|---|---|
| 4 | ჰოლანდია |
| 3 | აშშ |
| 2 | ინგლისი |
| 2 | შვეიცარია |
| 2 | სერბეთი |

(კიდევ 5 გუნდი ხელით 2-ჯერ თამაშით)

| ზუსტი პასი | |
|---|---|
| 595 | ბრაზილია |
| 527 | ესპანეთი |
| 474 | გერმანია |
| 427 | იტალია |
| 406 | არგენტინა |

| პასის სიზუსტე | |
|---|---|
| 83% | ბრაზილია |
| 79% | ჰოლანდია |
| 79% | მექსიკა |
| 79% | პორტუგალია |
| 77% | ესპანეთი |

| ჩაწოდება | |
|---|---|
| 42 | ესპანეთი |
| 31 | ბრაზილია |
| 23 | იტალია |
| 22 | ინგლისი |
| 21 | კოტ დივუარი |

(კიდევ 2 გუნდი 21 ჩაწოდებით)

| კუთხური | |
|---|---|
| 12 | ესპანეთი |
| 11 | საბერძნეთი |
| 10 | სლოვაკეთი |
| 10 | არგენტინა |
| 8 | ინგლისი |

(კიდევ 1 გუნდი 8 კუთხურით)

| დისტანცია | |
|---|---|
| 119 913 | შვეიცარია |
| 116 188 | მექსიკა |
| 113 489 | ავსტრალია |
| 112 073 | გერმანია |
| 109 940 | იაპონია |

**მატჩები**

1,6 გოლი მატჩში

| ყველაზე მეტი დარტყმა | |
|---|---|
| 37 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 32 | ესპანეთი-შვეიცარია |
| 31 | ინგლისი-აშშ |
| 31 | არგენტინა-ნიგერია |
| 29 | სერბეთი-განა |

| ყველაზე მეტი დარტყმა კარში | |
|---|---|
| 13 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 12 | ინგლისი-აშშ |
| 12 | გერმანია-ავსტრალია |
| 11 | ესპანეთი-შვეიცარია |
| 10 | ჰოლანდია-დანია |

(კიდევ 1 მატჩი 10 ზუსტი დარტყმით)

| ყველაზე მეტი შეტევა | |
|---|---|
| 28 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 26 | ს. აფრიკა-მექსიკა |
| 23 | ს. კორეა-საბერძნეთი |
| 23 | გერმანია-ავსტრალია |
| 23 | ინგლისი-აშშ |

| სოლორეიდები | |
|---|---|
| 50 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 36 | არგენტინა-ნიგერია |
| 33 | ესპანეთი-შვეიცარია |
| 33 | ურუგვაი-საფრანგეთი |
| 29 | გერმანია-ავსტრალია |

| ორთაბრძოლა | |
|---|---|
| 18 | იტალია-პარაგვაი |
| 18 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 15 | ინგლისი-აშშ |
| 14 | ალჟირი-სლოვენია |
| 13 | ურუგვაი-საფრანგეთი |

(კიდევ 1 მატჩი 13 ორთაბრძოლით)

| ყველაზე უხეში თამაში | |
|---|---|
| 49 | იაპონია-კამერუნი |
| 36 | ჰონდურასი-ჩილე |
| 33 | ჰოლანდია-დანია |
| 33 | ურუგვაი-საფრანგეთი |
| 32 | ახ. ზელანდია-სლოვაკეთი |

| დისტანცია | |
|---|---|
| 235 041 | ს. აფრიკა-მექსიკა |
| 225 562 | გერმანია-ავსტრალია |
| 224 181 | ესპანეთი-შვეიცარია |
| 216 145 | იტალია-პარაგვაი |
| 215 672 | ინგლისი-აშშ |

**კასტროლ ინდექსი**

| 5 საუკეთესო მეკარე | | |
|---|---|---|
| 9.22 | ნოიერი | გერმანია |
| 9.15 | იუნი | ს. კორეა |
| 8.74 | ბარი | კოტ დივ.ი |
| 8.56 | კავაშიმა | იაპონია |
| 8.42 | ბენალიო | შვეიცარია |

| 5 საუკეთესო მცველი | | |
|---|---|---|
| 9.51 | ჰაინცე | არგენტინა |
| 9.33 | პონსე | ჩილე |
| 9.20 | ალკარასი | პარაგვაი |
| 9.19 | ვან დერ ვილი | ჰოლანდია |
| 9.19 | მედელი | ჩილე |

| 5 საუკეთესო ნახევარმცველი | | |
|---|---|---|
| 9.06 | ჯ. პარკი | ს. კორეა |
| 8.89 | მიულერი | გერმანია |
| 8.74 | დე როსი | იტალია |
| 8.71 | ჯერარდი | ინგლისი |
| 8.46 | ჰონდა | იაპონია |

| 5 საუკეთესო ფორვარდი | | |
|---|---|---|
| 8.90 | კუიტი | ჰოლანდია |
| 8.52 | ბოსეჟური | ჩილე |
| 8.31 | მესი | არგენტინა |
| 8.01 | ვიტეკი | სლოვაკეთი |
| 7.98 | ჩ. პარკი | ს. კორეა |

### გაბრიელ ჰაინცეს სტატისტიკა

1 გოლი 1 დარტყმიდან; არ დაჯარიმებულა; 52 პასი - 40 ზუსტი (76,9%); 1 ჩაწოდება; ყველაზე მეტი პასი (10) მიაწოდა სამუელს; ყველაზე მეტი პასი (11) მიიღო მასკერანოსგან; გაირბინა 9 543 მეტრი.

მაშ ასე, მცირე ჩვენეული დასკვნები სტატისტიკაზე დაყრდნობით

**1.** ესპანეთის ნაკრებმა წააგო იმიტომ, რომ... ყველაზე ნელ ფეხბურთს თამაშობდა, ვერ იყო ზუსტი პასებში და ძალზე ცუდად ითამაშეს ინდივიდუალურად **ჩავიმ** (I ტაიმში), **ვილიამ, სილვამ, ტორესმა** და **პედრომ.**

**2.** ყველაზე ცუდი მეკარე I ტურში იყო ალჟირის ნაკრების გოლკიპერი **ფაუზი ჩაუჩი** და არა **რობერტ გრინი.** თქვენ წარმოიდგინეთ, გრინზე უარესად 7-მა მეკარემ ითამაშა, მათ შორის **ჟულიო სეზარმა** და **ჯანლუიჯი ბუფონმა.**

**3.** მცველთა შორის ყველაზე ცუდად ითამაშეს მასპინძელთა მარცხენა მცველმა **ლუკას თვალამ** და დანიელმა **სიმონ პოულსენმა** (3.96 „კასტროლ ინდექსი").

**4.** ნახევარმცველთაგან „გამოვარჩევთ" **კუზმანოვიჩს, ლოდეიროს, უჩეს** და **ინამოტოს.**

**5.** ცნობილ შემტევთაგან უარესები იყვნენ: **როკე სანტა კრუსი** (პარაგვაი), **იასპერ გრონკიაერი** (დანია), **ხავიერ ერნანდესი** (მექსიკა), **აბდელკადერ ღეზალი** (ალჟირი) და **დიდიე დროგბა** (კოტ დივუარი).

**6.** ყველაზე ცუდი მატჩი მუნდიალზე იყო ალჟირისა და სლოვენიის ნაკრებთა დაპირისპირება, სადაც სულ 8 შეტევა დაფიქსირდა. ამავე მაჩვენებლით ყველაზე კარგი მატჩი ბრაზილიის ნაკრებისა და ჩრდილოეთ კორეის გუნდის დაპირისპირება (28 შეტევა) იყო, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი გუნდი უტევდა, უფრო თანაბარ მატჩებში კი გახსნის შეხვედრას გამოვარჩევთ.

**7.** ვფიქრობთ, სტატისტიკაში კირკიტი არ არის საჭირო იმის სათქმელად, რომ I ტურის საუკეთესო ნაკრები გერმანიისა იყო. უარესი ნაკრები კი ალჟირისაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

** - მეკარის მიერ აღებული ან მოგერიებული ბური*







ვუვუზაანთ კაკოს ჩანაწერები

# იმ ბრაზილიაი დავაშხი ლაფი...

...ჰოდა, გამოვიდა მაიკონი, იმის მოღრეცილ ფეხ შამოვევლე და იფიქრა, მოდი იქ რო ბოტკინივით ყვითელი რალაც მირბის, ჩემიანი იქნება სამბაი მაიკითა და ბურთსაც იმაი მივაწვდიო. ფეხი მაიქნია... მაიქნია, მაგრამა მოღრეცილი გამაადგა - ხო იცი ფეხბურთელებ ფეხები მუთაქა ჯემალაი გოგოსავით დაღრეცილი აქვთ - ჰოდა, ბურთმაც ვერაფერი გაიგო, ჩემი ვირი ტაჩკის ბორბალივით დაბზრიალდა და კომუნისტების კარშიც შაეგლიჯა. ეხლა, ის, ვისაც ეს ბურთ აძლემდა ან იყო ბრაზილიელი ყვითელი მაიკითა ანაც - არა. უფრო კორეელი იქნებოდა ყვითელი კანი ფერითა, მაგრამ მაგაი ველარავის ათქმევინებ. მაგაი კი არა, იმაი ველარ ათქმევინებ, რო კარში კი არ უბაზუნებდა, პასს აძლემდა. მაგარი ვარო, გეტყვის.

ისე, იმ ბრაზილიაი დავასხი თავზე ჩვენი სოფლი ბირჟის ქვეით რო ლაფია, კორეასთან ოფლ რო გამაიდენს. მაიკონსა ყარაული თოფივით რომ არ გავარდნოდა, კორეელებ გოლ ვერ უტანდა, კაცო! ჩემმა დედაკაცმა მითხრა, ეგენი სხვა ხალხია, გამაიყვანენ ვინმე ზარბაზანიოსა და ის შააგდებსო. ვის გამაიყვანენ-მეთქი, ქალო, თუკი იმ ბრაზილიაში ვინმემ დაგრეხილი ფეხბურთის თამაშის იცოდა, ყველა სახლში დატოვეს და მარტო ჩემნაირი მუტრუკები ჰყამთ-მეთქი წამოყვანილი. არა, ქა, რას ამბობო. რას ამბობოოო... გავაფრინე და გავაფრინე. სუ გამახსენდა ყველაფერი სიდედრზეცა და სიმამრზეცა... რძალი მეხვეწებოდა - თავი დაანებე, ამაი ფეხბურთი რა იცის, რალაცეებსა როშამს და გულ ნუ იცხელებო. ამ დროს იყო, მაიკონმა პასი რო გადააწოდა.

მერმე იყო ესპანეთი... ვაი, ვაი, ვაი... ნეტა ეგ არ მენახა და მართლა სიძეი დავხმარებოდი კარბურატორის გაწმენდაში. შესტი ჰყამს, დარბის, ვენაცვალე, ვენახში, ბენზინ თუ ჩაუსხამ ჩემ ჯორსაც ჯობიან. წამო, დამეხმარეო. მე ვუთხარი, მამაცხონებული, დაეგდე, ფეხბურთ შეხედე, ესპანეთი თამაშობს, ეგეთ ფეხბურთ მეორედ ვინ განახვებს-მეთქი. არაო. არა და, მე არ წამოვალ-მეთქი. ვენახში წაყვანა დაგჭირდებაო. ვითამ რათა, ჩემ ვირ ზეთი დააკლდება და სტუკ მისცემს თუ, ეგ შენი ჯართი რათ დამჭირდება-მეთქი. არადა ვიცი, იმისი შესტი ჩემ ვირ ჯობია. მოკლედ, არ გავყევ. დავჯექი და... ინგრეთ გუნებაზე დამაყენეს, ინგრეთ გუნებაზე... ცოლ ხო ვაგინე (მაგ დროს მახსენდება ხოლმე სიდედრიცა და სიმამრიც), ბოროტი მაყვალა შემოვიდა, იმაიც ხო ვაგინე, შვილ ვაგინე და მერე სათითაოდ ყველა ესპანელის გინებასაც შავუდექი: ეს იქაური გამგებლისა-მეთქი, ესეც კიდევ იქაური ტრაქტორისტის ცოლისა-მეთქი, სხვა იქაური მუთაქა ჯემალასი და ჩემი სიძისა-მეთქი. იმდენი ვიგინე, სანამ გული არ გავიხარე. ხო იცი, რო იგინები, გიხარია კაცსა.

იმ დღეი კიდევ, ქალაქიდან მეორე სიძე იყო ჩამოსული და არგენტინაო... ეგონა, გადავირევოდი და ოცლიტრიან გავატანდი. კიდე მაქ დარჩენილი შარშანდელი მოსავლისა. ვინა-მეთქი? ვინა და არგენტინაო. ეგ რომელი, ორი ნაწნავიანი რო ჰყამს-მეთქი? ეგ რო ვთქვი, გაბრაზდა. შენაო ეხლანდელი ცხოვრება არ გესმისო. დარია თუ ავდარია, მესი მაგარიაო. ეგ მესი რომელია, კარში რო ველარ უმიზნებს-მეთქი? ეგრე რათ ამბობ, მეწყინებაო. მე ვუთხარი, რათ უნდა გეწყინოი, ტყუილი რა ვთქვი, ეგ მესი „ბარსელონაში" უმიზნებს, მაგრამა ჩაუვარდება თუ არა იმ სულელ ხელში, იმაი მიზანი უფუჭდება და მე გუნება-მეთქი.

არ გავატანე, მოკლედ, ოცლიტრიანი. ეწყინა და წავიდა. წავიდა და დავრჩი. დავრჩი და დავიბოლმე. დავიბოლმე და გამახსენდა სიდედრიცა და სიმამრიც. მე ვუთხარი, დედაკაცო, შენი...

**ვუვუზაანთ კაკოი**

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანელი ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
ალმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ვაჟინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

C ჯგუფი

# ნაღდი გოლების მოლოდინი

18 ივნისი. იოჰანესბურგი. ელის პარკი. 18:00

**სლოვენია–აშშ**

საავარაუდო შემადგენლობა

**სლოვენია:** ს. ჰანდანოვიჩი - ბრეჩკო, შულერი, ცესარი, იოკიჩი - კირმი, რადოსავლიევიჩი, კორენი, ბირსა - ნოვაკოვიჩი, ლუბიანკიჩი.

**აშშ:** ჰოვარდი - ჩერუნდოლო, ონიევუ, დიმერიტი, ბოკანეგრა - დონოვანი, ბრედლი, კლარკი, დემპსი - ალტიდორი, ბადლი

**არბიტრი:** კომან კულიბალი (მალი)

ბევრისთვის მოულოდნელად, პირველი ტურის შემდეგ C ჯგუფის ლიდერად სლოვენიის ნაკრები მოგვევლინა. ეგ კი არა, დღევანდელ მატჩში წარმატების შემთხვევაში **მატიაჟ კეკის** გუნდი მერვედფინალის საგზურსაც გაინაღდებს! სლოვენიელთათვის ფრეც არ იქნება ურიგო შედეგი, მით უფრო, რომ თითქმის ყველა წამყვანი საბუქმეიქერო კანტორა ამ წყვილში უპირობო ფავორიტად აშშ-ის ნაკრებს მიიჩნევს. ამ შემთხვევაში, ერთდროულად ორი მიზეზი უნდა ვახსენოთ; პირველი, რაღა თქმა უნდა, „მოდაში შემოსული" ფიფას რეიტინგია, სადაც აშშ-ის ნაკრები ამჟამად XIV პოზიციაზე იმყოფება, სლოვენია კი - ოცდამეხუთეა. მეორე და, ჩვენი აზრით, უმთავრესი მიზეზი, სატურნირო სიტუაციაა: ამერიკისთვის ამ მატჩის წაგება ხომ, ფაქტობრივად, კატასტროფის ტოლფასია.

ამერიკელები ფრეს შემთხვევაშიც გაირთულებენ სატურნირო მდგომარეობას: ბოლო ტურში ინგლისი-სლოვენიის მატჩის შედეგზეც უნდა იყვნენ დამოკიდებულნი და ამას გარდა, დიდი ანგარიშით ალჟირის დამარცხებაც მართებთ. თუმცა, ზემოდასახელებული ამ ორი მიზეზის გარდა კიდევ ერთი არცთუ უმნიშვნელო ნიუანსიც არ უნდა დავივიწყოთ: აშშ-ის ნაკრები ბევრად უფრო კვალიფიციური ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, ვიდრე სლოვენიის ნაკრები. ისიც ვთქვათ, რომ ამ ჯგუფში სლოვენიის ლიდერობა აშკარად სუსტ მეტოქესთან (ალჟირი) გამარჯვებამ განაპირობა; მაშინ, როცა იანკებმა ჯგუფის და, საერთოდ, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ ინგლისთან მართლაც საპატიო ფრეს მიაღწია. ისე, ამ ჯგუფის პირველი ტურის შეხვედრები შემთხვევით არ გვიხსენებია; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მუნდიალზე ყველაზე კურიოზული გოლები ხომ ამ ჯგუფში ჩატარებულ მატჩებში ვნახეთ; თანაც, გინდ კურიოზული დაარქვით, გინდ სხვა სახელი მოუძებნეთ, ფაქტია, რომ იმ გოლებმა ორივე შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. აბა, გავიხსენოთ სლოვენია-ალჟირის ყოვლად ულიმღამო და უშინაარსო თამაში, წესითა და რიგით, ნულოვანი ფრით რომ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მატჩის 79-ე წუთზე სლოვენიელთა კაპიტნის **რობერტ კორენის** არცთუ ძლიერი დარტყმა აფრიკელთა კარის ბადეში აღმოჩნდა. ძნელი სათქმელია, თუ როგორ აპირებდა ალჟირის ნაკრების მეკარე **ფაუზი შაუში** ამ ბურთის მოგერიებას; თუმცა, ფაქტია, რომ თავისი მართლაც უჩვეულო „ნახტომითა" თუ „რეაქციით" სლოვენიელებს სამი ქულა „ჩაახუტა".

არანაკლებ კურიოზული გოლი გაიტანეს ამერიკელებმაც; ეგ კი არა, **კლინტ დემპსის** დარტყმული ბურთი ინგლისელთა მეკარე **რობერტ გრინმა,** ფაქტობრივად, თავისი ხელით რომ შეაგდო საკუთარ კარში, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება მუნდიალების ისტორიაში ერთ-ერთ სახალისო კურიოზად. ამ გოლით აშშ-ის ნაკრებმა წყვილის ფავორიტ ინგლისთან ანგარიში გაათანაბრა და მისთვის სავსებით საპატიო შედეგი მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა. იმის მიუხედავად, რომ ინგლისელები მეორე ტაიმში გააქტიურდნენ და მეტოქის კარს რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს, მაინც ვერავინ იტყვის, ამერიკელებმა ის ქულა არ დაიმსახურესო. საიმედოდ თამაშობდა მეკარე **ტიმ ჰოვარდი,** დაცვაში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა **ოგუჩი ონიევუმ**, ხოლო **ლენდონ დონოვანმა** მთელი მატჩის განმავლობაში უამრავი პრობლემა შეუქმნა თავის მეურვეებს. საერთოდაც, **ბობ ბრედლის** გუნდმა საკმაოდ გააზრებული თამაში უჩვენა და ინგლისელებთან მიღწეული საპატიო ქულაც, ალბათ, მერვედფინალში გასვლაში უნდა დაეხმაროს.


პირველი გამარჯვების შემდეგ სლოვენია მორიგ ქულებს ეშურება

სამწუხაროდ, ჯერჯერობით კვლავაც გაურკვეველია, შეძლებს თუ არა თამაშს ამერიკის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **დამარკუს ბისლი** - „გლაზგო რეინჯერსის" გამოცდილი ნახევარმცველი ტრავმის შემდეგ კვლავაც ვერ მომჯობინდა. უცხოურ საინფორმაციო საშუალებებს თუ დავუჯერებთ, ბობ ბრედლი სლოვენიელებთან ძირითადი შემადგენლობის შეცვლას არ აპირებს. ერთადერთი, მხოლოდ ის არის გაურკვეველი, თუ ვინ შეუწყვილდება **ჟოზი ალტიდორს** შეტევის ხაზში: **ედსონ ბადლი** თუ **რობი ფინდლი.** ანალოგიური სიტუაციაა სლოვენიელთა შორისაც: ნაკრების მთავარი მწვრთნელი მატიაჟ კეკი იმ შემადგენლობას დაეყრდნობა, ალჟირთან სამი ქულა რომ მოიპოვა. აქაც ერთადერთი პოზიციაა გაურკვეველი: თავდასხმაში **მილივოე ნოვაკოვიჩის** პოზიციები საკმაოდ მყარია, აი, მისი მეწყვილე კი ან **ზლატკო დედიჩი** იქნება, ან - **ზლატან ლიუბიანკიჩი.**

აშშ-ისა და სლოვენიის ნაკრებებს აქამდე ერთმანეთში არასდროს უთამაშიათ. ისე კი, ალბათ, საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ სლოვენიელებმა ბოლო ათი მატჩიდან რვა მოიგეს და მხოლოდ ორი წააგეს. რაც მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში მეოთხე ცდიდან შეძლეს და პირველი გამარჯვება მოიპოვეს; თანაც, ამ გამარჯვებით ჯგუფის ლიდერები გახდნენ, ოღონდ, რამდენი ხნით, ამას ზუსტად ვერავინ იტყვის...

**გია ტუხაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაური კაცი

# მეტი საქმე არ ჰქონდა რუნის?


დააკვირდით უეინ რუნის ფეხებს

ინგლისის ნაკრების ფანებს ერთი სული აქვთ, როდის გამოიღებს **უეინ რუნი** ფეხს და როდის დაიწყებს გოლების გატანას, „დეილი მეილის“ ფოტორეპორტიორმა კი რუნის ფეხებს პროფესიული თვალით შეხედა და აი, რა აღმოაჩინა: ორი დღის წინ, როცა **ფაბიო კაპელომ** ფეხბურთელები განმუხტვის მიზნით გოლფის სათამაშოდ გაუშვა და რუნისთან ერთად ჯგუფური ფოტო **ჯო ჰარტმა, მაიკლ ქერიკმა, გლენ ჯონსონმა** და **სტივენ უორნოკმა** გადაიღეს, აღმოჩნდა, რომ ინგლისური ფეხბურთის მთავარ ვარსკვლავს ფეხსაცმელზე თავისი ხელით მიუჯღაბნია რაღაც, მაგრამ...

ხსენებული გაზეთის ჟურნალისტები მარჩიელობენ, რატომ უნდა მიეწერა რუნის მარცხენა ფეხზე თავისი ხელით ფრანგული ქსელის FCUK-ის სახელი, მარჯვენაზე კი სიტყვა „ფლოიდი“. ფლოიდი ადამიანის სახელია, ოღონდ, გაუგებარია, ვის საპატივცემულოდ დაჯღაბნა უეინმა ეს სახელი ფეხსაცმელზე. არის ორი ვარიანტი. ერთი: ფლოიდი გახლავთ ამერიკელი მოკრივე **ფლოიდ მეივეზერი**, რომელმაც 2007 წელს რუნის ძმაკაც მოკრივეს **რიკი ჰატონს** მოუგო. ვინ იცის, იქნებ ძმაბიჭის მცემელის სახელის ფეხსაცმელზე დაწერა რამეს მართლა ნიშნავდეს. და მეორე: რუნის ახლო მეგობრები მეტსახელად ბავშვობიდან ჯიმის ეძახიან, რადგან ის ჰოლანდიელ ფეხბურთელს **ჯიმი ფლოიდ ჰასელბენკს** ბაძავდა და ყოველი გოლის შემდეგ მასსავით მალაყს გადადიოდა. რას გაიგებ...

გულნატკენი კაცი


სოლ კემპბელი

# კემპბელი: მე ყველას ვჯობივარ

ცნობილმა ინგლისელმა მცველმა, ვეტერანმა **სოლ კემპბელმა** ნაკრების თავკაცის **ფაბიო კაპელოს** ლანძღვის საბაბი იპოვა. მიზეზი: კაპელომ კემპბელს სამხრეთ აფრიკაში წასაყვანი 23 კაცში მოხვედრის შანსიც კი არ მისცა, ახლა კი სწორედ მის ამპლუაში აქვს ყველაზე დიდი პრობლემა.

*„გული თუ მწყდება? - კითხულობს კემპბელი, - გული იმაზე მწყდება, რომ ინგლისის ნაკრების ბანაკში არავის გავახსენდი. არადა, რომ გამოვეძახებინეთ, ინგლისის ნაკრებისთვის თავს დავდებდი, ყოველ შეხვედრაში გულს და სულს ჩავაქსოვდი. მესმის, რომ ფაბიო კაპელომ თავიდან წარსულად ჩამთვალა, მაგრამ მერე დავინახე, რომ მან გუნდში დააბრუნა რამდენიმე ფეხბურთელი, რომელთაც სანაკრებო ფეხბურთისთვის თავი დანებებული ჰქონდათ და უკვე ველარ გავიგე. თუ ის ვეტერანების დაბრუნებაზე მიდიოდა, უპირველეს ყოვლისა, მე უნდა გავხსენებოდი“.*

35 წლის ცენტრალური მცველისგან ასეთ განრისხებას არავინ ელოდა. თან, თავისი ნათქვამით მან განა მხოლოდ ფაბიო კაპელო გაკენწლა, არამედ კოლეგა-ფეხბურთელიც, კერძოდ კი **ჯეიმი კარაგერი**. კაპელომ ხომ „გადამდგართა“ სიიდან სწორედ კარაგერი დააბრუნა და თან იმ პოზიციაზე, რომელზეც კემპბელის თქმით, ნაკრების თავკაცებს თუ ვინმე უნდა გახსენებოდათ, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ყოფილიყო.

შეგახსენებთ, რაც დაატყდა კაპელოსეული გუნდის დაცვის ცენტრს: **რიო ფერდინანდი** ჩემპიონატის დაწყებამდე დაშავდა, აშშ-ის ნაკრებთან პირველ შეხვედრაში დაშავდა მანჩესტერელის სათადარიგოდ წაყვანილი **ლედლი კინგლიც** და დარჩა გუნდი ხსენებული კარაგერისა და ბოლო წამს გამოძახებული **მეტიუ აპსონის** ამარა. შეგახსენებთ, რომ აპსონი „ვესტ ჰემში“ თამაშობს და მთელი სეზონის განმავლობაში დიდი მიზნების ნაცვლად პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა. კემპბელი კი ავსტრიაში სავარჯიშოდ წაყვანილ გაფართოებულ, 30-კაციან შემადგენლობაშიც კი არ წაიყვანეს.

კემპბელმა თქვა: *„ცუდად რომ მეთამაშა, ხმასაც არ ამოვიღებდი და არ ვიტყოდი, რომ ინგლისის ნაკრებს სამხრეთ აფრიკაში უნდა წავეყვანე, მაგრამ მითხარით, განა იმ ფეხბურთით, რომელიც სეზონის განმავლობაში „არსენალში“ ვითამაშე, ჩემპიონატზე წაყვანის ღირსი არ ვიყავი? რა თქმა უნდა, ვიყავი. „არსენალში“ მთელი ძალ-ღონით ვთამაშობდი და ვფიქრობ, ნაკრებსაც ვიმსახურებდი. შანსი მაინც ხომ უნდა მოეცათ, მაგრამ ესეც არ მაღირსეს. ჩემ ნაცვლად კი კაპელომ რამდენიმე ნახევრად მომზადებული ფეხბურთელი წაიყვანა. მე ისინი უფრო მეცოდებიან ვიდრე ჩემი თავი. სამხრეთ აფრიკაში წაყვანილი ცენტრალური მცველებიდან ერთს კარგი სეზონი არ ჰქონდა, ორი კი პრემიერლიგიდან გავარდნას ძლივს გადარჩა. მე კი, შეგახსენებთ, რომ ის კაცი ვარ, რომელიც 15 წლიდან ინგლისის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში გამოდის და დიდ გუნდში 74 შეხვედრა აქვს ჩატარებული. მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ ყველაფერზე მთავარი გამოცდილებაა“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

პოლემიკა

# საზიზღარი ბურთი და... გერმანია

**ფაბიო კაპელომ** „ჯაბულანის“ მაგინებლებს ხმა შეუერთა. ინგლისის ნაკრების იტალიელმა თავკაცმა თქვა, რომ ბურთი, რომლითაც ამ დღეებში სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე თამაშობენ, ყველაზე ცუდია იმ ბურთებს შორის, რომლებიც ოდესმე უნახავს. მისი თქმით „ჯაბულანმა“ დააზარალა მსოფლიოს ჩემპიონატი როგორც სანახაობა და მწვრთნელებს, თვეობით დალაგებული გეგმები აურია. კონკრეტული მაგალითის მოტანაც შეიძლება: კაპელოს ძირითად შემადგენლობაში **ემილ ჰესკის** თამაში ჰქონდა განზრახული, მაგრამ ახლა, შეიძლება, გადაწყვეტილება შეცვალოს და მის ნაცვლად **ჯერმაინ დეფო** ათამაშოს. მიზეზი გაინტერესებთ? ჰესკის თამაშს აზრი იმიტომ ჰქონდა, რომ ეს ზორბა ტანის თავდამსხმელი ჰაერში იბრძვის და ბურთს თავს ურტყამს, დეფო კი მოედნის ზედაპირზე გაგორებულ ბურთთან არის უფრო შინაურულად. და სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული - კაპელოს დაკვირვებით, „ადიდასის“ ახალი ბურთი მოედანზე უკეთ დაგორავს, ჰაერში ფრენის დროს კი მიმართულებას კარგავს. მწვრთნელმა თქვა:

*„ასეთი ცუდი ბურთი ცხოვრებაში არ მინახავს. ფეხბურთელები ძალიან წვალობენ, უჭირთ მეკარეებსაც. ეს გახლავთ ბურთი, რომლის ტრაექტორიის ამოცნობა და დანახვა შეუძლებელია. თუ მას მოედანზე აგორებ, ყველაფერი ნორმალურად არის, მაგრამ როდესაც არტყამ ან გრძელ გადაცემას აკეთებ, ის სხვაგან მიდის. გარდა ამისა, არის ერთი დიდი პრობლემა - ხანდახან ამ ბურთის მორჯულება რთული ხდება. ერთი სიტყვით, გავიმეორებ იმას, რაც თავში ვთქვი: ასეთი ცუდი ბურთი მე არ მინახავს“.*

„ჯაბულანი“ ინგლისის ნაკრების ყოფილმა და კოტ დ'ივუარის მოქმედმა მწვრთნელმა შვედმა **სვენ გორან ერიქსონმაც** გააკრიტიკა. მეტიც, ერიქსონმა ფიფას პრობლემის გარშემო მსჯელობისკენაც მოუწოდა, ხოლო **უეინ რუნიმ** განაცხადა, რომ მართალია ის და მისი თანაგუნდელები ახალ ბურთს თანდათანობით ეჩვევიან, მაგრამ სამართლიანობა დარღვეულია, რადგან გერმანელი ფეხბურთელები „ჯაბულანს“


რა გახდა ეს ჯაბულანი?

დიდი ხნის შეჩვეულები არიან. თურმე ნუ იტყვით და „ადიდასის“ ახალი ბურთი ბუნდესლიგაში უკვე უგორებიათ.

რუნიმ თქვა: *„ალბათ, ჯობდა ჩვენთვის ამ ბურთთან შესაგუებლად მეტი დრო მოეცათ. ჩვენც იმდენი ხანი უნდა გაგვეტარებინა „ჯაბულანთან“ რამდენიც გერმანელებმა გაატარეს. ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდი თანაბარ პირობებში უნდა ყოფილიყო. დარწმუნებული ვარ, რომ გერმანელები „ჯაბულანს“ ჩვენთან შედარებით გაცილებით უკეთ ათვინიერებენ, იმიტომ, რომ მიჩვეულები არიან. გასულ სეზონში მათ ამ ბურთით გული იჯერეს, ჩვენ კი მისი თვისებების შესწავლა დიდი ხანი არ არის, რაც დავიწყეთ“.*

როგორც ატყობთ, ინგლისელებსა და გერმანელებს შორის ოდინდელმა ურთიერთგალიზიანებამ კვლავ წამოყო თავი. „ლელოს“ მკითხველს“ კარგად მოეხსენება, რა დაწერა ამ ცოტა ხნის წინ საგაზეთო სვეტში გერმანული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ **ფრანც ბეკენბაუერმა**. ბეკენბაუერმა ბრძანა, რომ ინგლისის ნაკრები სასტიკად უფანტაზიო გუნდია და „დაარტყი და გამოედევნეს“ სტილის მიმდევარი გახლავთ. ინგლისურ-გერმანული დაძაბულობის სუნი წამსვე იგრძნეს ჟურნალისტებმა და ინგლისელთა ბაზაზე მყოფმა ერთ-ერთმა გერმანელმა რეპორტიორმა რუნის ისიც კი ჰკითხა, მერვედფინალში გერმანიასთან შესაძლო თამაშისა ხომ არ გეშინიათო.

*„არა, პირიქით. მათი დამარცხება შესანიშნავი იქნება“*, - უპასუხა ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავმა, რომელმაც შემდეგ ბეკენბაუერსაც გასცა პასუხი:

*„ჩვენ „დაარტყი და გამოედევნეს“ სტილის ფეხბურთს სულაც არ ვთამაშობთ და საერთოდ, მთავარია არა ის, თუ როგორ იწყებს ესა თუ ის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატს, არამედ ის, თუ როგორ ამთავრებს“.*

აღსანიშნავია, რომ ფაბიო კაპელო დღეს 64 წლისა ხდება და ფეხბურთელები დაბადების დღეზე ალჟირის დამარცხებაზე უკეთესს ვერაფერს აჩუქებენ. იტალიელმა მწვრთნელმა თქვა: *„ალჟირი გაცილებით უფრო საშიში გუნდია, ვიდრე ხალხს ჰგონია, მაგრამ ჩვენ კარგ ფორმაში ვართ. პირველ ტურში ინგლისმა აშშ-ის ნაკრებზე უკეთ ითამაშა და ამიტომ მეორე ტურს მშვიდად ვხვდები“.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

D ჯგუფი

# სერბეთი იჭიმება, ლიოვი ფრთხილობს!

## კაკაუ, შეიძლება, ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ

18 ივნისი. პორტ ელიზაბეთი. პორტ ელიზაბეთ სთედიუმი. 15:30

**გერმანია–სერბეთი**

საავარაუდო შემადგენლობები

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ა. ფრიდრიხი, ბადშტუბერი - ხედირა, შვაინშტაიგერი - მიულერი, იოზილი, პოდოლსკი, კლოზე.

**სერბეთი (4-2-2-2):** სტოიკოვიჩი - ივანოვიჩი, ვიდიჩი, სუბოტიჩი, კოლაროვი - სტანკოვიჩი, მილიაში - კრასიჩი, იოვანოვიჩი - ჟიგიჩი, პანტელიჩი.

**არბიტრი:** უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

პირველ ტურში, გერმანიის ნაკრებმა სასიამოვნოდ გაგვაოცა (4:0 ავსტრალიასთან), სერბეთმა კი პირიქით, მოულოდნელი უსუსურობით პირი დაგვალებინა (0:1 განასთან). შესაბამისად, უკვე აღარ ვიცით, რას უნდა ველოდოთ დღეს პორტ ელიზაბეთში გასამართი მატჩისგან, რომელშიც ერთმანეთს ჯგუფის ორი ფავორიტი ხვდება. ეს ამ ჯგუფის ცენტრალური შეხვედრა უნდა ყოფილიყო და რომ არა სერბების კატასტროფულად ცუდი თამაში განასთან, შედეგს ბევრი არ მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ **რადომირ ანტიჩის** გუნდმა იმდენად გაგვიცრუა იმედები, რომ ლოგიკურად, გერმანიამ თავისი მეორე მატჩიც მარტივად უნდა მოიგოს. მაგრამ ანტიჩი ამბობს, რომ ეს გამორიცხულია და იქადნება, დამერწმუნეთ, გერმანიასთან სულ სხვა სერბეთს იხილავთო.

გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** სანერვიულო არაფერი აქვს, მაგრამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე მაინც აღნიშნა, გარკვეულ ცვლილებებზე ვფიქრობ და არ გაგიკვირდეთ, ძირითადი შემადგენლობა ერთ-ორ პოზიციაზე რომ შევცვალოო. ლიოვმა იქვე დასძინა, რომ ავსტრალიასთან თამაშში უკლებლივ ყველა მოთამაშის ასპარეზობით კმაყოფილი დარჩა. *„უბრალოდ, ზოგიერთ მეტოქესთან სხვა ფეხბურთელის გამწესება ჯობია, რადგან იმ კონკრეტულ შემთხვევაში ასეა საჭირო“*, - აღნიშნა იოგიმ.

ცხადია, ჩვენი გერმანელი კოლეგები მაშინვე მარჩიელობას მოჰყვნენ და უმეტესობის აზრით, ლიოვი სერბეთთან **კაკაუს** ძირითად შემადგენლობაში გამწესებაზე ფიქრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ **მიროსლავ კლოზე**, რომლის ანგარიშზე ერთი გოლია, სათადარიგოთა სკამზე უნდა დაჯდეს. კაკაუ ავსტრალიასთან თამაშში იმდენად კარგად ჩაერთო, რომ ბუნდესმწვრთნელი სერიოზულად დააფიქრაო, - წერენ გერმანელი მიმომხილველები. შეგახსენებთ, რომ „კენგურუებს“ გოლი წარმოშობით ბრაზილიელმა ფორვარდმაც გაუტანა. ასე რომ, ის და კლოზე ბარი-ბარში არიან.

გერმანიას ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს, გამოჯანმრთელდა **ბასტიან შვაინშტაიგერიც**, რომელიც ამ დღეებში გაციებული იყო. გუშინ შვაინიმ ისევ სრული დატვირთვით ივარჯიშა.

*„გუნდი უაღრესად მოტივირებულია. პირველი ტურის შედეგებმა არ უნდა დაგვაბნიოს, სერბეთს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს და ჩვენ უდიდესი სიფრთხილე გვმართებს“*, - ასეთი იყო ლიოვის ბოლო სიტყვები პრესკონფერენციაზე.

სერბებმა კი, თავიანთ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე ის ფეხბურთელები გამოიყვანეს, რომლებსაც გერმანიის ბუნდესლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ: **გოიკო კაჩარი** (ჰერტა), **ზორან ტოშიჩი** (ყოფილი კიოლნელი) და **ზდრავკო კუჟმანოვიჩი** (შტუტგარტი). ანტიჩის გუნდმა განასთან სწორედ ამ უკანასკნელის ბედოვლათობის გამო წააგო (პენალტი კუჟმანოვიჩის ხელით თამაშის გამო დაინიშნა), მაგრამ 22 წლის საყრდენი ნახევარმცველი ახლა ათჯერ მეტადაა მოტივირებული.

*„ყველაფერი ან არაფერი - გერმანიასთან უნდა მოვიგოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“*, - თქვა კუჟმანოვიჩმა და იქვე დასძინა, განასთან წაგების მერე მთელი ღამე არ მეძინაო. მაგრამ შტუტგარტელის აზრით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დეპრესიაში უნდა ჩავარდეს. ზდრავკო დარწმუნებულია, რომ სერბეთის ნაკრებს გერმანიის დამარცხება ხელეწიფება.

ანტიჩი დისკვალიფიცირებულ **ლუკოვიჩს** დაცვის ცენტრში **ნევენ სუბოტიჩით** შეცვლის - ესეც კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც გერმანულ ფეხბურთს ძალიან კარგად იცნობს. ის ხომ დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველია...

**გოტფრიდ ლენცი**



ესპანეთი

# ვინ დალუპა ფურია როხა და კასილიასი?

## არაგონესი აღშფოთებულია



სარა კარბონერო, ნახევარი ესპანეთი დამნაშავედ მას მიიჩნევს

ესპანეთის ნაკრების მოულოდნელი მარცხი უპირველესი თემაა ამ ქვეყანაში. ბუნებრივია, ყველაზე საინტერესო გუნდის ყოფილი თავკაცის, ევრო 2008-ის ტრიუმფატორი მწვრთნელის, **ლუის არაგონესის** აზრი იყო. მან კი „ალ ჯაზირაზე“ ძალიან მკაცრად გააკრიტიკა დღევანდელი ნაკრები და მისი თავკაცი **ვისენტე დელ ბოსკე**:

*„უბურთოდ გუნდი ძალიან ნელა მოძრაობდა, სისწრაფეში ვერ ათავისუფლებდნენ სივრცეებს შეტევისას. ეს დიდი დარტყმაა ესპანური ფეხბურთისთვის და იმ იმედებისთვის, რაც ჩვენ ყველას გვქონდა, თუმცა სამყაროს დასასრული სულაც არ არის - ჯერ კიდევ რჩება ორი თამაში ჯგუფში. ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ გუნდმა უღალატა ჩამოყალიბებულ სისტემას და ერთდროულად ორი დაცვითი ტიპის ნახევარმცველი გამოიყვანა, ტრადიციული ერთის ნაცვლად“.*

ვისენტე დელ ბოსკემ ჩვეული სიდინჯით უპასუხა კრიტიკოსებს და უპირველესად კი არაგონესს: *„ყველანაირ კრიტიკას ვიღებ, თუკი ის აზრს მოკლებული არ არის. ყველა თავის მოსაზრებას გამოთქვამს. არაგონესი ბრწყინვალე მწვრთნელია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ფანტასტიკურ შედეგს მიაღწია. მე აქ იმიტომ არ ვარ, რომ ვინმესთან დებატებში შევიდე, ჩემი მისიაა გუნდი მაქსიმალურად კარგად ავათამაშო“.*

ესპანელი ფანები კი ვისენტე დელ ბოსკეზე მეტად წარუმატებლობას... **იკერ კასილიასის** გელფრენდ **სარა კარბონეროს** აბრალებენ. საიდან სადაო, იტყვით, აი, რატომ არიან ამ აზრზე ესპანეთში - ყველა თანხმდება იმაში, რომ **ჟელსონ ფერნანდესის** გოლისას კასილიასმა მეტად არადამაჯერებლად ითამაშა. კასილიასის გერლფრენდი კი ჟურნალისტია, ის „ტელესინკოში“ მუშაობს და თამაშის წინ სპეციალურ სიუჟეტს იღებდა კასილიასის კართან. მატჩის შემდეგ ინტერვიუში კი სარამ იკერს ჰკითხა, ეს როგორ მოგივიდაო. გულშემატკივართა დიდი ნაწილი გააღიზიანა სარას ყოფნამ სამხრეთ აფრიკაში, მით უმეტეს თამაშის წინ. მათ მიაჩნიათ, რომ გოგონამ გუნდში არასტაბილურობა შეიტანა და არია იკერი. *„რა სისულელეა, ასეთ რამეს მართლა მაბრალებენ“*, - უკვირს თავად ჟურნალისტს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მუნდიალს მიღმა

# ალეგრი: მშვიდობით კალიარი, სალამი მილანს!

**მასიმილიანო ალეგრი** „კალიარის“ მწვრთნელი აღარ არის. ეს მხოლოდ ფორმალურად თუა სიახლე, რადგან სეზონის დასრულებისთანავე ცნობილი იყო, რომ ერთი წლის წინ „ოქროს სკამის“ (სერია A-ს საუკეთესო მწვრთნელისთვის) მომგები სპეციალისტი სარდინიულ კლუბს დატოვებდა. ამგვარად, დღეს ალეგრი უკვე ოფიციალურად წავიდა „კალიარიდან“, თუმც ოფიციალურად ჯერ ვერ გახდა „მილანის“ თავკაცი, როგორც მოსალოდნელი იყო.

დიახ, დიდი ხანია აღარ არის საიდუმლო, რომ ალეგრის „როსონერის“ ვაკანტური სკამი ელოდება, თუმცა საქმე გაიწელა იმის გამო, რომ „კალიარის“ პრეზიდენტი **მასიმო ჩელინო** მწვრთნელს საკონტრაქტო ვალდებულებებისგან არ ათავისუფლებდა. ალეგრისა და კლუბის ბოსს შორის კონფლიქტი მოხდა აპრილის ბოლოს, როცა გაირკვა, რომ მწვრთნელი „მილანთან“ ფარულ მოლაპარაკებებში იყო ჩართული. აი, რა განცხადება გაავრცელა „კალიარის“ ოფიციალურმა ვებგვერდმა:

*„მიუხედავად იმ იმედგაცრუებისა, რაც მწვრთნელ მასიმილიანო ალეგრის საქციელს მოჰყვა, პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომ მიიღო გადაწყვეტილება, გაათავისუფლოს მწვრთნელი „მილანის“ თხოვნის საპასუხოდ. ამასთან, „კალიარი“ არ ითხოვს ფინანსურ კომპენსაციას, რადგან კლუბს მიაჩნია, რომ გრძნობები ფულით არ იზომება“.*

ამ გულის ამაჩუყებელი კომენტარის შემდეგ ისღა უნდა დავძინოთ, რომ „კალიარის“ ახალ მწვრთნელად დაინიშნა **პიერპაოლო ბიზოლი**, რომელმაც ახლახან დასრულებულ სეზონში „ჩეზენა“ სერია A-ში გადაიყვანა.

**ლაშა წიკლაური**

# დი მარია 25 მილიონად

ორშაბათს მადრიდის „რეალი“ ოფიციალურად გამოაცხადებს არგენტინელი **ანხელ დი მარიას** ტრანსფერს, თუმცა უკვე ყველაფერი შეთანხმებულია - დი მარიამ სამხრეთ აფრიკაში სამედიცინო შემოწმებაც კი გაიარა. გუშინ კი „ბერნაბეუზე“ ერთმანეთს „ბენფიკას“ პრეზიდენტი **ლუიშ ფილიპე ვიეირა** და „რეალის“ დირექტორი **ხოსე ანხელ სანჩესი** შეხვდნენ და შეთანხმებასაც მიაღწიეს. როგორც ესპანური მედია ამტკიცებს, პორტუგალიურმა კლუბმა სერიოზულად დაუკლო თავდაპირველ ფასს და 40 მილიონი ევროს ნაცვლად 25 მილიონით დაკმაყოფილდება.

დი მარია „სამეფო კლუბთან“ ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და წელიწადში ხელფასის სახით დაახლოებით 2 მილიონ ევროს მიიღებს. არგენტინისა და სამხრეთ კორეის ნაკრებთა მატჩის შემდეგ დი მარია ცდილობდა არ შეხებოდა საკლუბო თემას, თუმცა განაცხადა, რომ მოხარული ვიქნები, თუ უახლოეს დღეებში დაგიდასტურებთ, რომ უკვე რეალელი ვარო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მალაგაში ჟეზუალდო ფერეირა მიდის

პრიმერა დივიზიონის კლუბი „მალაგა“ შეიხმა **აბდულა ბინ ნასერმა** შეიძინა და ახალმა მეპატრონეებმა გუნდის რეორგანიზაცია მწვრთნელის მოხსნით დაიწყეს. 41 წლის **ხუან რამონ ლოპეს მუნისმა** შეძლო ანდალუსიური კლუბის პრიმერაში დატოვება, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. გუნდის პრეზიდენტ **ფერნანდო სანსთან** საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ ლოპეს მუნისი აღარ გაწვრთნის „მალაგას“, თუმცა კი მას კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა.

უკვე ცნობილია, თუ ვინ გახდება „მალაგას“ ახალი თავკაცი, ის პორტუგალიელი სპეციალისტი **ჟეზუალდო ფერეირაა**, რომელიც უკვე იმყოფებოდა ანდალუსიურ კლუბში მოსალაპარაკებლად. ფერეირა 64 წლისაა, ბოლო 4 სეზონის განმავლობაში ის „პორტუს“ წვრთნიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დეპორტივომ ფრანგი იყიდა

ლა კორუნიის „დეპორტივომ“ პორტუგალიური „გიმარაეშიდან“ გამოცდილი ფრანგი მცველი **ივ დეზმარე** შეიძინა. 30 წლის მარცხენა მცველის სანაცვლოდ გალისიურ კლუბს არაფერი გადაუხდია, ის თავისუფალი აგენტის სტატუსით ერგო „დეპორტივოს“. ჰაიტური წარმოშობის დეზმარეს საფრანგეთში დაბალ ლიგებში უთამაშია, სახელი კი მან 2006 წლის შემდეგ გაითქვა, როცა „ვიტორიაში“ გადავიდა. მან კონტრაქტი ახალ კლუბთან 1+1 სისტემით გააფორმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ინტერის ახალი მეკარე

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „ინტერს“ ახალი მეკარე ჰყავს. **რაფა ბენიტესის** პირველი შენაძენი გახდა „სამპდორიას“ გოლკიპერი **ლუკა კასტელაცი**, რომელმაც „ნერაძურისთან“ 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. 34 წლის კასტელაცი **ჟულიო სეზარის** შემდეგ მეორე მეკარე იქნება. „სამპდორიამდე“, სადაც ის 2005 წელს გადავიდა, „ვარეზეს“, „პადოვას“, „რეჯინას“, „კატანიას“, „პესკარასა“ და „ბრეშასა“ კარს იცავდა.

**ლაშა წიკლაური**

# იტალიიდან ესპანეთში

სერია B-ში გავარდნილი „ატალანტა“ წამყვან ფეხბურთელებს ყიდის. გუშინ ბერგამოულმა კლუბმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ნახევარმცველი **ტიბერიო გუარენტე** „სევილიაში“ გაასხვისა. 24 წლის გუარენტე „იუვენტუსის“, „მანჩესტერ სიტისა“ და „ფიორენტინას“ თვალთახედვის არეალში იყო, თუმცა ყველაზე მარიფათიანი აღმოჩნდა ანდალუსიური კლუბი, რომელმაც ფეხბურთელს უფრო მისაღები პირობები შესთავაზა.

იტალიელმა ნახევარმცველმა „სევილიასთან“ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულებაში ჩაიდო პუნქტი, რომლის ძალითაც გუარენტეს მსურველმა კლუბმა 30 მილიონი ევრო უნდა გაიღოს. რაც შეეხება „ატალანტას“, ის 5.5 მილიონი ევროთი გამდიდრდა.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ „სევილიას“ იტალიელი გუარენტემდეც ჰყავდა. ლაპარაკია **ენცო მარესკაზე**, რომელმაც „სანჩეს პისხუანზე“ ოთხი სეზონი (2005-09 წლები) გაატარა გახლდათ (96 მატჩი, 13 გოლი).

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალტერნატიული აზრი

## მიხეილ ყაველაშვილი

# რატომ გვაიგივებენ ოპოზიციასთან? ჩვენ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ და არა პოლიტიკაზე!



**როგორც** ცნობილია, "ჩვენი ფეხბურთის" ლიდერმა მიხეილ ყაველაშვილმა ფეხბურთის ფედერაციასთან შეხვედრა იუარა და მიზეზებიც დაასახელა.

მიხეილ ყაველაშვილთან ისედაც მრავალ თემაზე დაგვიგროვდა სალაპარაკო, ლამის ერთი წელია ინტერვიუ არ ჩამოგვირთმევია და მისი თბილისში ჩამოსვლით ვისარგებლეთ.

**- ბატონო მიხეილ, ბოლო დროს ფეხბურთის მმართველებმა ოპოზიციონერებთან (მამუკა კვარაცხელია, ზურაბ პეტრიაშვილი) თანამშრომლობა დაიწყეს. საზოგადოებაშიც გამუდმებული დაპირისპირების მობეზრება და საფეხბურთო ძალების გაერთიანების სურვილი იგრძნობა. ანუ, მთავარია არა ის, რომ არ თანამშრომლობ თუნდაც ყველაზე სამართლიანი მოტივების გამო, არამედ ის, რომ „ჩვენი ფეხბურთის" ლიდერები - ყაველაშვილი, ჯამარაული და ყიფიანი თამაშგარე მდგომარეობაში რომ დარჩით და ენერგიას ქართულ ფეხბურთს ვერ ახმართ.**

- დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას, რამაც ჩვენი პროტესტი გამოიწვია. ფეხბურთში პოლიტიკა დიდი ხანია ერეოდა, მაგრამ ჩემი აზრით, ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება. მესმის გულშემატკივრის, რომ აქ უნდა ვიყოთ და ჩვენს ფეხბურთს ვემსახუროთ, მაგრამ სურვილი ერთია და შესაძლებლობა მეორე. ვეტერანებს დიდი ცოდნა გვიგროვდება და არ გაინტერესებთ ფეხბურთს რატომ ვერ ვემსახურებით? ფეხბურთის წესებით გეტყვი: თამაშისთვის წესების დაცვაა საჭირო, წინასწარ რომ არ დამარცხდე.

**- კი მაგრამ, თქვენ იმ გუნდივით ხომ არ მოგდით, რომელიც მსაჯისადმი უკმაყოფილების გამო მოედანს ტოვებს და 0:3 დამარცხება ეთვლება?**

- ჩვენ მოედანზე არც შეგვიშვეს და მოედანს როგორ დავტოვებდი? არჩევნებს ვგულისხმობ. ჩვენ ნაგებულ თამაშში გვეპატიჟებიან, მსაჯი ნაყიდია და ვიჩაგრებით, ხომ? ჩემი ასპარეზი მოედანია და სად უნდა დავუმტკიცო გულშემატკივარს მოწინაალმდეგეზე უპირატესობა, თუ არა მოედანზე, ანუ არჩევნებზე? მხოლოდ გაზეთსა და ტელევიზიაში ომახიანი ლაპარაკით ის ჩემს უპირატესობას კარგად ვერ დაინახავს. მე ნაგების აღიარება არ შემრცხვება, რამდენი შეხვედრა წამიგია, მოწინაალმდეგეს კი არ ვებუტებოდი, ხელს ვართმევდი და ვულოცავდი. არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაშიც ასე მოვიქცევი, ვიბრძოლებ და თუ წავაგე, ღირსეულს მივულოცავ და შეძლებისდაგვარად ვითანამშრომლებ. საამისოდ ფეხბურთში სისტემაა შესაცვლელი, რომელიც თავისუფალი არჩევანის უფლებას მოგვცემს. როდესაც ეს მოხდება, მოღვაწეობის საშუალება ყველას მიეცემა. არაა აუცილებელი, ყველა ფედერაციაში იყოს. ბევრი ქვეყნის ფედერაციაში პრეზიდენტს არც იცნობენ, იმდენად გამართული სტრუქტურები აქვთ. საქართველოში ასე რომ იყოს, ფედერაციის მისვლის პრეტენზია არც გამიჩნდებოდა. საქმეს ისაა, რომ სისტემის არასებობამ დამაფიქრა ფედერაციის მართვაზე. გიორგი ივანიშვილი შვეიცარიაში „გრასჰოპერსა" და „ციურიხში" რომ ვარჯიშობდა, ვაკვირდებოდი, როგორ ზრდიდნენ და დავინახე, რა შორს ვართ ევროპული ფეხბურთისგან, რატომ ზრდიან ისინი და ჩვენ კი უამრავ ტალანტს ვკარგავთ. 100-დან 2 პროცენტსაც ვერ ვზრდით?! წარმოიდგინეთ, რამხელა ნიჭი გვეკარგება და ვერ ვიყენებთ. გიორგი აქ რომ გაზრდილიყო, არ გამოვრიცხავ, ფეხბურთი არც ეთამაშა. 1988 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გავხდით და კიევსი „დინამოს" მოვუგეთ, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრების 8 ფეხბურთელი ჰყავდათ. შემდეგ საბჭოთა კავშირის ეს გუნდი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, კიეველები დიდ ფეხბურთში გამოჩდნენ, მაგრამ ჩვენგან ბევრი დაიკარგა. მთავარია, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლაზე არავინ ზრუნავს, სტრატეგიაც არ არსებობს და ყველაფერი სპონტანურად კეთდება. დიახაც, გულშემატკივარს საფეხბურთო სამყაროს გაერთიანების სურვილი უნდა ჰქონდეს, მაგრამ შენ თავშივე რომ მჩაგრავ, როგორ ვითანამშრომლო? ფედერაციაში მისვლას წინ რა დაუდგებოდა, მაგრამ ამას გაზეთიდან არ უნდა ვიგებდე. პიროვნება, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს, საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენელი არ ყოფილა და არც დიდი წარმატებები ჰქონია.

**- ამაში ვერ დაგეთანხმებით: ზვიად სიჭინავამ ზუგდიდში ფეხბურთი აალორძინა, მშვენიერი ბაზა ააშენა და მასზე მეტი საფეხბურთო სამყაროს წარმოადგენელი ბევრი არ მეგულება.**

- ილია კოკაიამ, ლექსო თოფურიამ და გურამ რუხაძემ ბევრად მეტი არ გააკეთეს? მე მაგ პიროვნებიდან პრობლემების მოგვარების ხედვა და პროგრამა ვერ დავინახე. რამდენი ხანია ვიბრძოდი და მაგის პროტესტი არ მესმოდა. მესმის, რომ გვინდა საქმე გააკეთოს, მაგრამ სურვილი ერთია და პროფესიონალიზმი მეორე.

>> მე-10 გვერდზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალტერნატიული აზრი

# რატომ გვაიგივებენ ოპოზიციასთან? ჩვენ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ და არა პოლიტიკაზე!

« მე-9 გვერდიდან

**- სტრატეგია არაა სტადიონების აშენების შედეგიანი მცდელობა?**

- მესმის, რომ ქუთაისის სტადიონის მშენებლობა კარგია, მაგრამ სისტემაში უნდა იყოს მოქცეული - როგორ ავაშენოთ ინფრასტრუქტურა, მოვაგვაროთ მდგომარეობა ეროვნულ ჩემპიონატში, ბავშვთა ფეხბურთსა და ნაკრებში. ვილაცის გულის გასახარად მივიდოდი და შევხვდებოდი, მტერი კი არ ვარ იმ კაცის, რაც მეტს გააკეთებს, მით უფრო გამიხარდება, მაგრამ სისტემის შეცვლაზე რაიმე თქმულა? მე კი უპირველესად სწორედ ეს მაინტერესებს.

**- იქნებ, სიჭინავას სწორედ სისტემის შეცვლაზე სურდა ელაპარაკა?**

- ყველამ კარგად მინდა გამიგოს. თქვენი აზრით, „ჩელსის“ მეპატრონე „რეალის“ მეპატრონეს დაუწყებს ჭკუის დარიგებას, ესე და ესე გააკეთე და გვერდში დამიდექიო? მეც გუნდი ვარ და მოვლენებზე საკუთარი შეხედულება გამაჩნია, მყავს კადრები, საკუთარი გუნდი და როდესაც არჩევნები ჩატარდება, ყველას დაგანახვებთ, რომ საკუთარი პროგრამით პასუხისმგებლობით სავსე ადამიანები მოვდივართ.

**- სწორედ მაგაზეა ლაპარაკი, რომ თქვენი ჯგუფი პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ფეხბურთში არ ხართ და ეს ყველასათვის საწყენია.**

- სამართლიანობა არაა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პარტნიორობის გარანტია არ გაგვაჩნია. ლევან ყიფიანი და გიორგი ნემსაძე გვერდში დაუდგნენ, თქვეს კიდეც, ერთი გუნდი ვართო და მერე ალმასკომშიც არ შეიყვანეს. გაგვცენ პასუხი, ეს ადამიანები ფედერაციაში რატომ არ მიუშვეს? ვიყოთ რა გულახდილები, არ შეიძლება საზოგადოება და გულშემატკივრები მოვატყუოთ. თუმცა, ვიმეორებ, მე ამ ხალხის მტერი კი არა, კონკურენტი ვარ და რაც მეტ საქმეს გააკეთებენ, მით უფრო გამიხარდება. სხვათა შორის, სტადიონები სახელმწიფომ გააკეთა. ახალკაცი ვერ გააკეთებდა?

**- გააკეთა?!**

- მაშინ სახელმწიფოს ეს სტრატეგია არ ჰქონია. თუმცა, მაშინაც სახელმწიფო აკეთებდა საქმეს, მე ვერ დავინახე, რომ სახელმწიფოსთვის ფედერაციას პროექტი წარედგინა, გვჭირდება ეს, ეს და ეს, არც ადრე და არც ახლა. ორ უცხოელ მწვრთნელს ლამის ათი მილიონი ლარი გავატანეთ. ამ თანხით ოთხ მშვენიერ სამწვრთნელო ბაზას ავაშენებდით თავისი ორი მოედნით, ერთსაც ქვიშისას ხელოვნური საფარითა და გასახდელშენობებით. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ოთხი მოსამზადებელი ცენტრი გვექნებოდა, გუნდები უცხოურ შეკრებაზე თანხას დაზოგავდნენ და სომხეთ-აზერბაიჯანის კლუბების სტუმრობით, შემოსავლის წყარო გაგვიჩნდებოდა. უცხოელებთან ხშირი თამაში კი კლასის გაზრდის წინაპირობაა. მთელი წლის განმავლობაში ბაზები ბავშვებს მოემსახურება და სრულყოფილად ივარჯიშებენ. ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ წელიწადში გაკეთდებოდა და წარმოგიდგენიათ, ოთხ წელიწადში რამხელა საქმე გაკეთდებოდა?! პროგრამაზე ფიქრი ფედერაციაში მისვლის შემდეგ კი არ უნდა დაწერო, მანამდე უნდა შეადგინო და მე არ უნდა მეკითხებოდე, შენ რა გეგმა გაქვსო? მაშინ რატომ მიდიხარ, გეგმა თუ არ გაგაჩნია, რითი დაიმსახურე ჩემზე მეტი? მე ვერ დავიბარებ სხვას და ვერ შევეკითხები გეგმებზე? სახელმწიფო საიმედო პარტნიორს თუ ეძებს, ყველამ დავინახეთ, რომ ეს არასწორი მიდგომაა. ან ვინ მოგვნათლა ოპოზიციურ ძალად და რატომ ვართ სახელმწიფოსთვის საშიში ხალხი, როდესაც სწორედ ქვეყნისთვის ბევრად უკეთესი ფეხბურთის საფუძვლებს ვთავაზობთ? საერთოდ, რატომ გვაიგივებენ ოპოზიციასთან, ჩვენ ფეხბურთის განვითარებაზე ვლაპარაკობთ და არა პოლიტიკაზე! გამოვიდეს სიჭინავა ჩვენთან ერთად და ხალხმა განიხილოს, რომლის პროგრამაა უფრო სრულყოფილი და მისაღები. მოგვცენ პასუხისმგებლობის აღების საშუალება და მოგვთხოვონ პასუხი. სამწუხაროდ, ამის საშუალებას არ გვაძლევენ, გვჩაგრავენ და მერე პარტნიორობას გვთავაზობენ.

**- კვარაცხელიამ და პეტრიშვილმა დააშავეს, თანამშრომლობა რომ დაიწყეს?**

- მე ქართული ფეხბურთის მტერი კი არ ვარ, ამ ხალხმა საქმე უნდა აკეთოს, მაგრამ ჩემს გუნდს ნაგებული თამაშის წამოწყება არ სურს. მოედანზეც არ მიშვებენ და თამაშს მთავაზობენ?! მე კი ვითხოვ, გაგვიყვანეთ მოედანზე! ყიფიანმა ადრე ახალკაცს ჰკითხა, რა კრიტერიუმით შეარჩიე კუპერიო და ცინიკური პასუხი მიიღო, კუპერის ტესტითო. კაცს საქართველოზე საერთოდ წარმოდგენა არ ჰქონდა, ერთ ფეხბურთელსაც არ იცნობდა, უცნობ გარემოში მოხვდა და ლოგიკურიც იყო, მისი მუშაობა სავალალო შედეგით რომ დასრულდა. ეს იმიტომ ვიკითხე, რომ 21-ე საუკუნეა და მწვრთნელის თუ ფეხბურთელის შერჩევისას, ყველაფერი იციან მის სტილზე, ხასიათზე, კვების მენიუსა და დღის რეჟიმზეც კონტრაქტს ჩვენსავით ბრმად არ უფორმებენ. მე ერთ კვირაში მეგობარი მენეჯერისგან ტოპმიოლერზე ბევრი რამ გავიგე, კარგი მწვრთნელია, როდესაც გუნდი და შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ ახალი გუნდის ჩამოყალიბება არ შეუძლიაო. მე რომ გავიგე, ფედერაცია არ უნდა დაინტერესებულიყო? ასე რომ ექნა, მიხვდებოდა, რომ ტოპმიოლერს შედეგი არ ექნებოდა. თემურ ქეცბაიას მაგალითი ავიღოთ, ის ქართველია, მაგრამ ქართული სამწვრთნელო სკოლის აღზრდილი არაა. მისი ჩამოყვანა მესიის მოვლენად არ უნდა ჩავთვალოთ, ქართული ფეხბურთის პრობლემებს თემური ვერ მოაგვარებს. თუმცა ვიცი, რომ ქეცბაიას ყოველთვის ბრძოლისუნარიანი გუნდი ეყოლება. ეროვნულ ნაკრებზე, ქეცბაიას დანიშვნაზე, ინფრასტრუქტურასა და ყველაფერზე ფედერაციაა პასუხისმგებელი. სიჭინავამ რაიმე საკითხში თანადგომა რომ მთხოვოს, ქართველს უარს როგორ ვეტყვი, პიროვნებებს აუგად არც შევეხები, მაგრამ სისტემა თავიდან ასაშენებელი რომ არის, ამაზე არაფერი ვთქვათ? მოსვლამდე სიჭინავა რამეს გვპირდებოდა? ბაზის აშენების გამო აირჩიეს პრეზიდენტად?

**- ბიზნესი დააინტერესა, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ფოთის „კოლხეთს“ სოლიდური პარტნიორები გამოუჩნდა - ცუდი ნაღდად არაა. საბოლოოდ შედეგი არაა მთავარი?**

- ეს მეც ძალიან მახარებს, მაგრამ რაც არ კეთდება და არასწორი მიმართულებით მიდის, ამაზე ვლაპარაკობ. თორემ, გააკეთოს მეტი, ეს მისი პასუხისმგებლობაცაა! თუმცა, ამის გამო ყველაფერს ვერ დავივიწყებ. მეც მომცენ საშუალება და ვაჩვენებ, ამის საპირწონედ რას გავაკეთებ, არ შეიძლება? სისტემასთან ბრძოლა რომ დავიწყეთ, თანადგომის ნაცვლად, კოლეგებმა ბრძოლა დაგვიწყეს. მე თუ ვხედავ არასწორად წამოწყებულ საქმეს, შენ ვერ ამჩნევ? „იმას არ ეწყინოს“ და არასწორი დამოკიდებულებაა. როცა ფეხბურთი ილუპება, ხმა უნდა ამოიღო. პრინციპულ საკითხებზე მხოლოდ ორი-სამი კაცი რომ არ დაგვიდგება, გაერთიანებას მერე მართლა მოვახერხებთ. არადა, ვერც ვხვდებით, უსისტემო ფეხბურთით რამდენ ბავშვს ვკლავთ. ოცნებად გვექცა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა.

**- თქვენი აზრით, ეს უახლოეს პერიოდში შესაძლებელია?**

- მსოფლიო ჩემპიონატზე ახალი ზელანდია, სლოვაკეთი და სლოვენია გავიდნენ და მათზე ნაკლები ნიჭი გვაქვს? ჩვენზე სწორად ხარჯავენ ფულს და მიზანმიმართულად მუშაობენ. აბა სწორად დავგეგმოთ და ნახავთ, მათზე მეტს თუ არ გავაკეთებთ. ფეხბურთის თამაში კარგად ვიცით, მაგრამ ნიჭს უაზროდ ვკარგავთ. გვეუბნებიან, საქმე დაგვანახვეთო. აი, დავამთავრე კარიერა, ჩამოვედი და სად დაგანახო? კრედიტი ავიღო, სკოლა დავაარსო, ნიჭიერ მენეჯერს შევუამხანაგდე და 10-12-წლიანი ჯახირის მერე მივხვდე, რომ ეს გარემო ფეხბურთის განვითარებას ხელს არ უწყობს? დაამთავრებენ კალაძე, კობიაშვილი, იაშვილი, ასათიანი, ხიზანიშვილი და ეს თაობა თამაშს და მერე ამ ხალხს რას ვუშვებით? არაჯანსაღი და არაკონკურენტუნარიანი გარემო მათ დაბრუნების საშუალებას არ მისცემთ. დრომ ხომ გამოაჩინა, რომ ტოპმიოლერსა და კუპერში მილიონები უაზროდ გადაიყარა? შეცდომა ვინმემ აღიარა?

**- სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა რამდენჯერმე ახსენეს, უცხოელებზე გაკეთებული აქცენტი არასწორი იყო და ინფრასტრუქტურის მიხედვა აჯობებსო - ეს აღიარება არაა?**

- შეცდომები კომპლექსურადაა გამოსასწორებელი. თუნდაც ის ავიღოთ, რომ ნაკრებებში კოორდინაცია არაა. ქართული ფეხბურთის სტილი ადრე არ მოგვწონდა, მაგრამ სახე მაინც ჰქონდა. ახლა ეს სახეც დაკარგა. ამის მიხედვაზე ვინმე ზრუნავს? მოკლედ, იმდენი სამუშაოა...

**- ამ ყველაფრის მოსაგვარებლად პროგრამა თუ გაქვთ?**

- რა თქმა უნდა, ამაზე ვმუშაობ. მე სკამი კი არ მიზიდავს, მდგომარეობის გამოსწორება მინდა. სულ ვკითხულობ, სულ მოლაპარაკებები მაქვს, მოსვლის შემთხვევაში საქმის დროული მოგვარება რომ შევძლოთ. ქართულ ფეხბურთს კი დიდი პოტენციალი აქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები



# ლუგანსკში ფოცხვერია ფეხბურთელს გვიზრდის

ორიოდე დღის წინ „ლელოში“ ფეხბურთის ფედერაციაში გამართული პრესკონფერენცია გავაშუქეთ, რომელიც უცხოეთში მოთამაშე ქართველების მოძიებაში ფედერაციისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას ეხებოდა.

წერილში უცხოეთში გაბნეული რამდენიმე უცნობი ქართველი ფეხბურთელი ვახსენეთ, მათ შორის, ლუგანსკის „ზარიას“ 17 წლის ნახევარმცველი, უკრაინის მოქალაქე **გიული მანჯგალაძე.**

გუშინ რედაქციაში ფეხბურთელის მამა, ბატონი შოთა დაგვიკავშირდა და საინტერესო ამბები გვიამბო.

*„გიული ბავშვობაში თბილისში, „ოლიმპის“ საფეხბურთო აკადემიაში მამუკა ფანცულაიასთან ვარჯიშობდა. სხვათა შორის, მისი გუნდელი იყო თორნიკე ოქრიაშვილი, რომელიც ახლახან „ზენიტში“ გადავიდა. ფანცულაიამ ძლიერი ბავშვები შეკრიბა და კარგადაც ავარჯიშებდა. უკრაინაში წასვლა წელიწად-ნახევრის წინ გადავწყვიტეთ. თავდაპირველად ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ გასინჯეს, აყვანაც შესთავაზეს, მაგრამ მიზეზთა გამო, კლუბი მაინც დატოვა. ამის შემდეგ ლუგანსკის „ზარიაში“ გასინჯეს და აიყვანეს. ერთი წელია დუბლების ფეხბურთელია და ხშირად ათამაშებენ. გიულის 3-წლიანი კონტრაქტი (1+2) ოპციონის სისტემით გაუფორმეს. ის შემტევი ნახევარცველია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში საყრდენადაც ათამაშებენ. 1992 წელსაა დაბადებული და 175 სმ სიმაღლისაა. ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა, ბავშვს რომ ეთამაშა და პრობლემა არ შეჰქმნოდა, უკრაინული პასპორტი დაგვჭირდა. თუმცა, ორმაგი მოქალაქეობა პრობლემას არ წარმოადგენს და თუკი ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები დაინტერესდებიან, ამ საკითხს იოლად მოვაგვარებთ, რადგან ჩვენთვის მთავარია, გიულიმ საქართველოს სახელით ითამაშოს. ლუგანსკში მას საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებთა ყოფილი თავდამსხმელი მიხეილ ფოცხვერია ავარჯიშებს - ძალიან კარგი ადამიანი და მწვრთნელი. სხვათა შორის, გიულის აყვანა ორი წლის წინ, საქართველოს ერთ-ერთ ასაკობრივ ნაკრებში სურდათ, მაგრამ საბოლოო სიაში ვერ მოხვდა და მოქალაქეობის შეცვლას ამიტომ დათანხმდა. თუმცა მისი უდიდესი სურვილი საქართველოს სახელით გამოსვლაა, თუკი, რა თქმა უნდა, ამას დაიმსახურებს“,* - გვითხრა შოთა მანჯგალაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ნახევარმცველი ქეცბაიას გუნდიდან

## ჯეოსელიც იქნება და ლუნგუც?

გასული სეზონის შემდეგ, ზუგდიდის „ბაიას“ დღემდე ორი ფეხბურთელი გამოაკლდა - „ზესტაფონში“ გადასული თავდამსხმელი **გოგი ფიფია** და აფრიკელი ნახევარმცველი **ჩისამბა ლუნგუ.** მუქკანიანმა შუახაზელმა რუსეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ურალს“ მიაშურა, მაგრამ რუსულ კლუბში მისი ტრანსფერის საკითხი ჯერ არ გარკვეულა. ცნობისათვის, ლუნგუს ახალი სეზონის დასრულებამდე კონტრაქტი აქვს „ბაიასთან“ და ამ კლუბის ნებართვის გარეშე აფრიკელი ვერსად წავა. ზუგდიდელები იმედს არ კარგავენ, რომ ჩისამბა ლუნგუ დაუბრუნდებათ.

ლუნგუმდე კი „ბაიაში“ ერთი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. ნახევარმცველი **დათა რიგვავა.** ეს შუახაზელი თავის დროზე სწორედ „ბაიას“ საფეხბურთო სკოლის გუნდში ასპარეზობდა. ნათამაშები აქვს **ჰერბერტ ცანკერის** ფორმაციის 17-წლამდელთა ნაკრებში. 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცობისას, რიგვავა უცხოურ შეკრებაზე **ზაურ სვანაძემაც** ათამაშა. წელიწადზე ცოტა მეტია, რაც დათა რიგვავა კვიპროსზე იყო. მართალია, მას პროფესიონალური კონტრაქტი არ ჰქონია გაფორმებული ფანგუსტას „ანორთოსისთან“, მაგრამ სწორედ **თემურ ქეცბაიას** ყოფილი კლუბის დუბლებში ვარჯიშობდა და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაშიც ითამაშა.

**დავით ცაბაძე**

# იმედაშვილმა კინაღამ შახტარს გაუტანა

მოგეხსენებათ, ქვეყნის ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპის“ კაპიტანმა **დავით იმედაშვილმა** უცხოეთში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. ტანმაღალმა მცველმა აზერბაიჯანს მიაშურა და ლენქორანის „ხაზარს“ უცხოეთში მოსამზადებელ შეკრებაზე გაჰყვა. აზერბაიჯანული წყაროების მტკიცებით, იმედაშვილი ჯერჯერობით ერთადერთი ლეგიონერია, რომელიც **ალასალ მირჯავადოვის** გუნდში ტესტირებას გადის. ქვეყნის თასის მფლობელი ლენქორანული კლუბი გერმანიაში ემზადება ევროპის ლიგისა და ახალი სეზონისთვის. „ხაზარმა“ უცხოეთში პირველი ამხანაგური მატჩი უკვე ჩაატარა. აზერბაიჯანელები ძლიერ მეტოქეს, დონეცკის „შახტარს“ გაეჯიბრნენ და 0:2 დამარცხდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ დონეცკელებმა მეორე ბურთი მატჩის მიწურულს პენალტით გაიტანეს. დავით იმედაშვილი „ხაზარის“ ძირითად შემადგენლობაში იყო და შეხვედრა ჩაამთავრა. დათო მარცხენა ცენტრალური მცველის პოზიციაზე ირჯებოდა. უკრაინული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდის რეპორტაჟიდან ნათლად ჩანს, რომ იმედაშვილი დაცვითი ოპერაციების გარდა შეტევაშიც ხშირად ერთვებოდა. აზერბაიჯანელთა კარში გაშვებულ გოლებში, ჩვენებურს ბრალი არ მიუძღვის. უფრო მეტიც, 32-ე წუთზე იმედაშვილის მიერ შორიდან ძლიერად დარტყმისას „შახტარის“ მეკარე **ხუჯამოვმა** ბურთი ძლივს მოიგერია.

„ხაზარი“ გერმანიაში კიდევ ორ საკონტროლო შეხვედრას გამართავს, თანაც ორივეს ავსტრიულ გუნდებთან - ხვალ, 19 ივნისს „რიდთან“, 23 ივნისს კი „მატერსბურგთან“. ლენქორანელთა გუნდში დავით იმედაშვილის ტრანსფერის საკითხიც გერმანული შეკრების შემდეგ გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**

სასწრაფო ქრონიკა

# მუნდიალი გლდანში, დიდ ეკრანზე

გლდანში, ეკლესიასთან, მე-5 და მე-6 მიკრორაიონებს შორის ბავშვთა და მოზარდთა დასვენების პარკია. სწორედ აქ, დიდი, 20 კვადრატული მეტრის (4X5-ზე) პლაზმური მონიტორია დამონტაჟებული, გამოსახულება 150 მეტრიდანაც კარგად ჩანს. ეკრანი დაცულია როგორც მზისგან, ასევე წვიმისგან. მონიტორი პარკის დირექციის ინიციატივითა და სფფ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის გოგი ქავთარაძის თანადგომით დამონტაჟდა. ეკრანის წინ ღია კაფეა გახსნილი უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელებით.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# სეოკ-ის ურთიერთობები ფართოვდება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები არასდროს ყოფილა ისე ინტენსიური, როგორც ბოლო ორ წელიწადში. ცხადია, მთავარი მაინც შედეგებია, რაც უდავოდ წარმატებულია და ყველა კარგად ხედავს. სეოკ-ის ხელმძღვანელობის უცხოეთში სტუმრობა თუ შინ უცხოელთა მასპინძლობა ერთ საერთო მიზანს — საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის ავტორიტეტის ამაღლებას და განმტკიცებას ემსახურება.

კიდევ ერთი საქმიანი ვიზიტი შედგა ამ დღეებში. სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი ალექსიძე** ბუქარესტში შეხვდნენ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს **მარიუს ვიზერს**. შეხვედრის დიდ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ვიზერი ამავდროულად ევროპის სპორტული ფედერაციების კოორდინატორია. შეხვედრაზე 2015 წელს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისში შესაძლო ჩატარების, ქართული ძიუდოსა და საქართველოს მონაწილეობით მსოფლიო ძიუდოს შემდგომი განვითარების საკითხები განიხილეს.

შეგახსენებთ, რომ ახლახან თბილისში, როგორც 2015 წლის ხსენებული ფესტივალის მასპინძლობის კანდიდატ ქალაქში, შესაძლებლობების გაცნობის მიზნით ევროპის ოთხი ქვეყნის ეოკ-ების ხელმძღვანელები იმყოფებოდნენ. 23 ივნისს კი ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ორი ექსპერტი გვეწვევა, რომლებიც სურვილებს და წინადადებებს გაგვაცნობენ, თავიანთ მოსაზრებებს კი ევროპის ქვეყნების ოლიმპიურ შტაბში წარადგენენ. დავძენთ, რომ ფესტივალის მასპინძელი ქალაქი ბრნოსა და თბილისს შორის მიმდინარე წლის შემოდგომაზე სერბეთის კონგრესზე აირჩევა.


მარიუს ვიზერი

**თენგიზ თომაშვილი**

ჭადრაკი

# ბაზალეთზე ემზადებიან


ვაჟთა ნაკრები გია გიორგაძესთან ერთად

სულ უფრო ცოტა დრო რჩება მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადამდე, რომელსაც შემოდგომაზე (სექტემბერი) ხანტი-მანსიისკი (რუსეთი) უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკეები გაორმაგებული ენერგიით ემზადებიან. ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ საჭადრაკო ოლიმპიადების ისტორიაში პირველად ფიდემ გამარჯვებულებისა და პრიზიორებისთვის ფულადი ჯილდოები დააწესა. პირველ ადგილებზე გასულ ქალთა და ვაჟთა გუნდებს 20-20 ათასი ევრო გადაეცემათ, მეორე-მესამე ადგილოსნებს, შესაბამისად, 12-12 და 8-8 ათასი. კომბინირებულ ჩათვლაში საუკეთესო ეროვნული ნაკრები (ქალთა შედეგს+ვაჟთა შედეგი) **ნონა გაფრინდაშვილის** პრიზთან ერთად 10 ათასი ევროთი დაჯილდოვდება, მეორე-მესამე პრიზიორები კი 6 და 4 ათას მიიღებენ. ფულადი ჯილდოებია დაწესებული ქალთა და ვაჟთა თითოეულ დაფაზე სამ-სამი საუკეთესო შედეგის მქონე მოჭადრაკეებისთვის, შესაბამისად, 5, 3 და 2 ათასი ევრო.

საჭადრაკო ოლიმპიადისთვის მზადებას შეუდგნენ ქართველი დიდოსტატები, რომლებიც ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით ბაზალეთის ტბაზე თანამედროვე ტურისტულ კომპლექსში შეიკრიბნენ. საწვრთნელ შეკრებას გაივლიან წინა ოლიმპიადის ჩემპიონი ქალთა ნაკრები და ვაჟთა გუნდი ასეთი შემადგენლობით: **მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნანა ძაგნიძე, სალომე მელია, სოფიკო ხუხაშვილი** (კაპიტანი **ნინო გურიელი**, მწვრთნელები — **ხვიჩა სუპატაშვილი** და **ზურაბ სტურუა**); **ბაადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი, თამაზ გელაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი** და **ლევან ფანცულაია** (კაპიტანი **თამაზ გიორგაძე**, მწვრთნელი **დავით არუთინიანი**) ფედერაციის პრეზიდენტის **გია გიორგაძის** საერთო ხელმძღვანელობით.

**ვაჟა დანელია**

მომავალი კადრები

# სპორტული ტური თბილისის ბაზებზე

ორიოდე კვირაც და საქართველოს საჯარო სკოლებში ეროვნული გამოცდები დაიწყება. 218-მა აბიტურიენტმა მომავალი პროფესიის დასაუფლებლად სწავლის გაგრძელება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტის ფიზაღზრდის მასწავლებლისა და მწვრთნელის სპეციალობებზე არჩია. 12, 14 და 15 ივნისს მათ თბილისის ბაზებზე სპეციალურ მომზადებაში ნორმატივები სპორტის სახეობათა ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლებს ჩააბარეს, რაც წლევანდელი სპორტული ტურის სიახლეა.

გთავაზობთ ნორმატივების ჩაბარების ამსახველ ფოტოკადრებს.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტოები















თავისუფალი ჭიდაობა

აზერბაიჯანის ჩემპიონატი

# ახლა გოზიუმოვის საქმე?

ამ დღეებში ბაქოს ოლიმპიური მზადების ცენტრი „სერხედჯი" მოჭიდავეთა ეროვნულ ჩემპიონატს მასპინძლობს. „თავისუფლებმა" უკვე მოილიეს ეს საქმე და რამდენიმე წონაში ფრიად საინტერესო შედეგიც ვიხილეთ. ვფიქრობთ, იქაური ჩემპიონატი ჩვენთვისაც საინტერესო უნდა იყოს, რადგან აზერბაიჯანი ბოლო წლებში ერთ-ერთ წამყვან გუნდად და ჩვენებურთა ძირითად მეტოქედ იქცა. სავარაუდოდ, ჩვენს ფალავნებს სექტემბერში მოსკოვურ მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ მათთან მოუწევთ ჭიდაობა, რომლებმაც ქვეყნის პირველობაში გაიმარჯვეს. თუმცა, ეტყობა, მანამდე ჭიდაობა თავად აზერბაიჯანის ნაკრების კულისებში მიდის, რაც არანაკლებ საყურადღებო უნდა იყოს მკითხველისთვის. საქმე ეხება ევროპის ორგზის ჩემპიონის, მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსან **ხეტაგ გოზიუმოვის** (96) ტრავმას - ამ მიზეზით მან გამოტოვა აზერბაიჯანის პირველობა, თუმცა, როგორც ირკვევა, მას არაფერი აწუხებს.

თუმცა ამაზე ქვემოთ. მანამდე კი ის ვთქვათ, რომ ამ ტურნირში ნაკრების თითქმის ყველა ლიდერი გამოვიდა, მაგრამ მათმა უმეტესობამ ზედა წონაში იჭიდავა. მონაწილეთა შორის ევროპის წლევანდელი, თუმც დისკვალიფიცირებული ჩემპიონი **მაჰმუდ მაგომედოვიც** (55) იყო, რომელმაც ზედა წონაში იჭიდავა და მესამეზეც გავიდა. შეგახსენებთ, რომ ის შარშან უნებართვოდ გადავიდა რუსეთიდან აზერბაიჯანში, რითაც მოქალაქეობის შეცვლის შესახებ რეგლამენტის ორწლიანი მუხლი დაარღვია და ამ ვადის გასვლამდე საერთაშორისო ფედერაციამ უცხოეთში ჭიდაობაც აუკრძალა. შეზღუდვა არ ვრცელდება შიდა შეჯიბრებებზე და მაგომედოვმაც სატურნირო პრაქტიკის მიღების შანსი გამოიყენა.

აზერბაიჯანულმა მედიამ ჩემპიონატის მთავარ მოულოდნელობად **რუსლან დიბირგაჯიევის** (66) მიერ ფინალში **ზელიმხან ჰუსეინოვის** დამარცხება მიიჩნია. დიბირგაჯიევი ლამის უცნობი მოჭიდავეა, ჩეჩენი ჰუსეინოვი კი შარშანდელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორია. მისი მარცხი ამიტომაც მოინათლა სენსაციად, თუმცა ჰუსეინოვმა წლეულს ევროპის ჩემპიონატისთვის შესარჩევი სპარინგიც წააგო, ოღონდ ევროპის მომავალ ჩემპიონ **ჯაბრაილ ჰასანოვთან**. ეტყობა, ჩეჩენმა ფალავანმა მსოფლიოს პირველობაზე წამსვლელ ნაკრებშიც დაკარგა ადგილი. ჰუსეინოვმა ზედა წონაში იჭიდავა, მაგრამ აქაც უშედეგოდ. მაგომედოვის არყოფნაში 55-ში **ჯეიხუნ ალიევმა** იმარჯვა, 60-ში კი ჩემპიონი **აგაჰუსეინ მუსტაფაევი** გახდა, რომელმაც ნაკრებიდან **გაჯი ალიევი** ამოაგდო. ალიევი ამჯერად ფინალშიც ვერ გავიდა - მუსტაფაევმა საჩემპიონო ბრძოლაში **ჯალალ სულეიმანოვი** დასცა, ამ წონის კიდევ ერთი მეტ-ნაკლებად ცნობილი ფალავანი **ნამიკ სევდიმოვი** კი მესამეზე დარჩა.

ძალიან საინტერესოდ წარიმართა ბრძოლები ზედა წონებში, სადაც ლიდერებმა თითო წონით მაღლა გადაინაცვლეს - ევროპის ჩემპიონი **ჩამსულვარა ჩამსულვარაევი** (74) ამჯერად 84-ში გამოვიდა და ჩემპიონიც გახდა, ამ წონის ძველი ლიდერი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი **შარაფ შარიფოვი** კი ახლა 96-ში ვიხილეთ, სადაც ბრინჯაოს დასჯერდა. 74-ში **აშრაფ ალიევმა** გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში მოგვარე - **ელნურ ალიევი** დაჯაბნა.

96 კილოგრამ წონით კატეგორიაში გოზიუმოვის არყოფნაში **ჯამალედინ მაგომედოვმა** გაიმარჯვა, რომელმაც წლეულს ალი ალიევის ტურნირიც მოიგო. ჭიდაობის ქართველ ქომაგს მან თავი ჯერ კიდევ შარშან დაამახსოვრა, როცა თბილისში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გაიმარჯვა. შარშანვე ის ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონიც გახდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩამსულვარაევიც და მაგომედოვიც დაღესტნელები არიან, ანუ აზერბაიჯანელთა ლეგიონერები. მძიმე წონაშიც ასევე ნატურალიზებულმა, ოღონდ ოსმა **ტოხტარ ტემრეზოვმა** გაიმარჯვა, რომელიც ალიევის ტურნირის ფინალში აზერბაიჯანელთა ლიდერთან, ევროპის ჩემპიონ **ალი ისაევთან** სუფთად დამარცხდა. ამჯერად ისაევმა იჭიდავა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ პრიზიორებში არაა. არადა, წინასწარი მონაცემებით, იგი არ ისვენებდა და მასზე მწვრთნელები დიდ იმედებსაც ამყარებდნენ.

ახლა კი იმ მოსალოდნელ ინტრიგაზე, თავში რომ ვახსენეთ გოზიუმოვთან დაკავშირებით. „ლელომ" ადრეც გაცნობათ, რომ ის ამ ჩემპიონატს ტრავმის გამო ტოვებდა, მაგრამ რუსულ ინტერნეტსივრცეში ვრცელდება ინფორმაცია, რომ მას არაფერი აწუხებს და მთელი დატვირთვით ემზადება მსოფლიოს პირველობისთვის. ერთი შეხედვით, ინტერნეტში გავრცელებული ცნობა სარწმუნო არ არის, მაგრამ, მეორე მხრივ, დღეს სოციალური ქსელების როლი ფრიად გაიზარდა და იქ არაფერი იმალება. ბუნებრივია, ეს გადაუმოწმებელი ინფორმაციაა, მაგრამ ფაქტია - ის უმეტესად პირველწყაროდან მოდის. ჰოდა, იქაურ საჭიდაო ფორუმებზე ოსები წერენ, რომ გოზიუმოვს არაფერი აწუხებს და თვითონაც ფრიად გაჰკვირვებია აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **მაგომედ ალიომაროვის** სიტყვები მისი ტრავმის შესახებ. ოსები ეჭვობენ, რომ აზერბაიჯანულ საჭიდაო სამყაროში მოტრიალე დაღესტნელები გოზიუმოვს ნაკრებიდან „მოტეხვას" უპირებენ! ერთი შეხედვით, ასეთი ეჭვი ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ალიომაროვიც, აზერბაიჯანის „თავისუფალთა" მთავარი მწვრთნელი **საიპუდინ აბსაიდოვი** და ამ წონაში გამარჯვებული ჯამალედინ მაგომედოვიც დაღესტნელები არიან, გამორიცხული არაფერია. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ დაღესტნელებს და ოსებს ერთმანეთში დიდი ქიშპი აქვთ, რაც სპორტშიც ხშირად იჩენს თავს. უმთავრესად სწორედ ჭიდაობაში, რადგან იქაურებს სხვა წარმატებული სპორტის სახეობები არც გააჩნიათ. ეს ქიშპი რუსეთის ნაკრებებშიც ხშირად ვლინდება. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ სამი წლის წინანდელი შემთხვევა, როცა ჩვენებური **გიორგი კეტოევის** გამარჯვების შემდეგ დაღესტნელებმა მთელი დარბაზი დალეწეს და მათ დასაშოშმინებლად მილიციის სპეცრაზმიც გამოიძახეს. მუდამ ჩხუბი და აყალმაყალი სდევს შეხვედრებს 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სადაც ოსთაგან ოლიმპიური და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** დგას (უკვე კეტოევიც), დაღესტნელთაგან კი ოლიმპიური ჩემპიონი **შირვანი მურადოვი**. თუმცა რუსეთის ნაკრებში ეთნიკური დაპირისპირება მხოლოდ ამათ შორის არ ხდება - ოლიმპიადის წინ ასევე ყველაფრის მომგებ ჩეჩენ **ბუვაისა საიტიევსა** და ნაკრების ოს თავკაც **ჯამბულათ თედეევს** შორის იმდენად დაიძაბა ურთიერთობა, საქმე ფიზიკურ შეურაცხყოფასაც გასცდა და იარაღის ტრიალამდე მივიდა. მაგრამ არა მხოლოდ მათ შორის - კრასნოიარსკში შეკრებაზე, სადაც ეს კონფლიქტი წარმოიშვა, სოლიდური შეიარაღებული ჯგუფები ჩრდილო ოსეთიდან და ჩეჩნეთიდანაც ჩავიდნენ.

კონკრეტულად „გოზიუმოვის საქმეში" იმთავითვე დამაეჭვა იმან, რომ ალიომაროვს თავის ინტერვიუში არ დაუკონკრეტებია, სად მიიღო ან რა სახის ტრავმა ჰქონდა გოზიუმოვს... რუსულ ფორუმებზე წაკითხულის შემდეგ ძალაუნებურად გამახსენდა გოზიუმოვის ინტერვიუც უკრაინულ მედიასთან, რომელიც ევროპის წლევანდელი პირველობის შემდეგ მისცა - აშკარად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გოზიუმოვი უკრაინელებს მიანიშნებდა, სარფიანი შემოთავაზების შემთხვევაში თქვენს ნაკრებშიც გადმოვალო...

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

# ავსტრიისკენ...




საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ერთი კვირის წინ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მზადებას შეუდგა. მართალია, ახალგაზრდები წლეულს B დივიზიონში ითამაშებენ, მაგრამ ეროვნული ნაკრებისგან განსხვავებით, B ლიგიდან ევროპის ჩემპიონატამდე ერთი ნაბიჯი აშორებთ: ევრო 2011-ის საგზურის მოსაპოვებლად საჭიროა წლეულს ქვედა ლიგის ფინალში გასვლა. ეს ქართველმა ახალგაზრდებმა 2006 წელს შეძლეს - **ვიქტორ სანიკიძის** წინამძღოლობით **დავით უსტიაშვილის** განვრთნილმა 20-წლამდელებმა B დივიზიონის ფინალი მოიგეს და მომდევნო წელს ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს. მას მერე, სამი წლის განმავლობაში ახალგაზრდულ ნაკრებს სათავეში დავით უსტიაშვილი ედგა. წლეულს იგი მისმა ასისტენტმა **მიხეილ ბერუაშვილმა** შეცვალა, რომელმაც მაისში „ენერჯისთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. ბერუაშვილის ასისტენტად ახალგაზრდულში **ზაზა გაბისონია** დაინიშნა. ეს დუეტი რამდენიმე წლით ადრე ერთად იცავდა რუსთავის „აზოტის" ღირსებას.

საინტერესოა, რომ რუსთაველ მწვრთნელთა ახალგაზრდულ გუნდში „ენერჯის" ოთხი წარმომადგენელია (**აკაკი დვალიშვილი, ზურაბ მაჭავარიანი, ლევან ხმელიძე, რევაზ ჩაჩანიძე**). ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან წლეულს საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი სწორედ რუსთაველთა გამარჯვებით დასრულდა, საუკეთესო კალათბურთელის ჯილდო კი აკაკი დვალიშვილს ერგო.

როგორც ყოველთვის, ლეგიონერები ამ ფორმაციის ნაკრებშიც არიან. გამთამაშებელი **გივი ბაქრაძე** გასულ სეზონში ფინური „კორიკობრატის" ღირსებას იცავდა, **თორნიკე შენგელია** და **გიორგი შარაბიძე** ესპანურ „ვალენსიას" წარმოადგენენ, ხოლო **ბექა ჩიკვილაძე** ასევე ესპანურ „ალბასეტეში" ირჯებოდა. ბაქრაძე და ჩიკვილაძე შარშან ჭაბუკთა ნაკრებში თამაშობდნენ, შენგელია ახალგაზრდულის ბომბარდირი გახდა (17.4 ქულა), ხოლო შარაბიძე შარშან 20-წლამდელებს ტრავმის გამო ვერ დაეხმარა. ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის გამოცდილება აქვთ **გიორგი კვეტენაძეს, გიორგი ნანიტაშვილს** და **ზურაბ მაჭავარიანს**. ისინი დავით უსტიაშვილის გუნდში შარშან თამაშობდნენ.

მიხეილ ბერუაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს ხუთი კალათბურთელი, რომელთაც საერთაშორისო სარბიელზე ერთხელაც არ უთამაშიათ: **გიორგი ყიფიანი ნიკა ცქიტიშვილის** ძმაა. ისიც ტანმაღალი ფორვარდია და ამერიკის კოლეჯების ლიგაში თამაშობს; **გიორგი რევაზაშვილი** „მაკაბის" ღირსებას იცავს. გიორგი შერმადინის მსგავსად, ისიც ეფექტური მონაგარით გამოირჩევა - 20-წლამდელთა საქართველოს პირველობაზე საშუალოდ 31.8 ქულასა და 14.7 მოხსნას აგროვებდა; რევაზ ჩაჩანიძემ და ლევან ხმელიძემ „რუსთავის" 20-წლამდელთა გუნდის გაჩემპიონებაში დიდი წვლილი შეიტანეს. ისინი აკაკი დვალიშვილთან და ზურაბ მაჭავარიანთან ერთად სუპერლიგაში პირველადგილოსან „ენერჯისაც" დაეხმარნენ; მართალია, უმაღლეს ლიგაში „აკადემიას" მაღალი შედეგისთვის არ მიუღწევია (ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავდა), მაგრამ მეფარე **ბექა ბექაურმა** ტოლი არ დაუდო გამოცდილ ცენტრებს - **ჟულიენ ტუჯანს, პლასიდე როდუმტასა** და **დავით იმნაძეს**. ბექას საშუალოდ 2.5 დაფარება მოუგროვდა, რაც წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო შედეგი აღმოჩნდა.

ვერ ვიტყვით, რომ 1990-91 წლიანთა გუნდი 1986-იანთა ახალგაზრდული ნაკრების მსგავსად შეკრულია, თუმცა არანაკლებ პერსპექტიული რომ არის, ეს ცხადია. თუნდაც შემადგენლობიდან გამომდინარე, მიხეილ ბერუაშვილის გუნდს B დივიზიონის ფინალში გასვლა ნამდვილად ხელეწიფება, მაგრამ ასევე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქვედა ლიგაში ამბიციური გუნდებიცაა ჩვენი ჯგუფის ბინადარი ისრაელის, პოლონეთის, ბულგარეთის, ბელგიის სახით.

პირველ ჯგუფურ ეტაპზე 17 ნაკრები ოთხ ჯგუფად განაწილდა. თითო ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე საუკეთესო სამეული გავა და შეიქმნება ორი მეოთხედფინალური ქვეჯგუფი (ექვსექვსი გუნდით). ამ ჯგუფების პირველ-მეორეადგილოსნები ნახევარფინალებს ითამაშებენ და ფინალის საგზურის მფლობელები ავტომატურად მიიღებენ ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე თამაშის ლიცენზიას.

ახლა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების თავკაცს, მიხეილ ბერუაშვილის მოვუსმინოთ.

- მეორე კვირაა, შევიკრიბეთ და გაფართოებული შემადგენლობით ვემზადებით. ვარჯიშებს „აკადემიას" დარბაზში დღეში ორჯერ ვატარებთ. 13 ივლისამდე ასე განვაგრძობთ, შემდეგ კი B დივიზიონის მატჩებისთვის ავსტრიაში გავფრინდებით. ტურნირი 14-ში დაიწყება.

**- ლეგიონერები, შენგელია და შარაბიძე ჩამოვიდნენ?**

- შენგელია უკვე თბილისშია და შაბათიდან შემოგვიერთდება. გიორგი შარაბიძე კი ჯერ არ ჩამოსულა.

**- როდის ელით?**

- გიორგისა და თორნიკეს ესპანეთის საბუთები უნდა აელოთ. შენგელიამ მიილო და ამიტომაც ჩამოვიდა. შარაბიძე ჯერაც ელის და საბუთის მიღებისთანავე შემოგვიერთდება.

**- სადღეისოდ გუნდში 15 კალათბურთელი ვარჯიშობს. ეს რიცხვი 12-მდე როდის შეიკვეცება?**

- ივლისის დასაწყისამდე ამ შემადგენლობით ვივარჯიშებთ. გვინდა, თავის გამოჩენის შანსი ყველას მივცეთ. საბოლოო სიას ავსტრიაში გამგზავრების წინ ჩამოვწერთ.

**- ოფიციალურ მატჩებამდე საკონტროლო შეხვედრები არ დაგიგეგმავთ?**

- ჯერ ვერაფერს ვიტყვი. მიმდინარეობს მუშაობა და შეიძლება თურქეთში ჩავატაროთ ამხანაგური შეხვედრები. თუ ეს ვერ მოხერხდა, ვარჯიშს ჩვეულებრივად, „აკადემიას" დარბაზში განვაგრძობთ.

**- 2006 წელს ახალგაზრდული ნაკრები B დივიზიონში სათამაშოდ ისე გაემგზავრა, ერთი საკონტროლო შეხვედრაც არ ჩაუტარებია. თუმცა ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა...**

- ჩვენი მიზანი ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებაა. რა თქმა უნდა, მაღალი მიზნებისთვისაც ვიბრძოლებთ. დანარჩენს უშუალოდ შეჯიბრებისას ვნახავთ.

**კალენდარი**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| **14 ივლისი** | |
| 15:30 | ისრაელი-შვედეთი |
| 17:45 | უნგრეთი-საქართველო |
| **16 ივლისი** | |
| 15:30 | საქართველო-ისრაელი |
| 17:45 | შვედეთი-უნგრეთი |
| **18 ივლისი** | |
| 20:00 | ისრაელი-უნგრეთი |
| 22:15 | საქართველო-შვედეთი |

ვაჟა სიმონიშვილი

**შემადგენლობა**

| მოთამაშე | დაბ. თარ | სმ | გუნდი |
|---|---|---|---|
| გივი ბაქრაძე | 26.05.1991 | 185 | კორიკობრატი (ფინეთი) |
| ბექა ბექაური | 18.01.1991 | 207 | აკადემია |
| რევაზ ჩაჩანიძე | 31.07.1990 | 185 | რუსთავი |
| ბექა ჩიკვილაძე | 12.02.1991 | 195 | ალბასეტე (ესპანეთი) |
| აკაკი დვალიშვილი | 14.02.1991 | 206 | რუსთავი |
| ლევან ხმელიძე | 12.07.1990 | 195 | რუსთავი |
| გიორგი ყიფიანი | 12.02.1990 | 206 | აშშ |
| გიორგი კვეტენაძე | 16.01.1990 | 202 | სოხუმი |
| სოსო ლეჟავა | 31.05.1991 | 185 | აკადემია |
| აკაკი ლომოური | 17.01.1991 | 196 | აკადემია |
| ზურაბ მაჭავარიანი | 22.05.1990 | 192 | რუსთავი |
| გიორგი ნანიტაშვილი | 12.04.1990 | 186 | დინამო |
| გიორგი რევაზაშვილი | 24.01.1991 | 208 | მაკაბი |
| გიორგი შარაბიძე | 27.04.1990 | 210 | ვალენსია (ესპანეთი) |
| თორნიკე შენგელია | 05.10.1991 | 207 | ვალენსია (ესპანეთი) |
| ტატო თავართქილაძე | 16.02.1991 | 193 | ბათუმი |

ჩოგბურთი

# ფავორიტებს წითელს ვერ უნთებენ

თბილისის თასის გათამაშების მონაწილეებმა ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე მეორე წრის შეხვედრები გამართეს. Fფავორიტთა უმრავლესობამ მომდევნო ეტაპზე, ფაქტობრივად, უპრობლემოდ გააღწია. 14-წლიან ვაჟებში პირველ ნომრად განთესილმა **შოთა მეფარიძემ** იოლად მოუგო (6:0, 6:1) სომეხ **მიქაელ ხაჩატრიანს**, რომელიც ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ტურნირიდან მოხვდა. წარმატებას მიაღწია რუსეთის სახელით მოასპარეზე **ფილიპ ალექსანიანმა**. თანატოლთა შორის მეორე ნომერმა მოლდოველი **მაქსიმ ბულატი** დაამარცხა — 6:2, 6:3. ალექსანიანი მეოთხედფინალში **საბა ხუციშვილის** მძლეველ (6:1, 6:0) **ალექსანდრე ბაკშის** (ორივე — საქართველო) დაუპირისპირდება. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სტეფანოს წიწიბასი (საბერძნეთი)-დემეტრე მაღრაძე (საქართველო) 6:2, 6:4, ვადიმ კუზნეცოვი (რუსეთი)-სანდრო სვანიძე (საქართველო) 6:2, 6:1, დემურ დავითაძე (საქართველო)-არშაკ ხაზარიანი (სომხეთი) 7:5, 6:4. დავიდ ფან რიუსენი (გერმანია)-მერთ ზინგირლი (თურქეთი) 6:2, 6:2.

გოგონებში **ეკატერინე ლასარეიშვილი** (საქართველო) ბერძენ **მარია ბოცასთან** დამარცხდა 3:6, 2:6, სამაგიეროდ, იყოჩაღა მე-4 ნომერმა **ლიზი ნადიბაიძემ**, რომელმაც **მარიამ ამირანაშვილს** მოუგო 6:1, 6:0. **ეგე ტომიმ** (თურქეთი)-ანა ილიკიანი (რუსეთი) დაჯაბნა 6:4, 4:6, 7:5, მარიამ მითაიშვილი (საქართველო) ნაზალ უნლუგე (თურქეთი) 4:6, 7:6, 6:4, ირინე ყარანგოზიშვილი (საქართველო)-ჯესიკა რეგერი (გერმანია) 6:2, 6:3, მარიამ ბოლქვაძე-ხატია ქურხული (ორივე — საქართველო) 6:3, 6:2, იანა მინასიანი (მოლდოვა)-ნანო ჯანელიძე (საქართველო) 6:0, 6:1.

16-წლიან ვაჟებში შესანიშნავად ითამაშეს ფავორიტებმა - **მიხეილ ხმიადაშვილმა** და **ალექსანდრე დავლიანიძემ** (ორივე - საქართველო), რომლებმაც, შესაბამისად, **ნიკო მურადაშვილსა** (რუსეთი, 6:4, 7:6) და **ალიაქსანდრ პრუდნიკაუს** (ბელარუსი, 4:6, 6:0, 6:0) დააყრევინეს ფარ-ხმალი. მესამე ნომრად განთესილმა **ლუკა ფილფანმა** (საქართველო) სამსეტიან პაექრობაში ბელარუს **ანტონ ჰერასიმჩუკს** აჯობა - 6:3, 1:6, 6:4. დანარჩენი შეხვედრები: პიოტრ ლომაკი (პოლონეთი)-გიორგი ლოქაპიშვილი (საქართველო) 6:0, 6:2, ანდრეი რეჩკინი (რუსეთი)-ანტონ რედვანოვი (უკრაინა) 6:0, 3:6, 6:3, კონსტანტინ სტრიჟკოვი (რუსეთი)-ლევან ბუკუკიშვილი (საქართველო) 6:2, 6:1, ანტონ კოზლოვი (რუსეთი)-არმან დანიელიანი (სომხეთი) 6:4, 6:1, ნიკოლოზ ყაჭეიშვილი (საქართველო)-პასქალ კლოსი (პოლონეთი) 4:6, 6:3, 6:3.

გოგონებში **ბარბარე ერისთავმა** ძალების დაუძაბავად დაამარცხა (6:2, 6:3) **ანი პოპიაშვილი** (ორივე-საქართველო). **ანი გოგვაძემ** (საქართველო,3) უფრო იოლად სძლია ბელარუს **მაშა კონიშნავას** - 6:0, 6:1. მომდევნო ეტაპზე გასვლა არ გასჭირვებია მეორე ნომრად განთესილ **ტამარა ფიჩხაძესაც** (რუსეთი), რომელმაც უკრაინელ **დიანა ტოკარს** მოუგო-6:2, 6:1. დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: გოზდემ აკისენი-ექემ მერსინი (ორივე-თურქეთი) 6:2, 6:1, მარიამ დოლაშვილი (უკრაინა)-ბუსრა კაირუნი (თურქეთი) 6:4, 6:3, მარიამ გოგელაშვილი (საქართველო)-ალინა აგეიჩიკი (ბელარუსი) 6:3, 7:6, თინა ბოხუა (რუსეთი)-მარიამ კიკნაძე (საქართველო) 6:3, 6:2, ალინა ზუბკოვა (ბელარუსი)-ირემ ბუგდაიჩი (თურქეთი) 6:2, 6:1.

წყვილები. **ვაჟები.** ალექსანდრე დავლიანიძე, ლუკა ფილფანი (ორივე-საქართველო)-ნიკოლოზ ყაჭეიშვილი, გიორგი კვერნაძე (ორივე-საქართველო) 6:3, 6:1, ანტონ რედვანოვი (უკრაინა), არმან დანიელიანი (სომხეთი)-ვაჟა ბენიძე, კარენ სარქისიანი (საქართველო) 6:1, 6:0. **გოგონები.** ბარბარე ერისთავი, ანი გოგვაძე (საქართველო)-აიდან ალიზადა (აზერბაიჯანი), ლანა ფოსტიაშვილი (საქართველო) 6:2, 6:1, გოზდემ აკისენი, ექემ მერსინი (თურქეთი)-მარიამ დოლაშვილი, დიანა ტოკარი (ორივე-უკრაინა) 2:6, 7:6, 13:11, მარიამ კიკნაძე, კლეოპატრა ქარუმაშვილი (საქართველო)-ირემ ბუგდაიჩი, ბუსრა კაირუნი (თურქათი) 7:6, 6:1, ტამარა ფიჩხაძე (რუსეთი), ალინა ზუბკოვა (ბელარუსი)-მარიამ გოგელაშვილი,მარიამ სხირტლაძე (საქართველო) 6:1, 6:1.

დღეს მეოდხედფინალური პაექრობები გაიმართება.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი




# რა დაემართა ბასილაშვილს?

18 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (593) კალიფორნიის ქალაქ დევისში ასპარეზობდა, სადაც პირველივე წრეში დამარცხდა 24 წლის ამერიკელ **ტოდ პოლთან** (565) - 3:6, 6:3, 4:6. წააგო წყვილთა თანრიგშიც, სადაც ამერიკელ **სეკუ ბანგურასთან** (889) ერთად ასპარეზობდა. საქართველოს პირველი ჩოგანი ძალიან ცუდ ფორმაშია, მან მე-9 მატჩი წააგო, ნიკას 2 მარტის შემდეგ არ მოუგია.

**ოქსანა კალაშნიკოვა** (161) კი საბოლოოდ დაემშვიდობა უიმბლდონის ტურნირს, წყვილთა საკვალიფიკაციო ბადის პირველ წრეში მან და რუსმა **ვესნა მანასიევამ** (126) პირველ წრეში დაამარცხეს მე-5 ნომრად განთესილები, შვედი **იოჰანა ლარსონი** (84) და ავსტრიელი **ივონ მოისბურგერი** (82), მაგრამ ფინალურ წრეში დათმეს მე-2 ნომრად განთესილებთან, ბერძენ **ელენი დანილიდუსთან** და გერმანელ **იასმინ ფორთან** (80 წყვილებში) - 3:6, 0:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დიმიტრი იაშვილთან



# კაპიტნის სამკლავური არ მაინტერესებს

საფრანგეთის ნაკრებს პირველად უკაპიტნებს ქართული წარმოშობის ფრანგი ცხრა ნომერი დიმიტრი იაშვილი. ეს გადაწყვეტილება „ლე ბლეს“ თავკაცმა მარკ ლივერმონმა ორიოდე დღის წინ მიიღო. „იაშის“, რომელიც ბოლო დროს ნაკრების განაცხადში ვერ ხვდებოდა, ეს პატივი მუხლჩაუხრელი შრომისა და საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების გამო ერგო.

უკაპიტნო ნაკრებს, რომელიც ჩრდილოეთ ნახევარსფეროს საუკეთსო გუნდია, ცხადია, უდიდესი პასუხისმგებლობაცაა, მით უფრო, რომ მეტოქე ბუენოს აირესში არგენტინის საკმაოდ ძლიერი ნაკრებია, რომელთანაც „ლე ბლეს“ ძველი ანგარიშები აქვს გასასწორებელი. ყოველივე ამის შესახებ „იაშის“ ფრანგული სარაგბო ვებგვერდის lesiterugby-ის ჟურნალისტი ესაუბრა, რომლის შემოკლებულ ვარიანტსაც გთავაზობთ.

**- მარკ ლივერმონმა გადაწყვიტა, საფრანგეთის ნაკრებს არგენტინელებთან მატჩში გასძღოლოდით. თქვენთვის ეს მოულოდნელი იყო?**

- კაპიტნობაზე არასდროს მიფიქრია. ის, რომ კაპიტანი ვარ, არაფერს ცვლის. ჩემი ამპლუა, ცხრა ნომრის პოზიციაზე თამაში, ისედაც მავალდებულებს, გუნდს წარვუძღვე, შეტევების ორგანიზებას ვუხელმძღვანელო. ასე რომ, ამაში ახალს ვერაფერს ვხედავ. ცხადია, კაპიტნობა მაინც არის გარკვეული პასუხისმგებლობა, მაგრამ ჩემთვის ის დამატებითი ფსიქოლოგიური ტვირთი არ არის.

**- რას ეტყვით თამაშის წინ გუნდს?**

- ის კაცი არ ვარ, ვინც რევოლუციური ცვლილებების მომხრეა. მინდა, ბოლომდე თავდადებით მებრძოლი გუნდის კაპიტანი ვიყო. ჩემი მიმართვა გუნდისადმი უკვე დავიწყე. მორაგბეებს ყოველდღე ველაპარაკები და სულაც არ არის საჭირო, რაიმე განსაკუთრებული მატჩის წინ ვთქვა. ყველას კარგად აქვს გათვითცნობიერებული, შაბათს როგორი ბრძოლა გველის.

**- ნაკრებს ამ შემადგენლობით არასდროს უთამაშია. მოასწრებთ საკმაოდ მცირე დროში შეთამაშებას, საერთო ენის გამონახვას?**

- ამაზე ბევრს ვფიქრობთ, ვმუშაობთ. ვნახოთ, რა გამოვა. უნდა ვეცადოთ, მატჩის დასაწყისშივე მოვიპოვოთ ქულები, რაც მღელვარებას მოგვიხსნის და საქმეს საგრძნობლად გაგვიადვილებს. ისე, ამ ფორმაციის ნაკრებშიც საკმაოდ ბევრი გვყავს გამოცდილი მოთამაშე, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში გუნდის ლიდერობა შეუძლიათ.

**- ცივი შხაპი, რომელიც სამხრეთ აფრიკაში მიიღეთ, დავიწყებულია?**

- სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მატჩის ვიდეოფირი გულისყურით შევისწავლეთ. ვიცით, თამაშის რომელ კომპონენტებში გამოვიყურებოდით ძალიან სუსტად. ჩვენ ზრდასრული ადამიანები ვართ და ძალიან კარგად გვესმის მდგომარეობის სიმწვავე. ქრილობაზე მარილს ნუ დაგვაყრით. მომხდარზე ისედაც ვწუხვართ, განვიცდით.

ახლა მთავარია, დაშვებული შეცდომები გავითვალისწინოთ და იგივე არგენტინის ნაკრებთან მატჩში აღარ გავიმეოროთ. ვაპირებთ, საკმაოდ აგრესიულად ვითამაშოთ. ვფიქრობთ, არგენტინელების ძლევა შეუძლებელი იქნება, თუ მათ ფიზიკურად ვერ დავჯაბნით. ამიტომ მთელი ყურადღება ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე გვაქვს გადატანილი.

**- საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა „პუმებთან“ მატჩში, ბუნებრივია, მხოლოდ გამარჯვება დაგისახათ მიზნად. ფსიქოლოგიურად საამისოდ მზად ხართ?**

- ამაზე არასდროს ვფიქრობ. არგენტინას ეთამაშები თუ სხვას, მნიშვნელოვანია მატჩი თუ არა, ყველა შემთხვევაში მოედანზე მოსაგებად გავდივარ. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ვალდებული ვარ, გუნდს გამარჯვებისკენ გავუძღვე და მნიშვნელობა არ აქვს, ამ დროს კაპიტნის სამკლავური მიკეთია თუ არა. მე ეს არ მაინტერესებს. ჩემი მიზანია, დავამტკიცო, რომ ნაკრებში ძირითადი ცხრა ნომერი ვარ.

ტესტები

# გენია და გიტო ვოლაბებს დაუბრუნდნენ

**მეთ გიტო** და **ვილი გენია** ავსტრალიის ნაკრებს დაუბრუნდნენ. ისინი სიდნეიში ინგლისის ნაკრებთან მორიგ ტესტმატჩში ძირითად შემადგენლობაში იქნებიან.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ მატჩში ცხრა ნომრის პოზიციაზე **ლუკ ბერჯესმა** ბრწყინვალედ ითამაშა, „ვოლაბების“ მთავარმა მწვრთნელმა **რობი დინსმა,** ვილი გენიას დაყენება გადაწყვიტა. ვილიამს მუხლის მყესი ჰქონდა დაჭიმული და ახლა აბსოლუტურად ჯანმრთელია. აღსანიშნავია, რომ შარშან ნოემბერში „თვინქემზე“ ინგლისთან მატჩში, რომელიც „ვოლაბებმა“ 18:9 მოიგეს, გენია საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ტრავმა მოიშუშა და შუამარბის პოზიციას დაიკავებს ავსტრალიელთა მთავარი დამრტყმელი მეთ გიტო. არადა, მის არყოფნაში კარში დარტყმებს მშვენივრად გაართვა თავი ფულბეკმა **ჯეიმზ ოკონორმა**. ერთი სიტყვით, ინგლისელებს მეორე შეხვედრაში ავსტრალიელთა საგრძნობლად გაძლიერებულ უკანა ხაზთან მოუწევთ ბრძოლა.



ვილი გენია

რობი დინსმა არ იცის, რა მოუხერხოს შერკინების პირველ ხაზს. მას **ტატაფუ პოლოტა-ნაუს** იმედი ჰქონდა, მაგრამ მან სამშაბათს ავსტრალიელი „ბარბაროსების“ შემადგენლობაში ითამაშა და ტრავმა გაიმიზეზა იმდენად, რომ ოპერაცია დასჭირდა.

ავსტრალია: 15. ჯეიმზ ოკონორი, 14. დიგბი იოანი, 13. რობ ჰორნი, 12. მეთ გიტო, 11. დრიუ მიტჩელი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია

1. ბენ დეილი, 2. სალა ფაინგაა, 3. სალესი მააფუ, 4. დენ მამი, 5. ნათან შარფი, 6. როკი ელსომი, 7. დავიდ პოქოქი, 8. რიჩარდ ბრაუნი

16. ჰაია ედმონდსი, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. მარკ ჩისჰოლმი, 19. მეთ ჰოჯსონი, 20. ლუკ ბერჯესი, 21. ბერიკ ბარნსი, 22. ადამ ეშლი-კუპერი.

# ვილკო ისევ სათადარიგოა

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა** ავსტრალიელებთან მეორე მატჩისთვის ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა. „ლესტერის“ ცხრა ნომერი **ბენ იუნგზი დენ კერის** შეცვლის, ხოლო ნორსჰემპთონელი **კორტნი ლავი** მეორე ხაზში **საიმონ შოუს** ჩაანაცვლებს.

ორივე ამ მორაგბეს ინგლისელთა თამაშში მეტი დინამიზმი შეაქვს, რაც აგრერიგად აკლდათ „პომებს“ ავსტრალიელებთან პირველ მატჩში. ავსტრალიელთა გასაკვირად, ჯონსონმა ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა **ჯონი ვილკინსონი** და ამჯერადაც უპირატესობა ახალგაზრდა **ტობი ფლუდს** მიანიჭა.



ბენ იუნგზი

ტრავმა მოიშუშა და შუამარბად ითამაშებს **მაიკ თინდოლი**. განაცხადში ვერ მოხვდა **მეთიუ ტაიტი**, ვის მაგივრადაც სათადარიგოთა შორის ჯონსონმა **დელონ ერმითიჯი** დასვა.

ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. მარკ კეიტო, 13. მაიკ თინდოლი, 12. შონთაი ჰეპი, 11. კრის ეშტონი, 10. ტობი ფლუდი, 9. ბენ იუნგზი

1. ტიმ პაინი, 2. სტივ თომპსონი, 3. დენ კოლი, 4. კორტნი ლავი, 5. ტომ პალმერი, 6. ტომ კროფტი, 7. ლუის მუდი, 8. ნიკ ისთერი

16. ჯორჯ ჩატერი, 17. დევიდ ვილსონი, 18. საიმონ შოუ, 19. ჯეიმზ ჰესკელი, 20. დენი კერი, 21. ჯონი ვილკინსონი, 22. დელონ ერმითიჯი.

# უელსს ბიშოპი დაუბრუნდა

ორი კვირის წინ კარდიფში სამხრეთ აფრიკასთან გამართული მატჩის შემდეგ უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **უორენ გეთლენდმა** სამი ცვლილება განახორციელა. ახალი ზელანდიის ნაკრებთან დანიდინში შეხვედრისას „ოსფრიზის“ შუამარბი **ენდრიუ ბიშოპი** თანაკლუბელ **ჯეიმზ ჰუკს** შეცვლის.

მესამე ხაზში სუონსელი **გევინ თომასი** „კარდიფ ბლუზის“ ფლანკერის **სემ ვერბარტონის** ნაცვლად ითამაშებს. სავარაუდოდ, ახალზელანდიელებთან მატჩში დებიუტი ექნება ცხრა ნომერ **ტევის ნოილს,** რომელიც გეთლენდმა სათადარიგოთა შორის დაასახელა.

„ენდრიუ ბიშოპი წლეულს ერთ-ერთი საუკეთესო შუამარბი იყო „მაგნერს ლიგის“ გათამაშებაში. გევინ თომასი გამოცდილი მესამეხაზელია, მას ზურგს საერთაშორისო შეხვედრების დიდი გამოცდილება უმაგრებს. ტევის ნოილი კი ნამდვილად იმსახურებს შანსს, შესაძლებლობები წარმოაჩინოს.



ენდრიუ ბიშოპი

ჩვენ შაბათს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვსტუმრობთ. ამ მატჩის მნიშვნელობა ყველა მორაგბეს გათავისებული აქვს და მე ყველა მათგანის შესაძლებლობებისა და მონდომების მჯერა“ - ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება გეთლენდმა.

უელსი: 15. ლი ბირნი, 14. ლეიგ ჰალპფენი, 13. ენდრიუ ბიშოპი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. ტომ პრიდლი, 10. სტივენ ჯოუნზი, 9. მაიკ ფილიპსი

1. პაულ ჯეიმზი, 2. მეთიუ რისი, 3. ადამ ჯოუნსი 4. ბრედლი დევისი, 5. ალუნ-ვინ ჯოუნზი, 6. ჯონათან თომასი, 7. გევინ თომასი, 8. რაიან ჯოუნზი

16. ჰიუ ბენეტი, 17. ჯონ ჰაპი, 18. დენიელ ჯოუნზი, 19. რობ მაკასკერი, 20. ტევის ნოილი, 21. დენ ბიგარი, 22. ჯონათან დევისი.

# მალეტს პირველი ხაზის ეიმედება

შაბათს ვაითბენკში გასამართ სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ მატჩში იტალიის ნაკრების სამხრეთაფრიკელ თავკაცს **ნიკ მალეტს** თავისი პირველხაზელების იმედი აქვს.

„ბოკეს“ პირველ ხაზში კაპიტანი **ჯონ სმიტი** არ ეყოლება - მას **ჩილიბოი რელეპელე** შეცვლის. „სკუადრა აძურა“ კი ძირითადი მორკინალებით წარდგება მაყურებლის წინაშე. მეტიც, გუნდს ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო რვა ნომერი **სერჯო პარისე** დაუბრუნდა.

„ჩვენ საკმაოდ ძლიერი პირველი ხაზი გვყავს, „ბოკეს“კი ამ კომპონენტში გარკვეული პრობლემები აქვს. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს?

სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა ერთი კვირის წინ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს საუკეთესო გუნდი, საფრანგეთის ნაკრები დამაჯერებლად დაამარცხა [illegible] და დაამტკიცა, [illegible] მსოფლიოში უძლიერესია.



სერჯო პარისე

ჩვენთან სათამაშოდ პიტერ დე ფილიერსმა შემადგენლობა საგრძნობლად გადაახალისა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ „ბოკე“ აგდებულად გვეკიდება. ვფიქრობთ, სამხრეთ აფრიკა ნებისმიერი შემადგენლობით ძლიერი მეტოქეა და ვაცნობიერებთ, რომ საკმაოდ მძიმე ბრძოლა გველის“, - თქვა ნიკ მალეტმა

იტალია: 15. ლუკ მაკლინი, 14. კინ რობერტსონი, 13. ანდრეა მასი, 12. მატეო პრატიკეტი, 11. მირკო ბერგამასკო, 10. კრეიგ გოვერი

1. სალვატორე პერუჯინი, 2. ლეონარდო ჯილარდინი, 3. მარტინ კასტროჯოვანი, 4. ვალერიო ბერნაბო, 5. კვენტინ გელდენჰაუზი, 6. სიმონე ფავარო, 7. ალესანდრო ძანი, 8. სერჯო პარისე

16. ფაბიო ონგარო, 17. ლორენცო ჩიტადინი, 18. მარკო ბორტ... 19. პაულ ...ირი, 20. სიმონე პიკონე, 21. რიკარდო ბოჩინო, 22. გონსალო კანალე.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

კალათბურთი

## იუტას მუსიკალური ლოგო

„იუტა ჯაზმა“ ახალი სეზონისთვის ლოგოს შეცვლა გადაწყვიტა.

გაზეთ Salt Lake Tribune-ის ინფორმაციით, „ჯაზმენები“ ახალ სეზონში ახალი ფორმითა და ახალი ემბლემით ითამაშებენ. როგორც იტყობინებიან, გუნდის ახალ სათამაშო ფორმას ოფიციალურად 16 აგვისტოს წარადგენენ.

კლუბის ხელმძღვანელობამ ემბლემაზე სამთო თემატიკა მოაშორა და უფრო მკაფიო გახადა მუსიკალური მოტივები.

## პუერტო რიკოს სამი ამერიკელი

პუერტო რიკოს ნაკრების ხელმძღვანელობამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. მთავარმა მწვრთნელმა **მანუელ კინტრონმა** სიაში 24 ადამიანი შეიყვანა. აქედან 17 მოთამაშე პუერტო რიკოს ჩემპიონატს წარმოადგენს. რაც შეეხება ნაკრების ვარსკლავებს, აქ უნდა ალინიშნოს **კარლოს აროიო** „მაიამი ჰიტიდან“, **რენალდო ბელკმანი** „დენვერ ნაგეტსიდან“ და **ხოსე ხუან ბარეა** „დალას მავერიქსიდან“.

შემადგენლობაში ვხედავთ **დანიელ სანტიაგოსა და გილერმო დიასს**, რომლებმაც მრავალი წელი ევროპაში ითამაშეს და ახლა პუერტო რიკოს წამყვან კლუბ „კაპიტანოსში“ გამოდიან.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში პუერტო რიკოს მეტოქეები არიან - საბერძნეთი, თურქეთი, რუსეთი, ჩინეთი და კოტ დ'ივუარი.

ჩოგბურთი

## უიმბლდონის დასაწყისი

უიმბლდონის ტურნირის ქალთა ბადემ ორი დანაკლისი განიცადა. „დიდი სლემის“ რიგით მესამე ჩემპიონატიდან განაცხადი გამოიტანეს ფრანგმა **ვირჟინ რაზანომ** და გერმანელმა **საბინ ლისიცკიმ**.

შარშანდელი ტურნირის მეოთხედფინალისტმა ლისიცკიმ ვერ მოასწრო ფეხის ტრავმის მკურნალობა, რომელიც ჯერ კიდევ აპრილში ინდიან უელსში თამაშისას მიიღო. რაზანოც ფეხის დაზიანების შემდეგ აღდგენით კურსს აგრძელებს. მან ეს ტრავმა პონტე ვედრას ტურნირზე მიიღო.

■ ■ ■

ჯერჯერობით ერთი დანაკლისია მამაკაცთა ბადეში. მარცხენა მუხლის ტრავმის გამო უიმბლდონზე ვერ ითამაშებს ჩეხი **რადეკ შტეპანეკი**. ამავე მიზეზით ვეტერანი ჩოგბურთელი დევისის თასზე ჩილესთან მეოთხედფინალურ მატჩს გამოტოვებს.

ჩეხეთის ნაკრების კაპიტანმა **იაროსლავ ნავრატილმა** განაცხადა, რომ შტეპანეკის ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. აღსანიშნავია, რომ რადეკმა კარიერაში პაუზა მარტში აიღო. მაშინ მან მიზეზად დაღლილობა დაასახელა, მაგრამ ჩეხს მუხლის ტრავმაც დაუდგინეს, რომლის მკურნალობას დაგეგმილზე ხანგრძლივი დრო დასჭირდება.

## მიურეი თურქეთთან არ იქნება

ბრიტანული ჩოგბურთის ლიდერი ენდი მიურეი არ აპირებს დევისის თასზე თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაშს. ეს არის გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებელი მატჩი.

23 წლის ჩოგბურთელმა უკვე აუწყა თავისი გადაწყვეტილება ბრიტანეთის ნაკრების კაპიტან **ლეონ სმიტს**. ამასთან, მიურეიმ დაამატა, რომ ამ კონკრეტულ შეხვედრაში უარის თქმა იმას არ ნიშნავს, რომ ის საერთოდ უარს ამბობს ნაკრების დახმარებაზე: მომავალში ენდი ისევ აპირებს დევისის თასზე თამაშს. მიურეი დარწმუნებულია, რომ ბრიტანელები თურქეთს ლიდერის გარეშეც გაუმკლავდებიან.

## რაფა ტოკიოში ითამაშებს

იაპონიის ჩოგბურთის ასოციაციამ გამოაცხადა, რომ ქვეყნის მთავარ ტურნირზე - იაპონიის ღია პირველობაზე კარიერაში პირველად ითამაშებს ATP-ის რეიტინგის ლიდერი **რაფაელ ნადალი**. ტურნირი 4-10 ოქტომბერს ტოკიოში გაიმართება

იაპონიის ღია პირველობის საპრიზო ფონდი 1.2 მილიონ დოლარს შეადგენს. უკვე ცნობილია ნადალის ორი მომავალი მეტოქე - ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და ამერიკელი **ენდი როდიკი**.

## კოვბოი სტადიუმზე ჩოგბურთი არ იქნება

დალასის საფეხბურთო სტადიონზე აღარ გაიმართება დაგეგმილი საჩვენებელი ტურნირი, რომელშიც თანამედროვე ჩოგბურთის ვარსკვლავებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. 10 ივლისს, უიმბლდონის დასრულებიდან ერთი კვირის თავზე, სახელდახელოდ მოწყობილ კორტზე უნდა ეთამაშათ **მარია შარაპოვას, სერენა უილიამსს, ენდი როდიკსა** და **ჯონ ისნერს**. Cowboys Stadium-ის წარმომადგენლებს ტურნირების გაუქმების მიზეზი არ დაუსახელებიათ. მათ მხოლოდ ის განაცხადეს, რომ შეჯიბრების სხვა თარილი განსაზღვრული არ არის და მაყურებელს შეძენილი ბილეთების ფულს დაუბრუნებენ.

ოლიმპიზმი

## ლოზანაში კანდიდატებს დაასახელებენ

22-23 ივნისს შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში საერთაშორისო [illegible]ოლიმპიური კომიტეტის სხდომა გაიმართება. ძირითადი საკითხი 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის კანდიდატი ქალაქების დასახელება იქნება. ამ მომენტისთვის „თეთრი“ ოლიმპიადის მასპინძლობაზე სამი ქალაქი აცხადებს პრეტენზიას: მიუნხენი (გერმანია), ანსი (საფრანგეთი) და პიონჩანგი (ჩრდილოეთ კორეა).

გარდა ამისა, ალმასკომი მოისმენს ახალ ინფორმაციას ლონდონი-2012-ის, სოჭი-2014-ისა და რიო დე ჟანეირო-2016-ის მზადების შესახებ. და კიდევ, 23 ივნისს ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიურ დღეს აღნიშნავს და პრიზებს დაარიგებს „ქალი და სპორტის“ ნომინაციაში.

ჩოგბურთი

# ტომას მუსტერი არდადეგებიდან ბრუნდება

ლეგენდარულმა ავსტრიელმა ჩოგბურთელმა, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ტომას მუსტერმა** პროფესიულ დონეზე თამაშის განახლების გადაწყვეტილება მიიღო. 42 წლის ჩოგბურთელმა, რომელმაც პროფესიული კარიერა 11 წლის წინ დაასრულა, სპეციალური მიწვევა მიიღო ჩელენჯერის ტურნირის - Nord/LB Open-ის ორგანიზატორებისგან. შეჯიბრება 28 ივნისს გერმანიის ქალაქ ბრაუნშვაიგში დაიწყება. თავად მუსტერის სიტყვებით, ის „ჩელენჯერის“ კატეგორიის სხვა ტურნირებშიც აპირებს მონაწილეობას. ეს სერია რანგით მეორეა ATP-ის ტურნირების სერიის შემდეგ.



მუსტერმა, რომელსაც კარიერაში 44 ტიტული აქვს მოგებული, განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ხიბლავს ჩოგბურთის თამაში და მოენატრა სატურნირო ატმოსფერო.

*„საკუთარ თავს მაღალ მიზნებს არ ვუსახავ, მაგრამ შევეცდები ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვაჩვენო. ვნახოთ, რა შედეგს მოიტანს ეს წამოწყება,* - ამბობს ავსტრიელი. - *დიდი შრომისა და სწორი მომზადების შემთხვევაში ბევრის მიღწევაა შესაძლებელი“.*

თავისი ბოლო ოფიციალური მატჩი მუსტერმა 1999 წელს როლან გაროსზე ითამაშა, სადაც პირველივე წრეში დამარცხდა. *„ფორმალურად კარიერა არასოდეს დამისრულებია. იმ მატჩის შემდეგ გამოვაცხადე, რომ პაუზას ვიღებდი. ახლა, უბრალოდ, არდადეგებიდან ვბრუნდები“*, - აღნიშნა მუსტერმა.

ტომასი ერთადერთი ავსტრიელია, რომელსაც „დიდი სლემის“ ტურნირზე გაუმარჯვია. მან 1995 წელს როლან გაროსის ფინალში სამ სეტში დაამარცხა ამერიკელი **მაიკლ ჩანგი**. 1996 წლის დასაწყისში, ის ექვსი კვირის განმავლობაში ლიდერობდა ATP-ის კლასიფიკაციას, კარიერის განმავლობაში კი 12 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. 2003 წელს მუსტერი ვეტერანთა ტურნირებში გამოდიოდა, 2004-06 წლებში კი დევისის თასზე ავსტრიის ნაკრების კაპიტანი იყო.

კალათბურთი

# სპლიტერმა საბონისის რეკორდი გაიმეორა

სენსაციურად დასრულდა ესპანეთის ჩემპიონატის ფინალური სერია. „კახა ლაბორალმა“ ზედიზედ სამი მატჩი მოუგო ევროლიგის გამარჯვებულსა და მთავარ ფავორიტ „ბარსელონას“ და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ახალი ჩემპიონის წამყვანმა ცენტრმა ტიაგო სპლიტერმა არვიდას საბონისის უნიკალური მიღწევა გაიმეორა. ლეგენდარულმა ლიტველმა 1993-94 წლების სეზონში მადრიდის „რეალში“ თამაშისას ორი პრიზი მოიგო - რეგულარული ჩემპიონატისა და პლეი ოფის ფინალური სერიის MVP გახდა. 16 წლის შემდეგ ამის გაკეთება ბრაზილიელმა კალათბურთელმა შეძლო.

ისევე როგორც საბონისი, სპლიტერიც ესპანეთის ორგზის ჩემპიონია (2008, 2010). გარდა ამისა, სამჯერ მოიგო ქვეყნის თასი (2004, 2006, 2009) და ოთხჯერ ესპანეთის სუპერთასი (2006, 2007, 2008, 2009). ბრაზილიელისთვის ევროპაში ერთადერთი მიუღწეველი ტიტული ევროლიგაზე გამარჯვებაა.

ტიაგო რეგულარულ ჩემპიონატში საშუალოდ 14.2 ქულას და 7.8 მოხსნას აგროვებდა, ფინალური სერიის სამ მატჩში კი მისი მონაგარი 11.3 ქულას, 8.3 მოხსნასა და 2.3 შედეგიან პასს შეადგენდა.

ფინალის მესამე მატჩის დასრულების შემდეგ „კახა ლაბორალის“ პრეზიდენტმა **ხოსენ კერეხეტამ** სააგენტო EFE-ს განუცხადა, რომ ბრაზილიელი ცენტრი მომავალი სეზონიდან NBA-ში წასვლას აპირებს და კლუბი მას ამ ნაბიჯის გადადგმაში ხელს არ შეუშლის. შეგახსენებთ, რომ NBA-ში სპლიტერზე უფლებები „სან ანტონიო სპურსს“ გააჩნია.

# უეიდის სახელობის ოლქი

### ფილ ჯექსონს ორმილიონიანი ბონუსი ელის



მაიამი-დეიდის ოლქის (ფლორიდას შტატი) ადმინისტრაციამ ერთხმად დაუჭირა მხარი ერთ მეტად უცნაურ გადაწყვეტილებას. ოლქს დროებით „მაიამი-უეიდი“ დაერქმევა - „მაიამი ჰიტის“ ლიდერის **დუეინ უეიდის** საპატივცემულოდ. ამ აქციით ადმინისტრაცია ცდილობს დაარწმუნოს კალათბურთელი, არ დატოვოს კლუბი მიმდინარე ზაფხულს. შეგახსენებთ, რომ 1 ივლისიდან უეიდი თავისუფალი აგენტი გახდება და მას ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, სად გააგრძელებს კარიერას.

ოლქის ახალი სახელს პირველიდან შვიდ ივლისამდე შეინარჩუნებს. სწორედ ამ პერიოდში ელიან თავისუფალი აგენტების ბაზარზე აქტიურობას.

■ ■ ■

ამასობაში, ერთი ახალი ამბავი გავრცელდა კიდევ ერთ თავისუფალ აგენტზე - **ლებრონ ჯეიმსზე**. CBS Sports-ის ინფორმაციით, ბოლო ორი სეზონის საუკეთესო კალათბურთელი არ აწარმოებს მოლაპარაკებებს თავის ამჟამინდელ კლუბ „კლივლენდ კავალიერზთან“.

მიუხედავად ამისა, „კლივლენდის“ ხელმძღვანელობა აგრძელებს მუშაობას შემადგენლობის გაძლიერებაზე. კერძოდ, კლუბის ახალი გენერალური მენეჯერი **კრის გრანტი** სხვა გუნდებისგან დრაფტის პირველ რაუნდში მოთამაშის არჩევის უფლების შეძენას აპირებს.

■ ■ ■

მთელი საკალათბურთო სამყარო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალური სერიის მეშვიდე მატჩს ელოდება, რომელშიც „ლეიკერსი“ „ბოსტონს“ უმასპინძლებს. როგორც ESPN იტყობინება, ფინალური სერიის მოგებისთვის კალიფორნიელთა დამრიგებელი **ფილ ჯექსონი** არამარტო მე-11 საჩემპიონო ბეჭედს, არამედ ბონუსის სახით 2 მილიონ დოლარს მიიღებს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მეექვსე მატჩის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ.

კონტრაქტის თანახმად, რომელსაც ამ ზაფხულს გასდის ვადა, ჯექსონი წლევანდელი სეზონისთვის 12 მილიონ დოლარს მიიღებს, რასაც ჩემპიონატში გამარჯვების შემთხვევაში 2 მილიონი დაემატება.

კრივი

# ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჰეი გამოიწვია

მძიმე წონაში სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი, ბრიტანელი **ოდლი ჰარისონი** თავის თანამემამულესთან, სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონ **დევიდ ჰეისთან** ჩხუბს დათანხმდა.

2010 წლის 13 ნოემბერს, ჰეის წინააღმდეგ რინგზე გასასვლელად ჰარისონს მილიონ[illegible] ფუნტი სტერლინგი შესთავაზეს. ახლა დევიდ ჰეი თავისი სავარაუდო [illegible] პრომოუტერებს უნდა შეხვდეს და დაადასტუროს ამ ბრძოლაში მონაწილეობის თანხმობა.

ჯერჯერობით სკანდალური გამონათქვამებით ცნობილ ჰეის კომენტარი არ გაუკეთებია ჰარისონის გადაწყვეტილებაზე. ამასთან, დევიდის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ჰეისა და ოდლის ჩხუბის იდეის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ჰეის გერმანელი პრომოუტერები მიიჩნევენ, რომ WBA-ის ჩემპიონმა უნდა მიიღოს ეს გამოწვევა და ტიტული დაიცვას.

როგორც ბრიტანული პრესა წერს, იმ შემთხვევაში, თუ ჰარისონისა და ჰეის ჩხუბი გაიმართება, ეს იქნება 1993 წლის შემდეგ [illegible] მოვლენა ბრიტანული კრივის ისტორიაში. 17 წლის წინ, WBC-ის ტიტულისთვის [illegible] ორი ბრიტანელი - **ლენოქს ლუისი** და **ფრენკ ბრუნო** ხვდებოდნენ ერთმანეთს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# ვაკანსიები არ არის



**ფელიპე მასასთან** და **მარკ უებერთან** ახალი კონტრაქტების მოულოდნელად და ოპერატიულად გაფორმებამ შესამჩნევად შეამცირა ვაკანტური ადგილები ფორმულა 1-ში. ჟურნალი Auto Motor und Sport სატრანსფერო ბაზარზე შექმნილ სიტუაციას აანალიზებს.

ბაზარზე ამჟამად სიჩუმემ დაისადგურა: გუნდებში ყველაფერი ისე დარჩება, როგორც ამჟამადაა - მარკ უებერი „რედ ბულში", ფელიპე მასა - „ფერარიში", **რობერტ კუბიცა** - „რენოში". „ფერარიში", „მაკლარენსა" და „მერსედესში" ადგილები 2012 წლის ბოლომდე დაკავებულია. მოკლედ, უჩვეულო სიმშვიდეა.

„რედ ბულმა" მარკ უებერთან ახალი, ერთწლიანი შეთანხმების მიღწევით 2012 წლის სეზონისთვის ერთი ვაკანსია შეინარჩუნა. ის შეიძლება „ახალმა ფეტელმა" (**სებასტიან ბუემი**) შეავსოს „ტორო როსოდან", მაგრამ ამ საკითხში ჯერ კონკრეტული არაფერია. ამჟამად რობერტ კუბიცას არ აქვს არანაირი სხვა ვარიანტი გარდა იმისა, რომ ამჟამინდელ გუნდში დარჩეს. „ფერარიში" მისი გადასვლა განიხილებოდა, მაგრამ „სკუდერიას" შემადგენლობა უცვლელი დარჩა. უფრო მეტიც, მასა „ფერარიში" 2012 წელსაც იქნება.

**ფერნანდო ალონსო** და მასა კარგად უგებენ ერთმანეთს. სტამბოლში თურქეთის გრან-პრიზე უებერსა და **სებასტიან ფეტელს** შორის შეტაკებამ და შემდგომმა საქმის გარჩევამ კარგად დაანახა „ფერარის", თუ რამდენად მნიშვნელოვანია გუნდში ჰარმონია. ალონსოსა და კუბიცას წყვილის შემთხვევაში კი საჯინიბო დენთის კასრზე იჯდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი პილოტი შესანიშნავად უგებს ერთმანეთს ტრასის მიღმა, რბოლამ მეგობრობა არ იცის.

**ტიმო გლოკის, ადრიან სუტილისა** და **ნიკ ჰაიდფელდისთვის** „რენო" შეიძლება ოცნების გუნდად იქცეს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ რუსი **ვიტალი პეტროვი** ვერ შეძლებს მომავალ წელს სასპონსორო თანხების მოზიდვას. *„ვშიშობ, რომ ათი საუკეთესო ადგილი დაკავებულია"*, - აღნიშნა ჰაიდფელდმა. ასე რომ, იმ პილოტებმა, რომლებიც ფორმულა 1-ში ადგილებს ეძებენ, „ფორს ინდიას", „უილიამსსა" ან „ზაუბერს" უნდა მიმართონ. თუმცა „ფორს ინდიას" უკვე ისედაც ჰყავს სამი პილოტი - ადრიან სუტილისა და **ვიტანტონიო ლიუცის** უკან **პოლ დი რესტა** დგას, რომელიც მზად არის ტრასაზე გასასვლელად.

„უილიამსი" არ აპირებს **რუბენს ბარიკელოსთან** განშორებას, რომელიც გუნდის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. *„რუბენსი რომ არა, ჩვენ ბოლო ადგილზე ვიქნებოდით"*, - აღიარებს **ფრენკ უილიამსი**. *„მას არ სჭირდება რვა წრე სიჩქარის ასაკრეფად მაშინ, როცა რბოლაში კრიტიკული მომენტი დგება"*, - თავის მხრივ აღნიშნავს **ნორბერტ ჰაუგი**. **ნიკო ჰიულკენბერგი** კი გუნდის მომავალს წარმოადგენს.

„ტორო როსო" „რედ ბულისთვის" ტალანტების ფაბრიკა გახლავთ, რის გამოც იმ პილოტებს, რომელიც ამ აწყობილი სისტემის მიღმა იმყოფებიან, აქ მოხვედრის მცირე შანსი გააჩნიათ. არც სებასტიან ბუემი და არც **ხაიმე ალგერსუარი** მომავალ წელს მთავარ გუნდში არ გადავლენ და „ტორო როსოში" გააგრძელებენ პროგრესს, შესაბამისად, ამ პატარა საჯინიბოს შემადგენლობაში ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

პრინციპში, „ზაუბერს" 2011 წლისთვის ორი ვაკანსია აქვს. ყოველ შემთხვევაში, ერთი ადგილი იმ პილოტს ერგება, რომელიც გუნდში სპონსორს მიიყვანს ან საჯინიბოსთვის ახალ ბაზარს იპოვის. პირველ რიგში, ვგულისხმობთ მექსიკელ **სერხიო პერესს**, რომელიც GP2-ის სერიის ტიტულისთვის იბრძვის. პერესს მხარს უჭერს **კარლოს სლიმი** - მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი.

ის პილოტები, რომლებიც ადგილის გარეშე რჩებიან, სამუშაოს მოძებნიან „ლოტუსში", „ვირჯინში", „ისპანიასა" და მე-13 გუნდში, რომელიც შემდეგ სეზონში უნდა გამოჩნდეს. მიიჩნევა, რომ ამის ყველაზე მეტი შანსი **ნიკოლა ტოდტის** გუნდ ART-ს აქვს.

P. S. ზემოთ გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი ვახსენეთ და გუშინ მასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. „მერსედეს გრან-პრის" ტესტპილოტმა, შესაძლოა, 2011 წელს DTM-ის სერიაში სცადოს ძალები.

# ჩემპიონთა შემოტევა

კვირას, მონრეალში დასრულებული კანადის გრან-პრი ბრიტანელმა **ლუის ჰემილტონმა** მოიგო. 2008 წლის ჩემპიონს პოდიუმზე მხარს უმშვენებდნენ თანაგუნდელი - 2009 წლის ტრიუმფატორი **ჯენსონ ბატონი** და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო**. როგორც აღმოჩნდა, ეს მხოლოდ მეცხრე შემთხვევაა ფორმულა 1-ის 60-წლიან ისტორიაში, როცა რბოლის შედეგების მიხედვით საპრიზო ადგილები უმაღლესი ტიტულის მფლობელებმა დაიკავეს.

ბოლოს ასეთი რამ 1991 წელს ფინიქსში, ამერიკის გრან-პრის დრო მოხდა, როცა პოდიუმზე იმ მომენტისთვის ორგზის ჩემპიონი **აირტონ სენა** და სამ-სამი ტიტულის მფლობელი - **ალენ პროსტი** და **ნელსონ პიკე** ავიდნენ.

ჩემპიონთა „შემოტევა" კი 1953 წელს „სილვერსტოუნიდან" დაიწყო (**ალბერტო ასკარი, ხუან მანუელ ფანხიო** და **ნინო ფარინა**), 1965 წელს ორჯერ დაფიქსირდა მსგავსი შემთხვევა - სამხრეთ აფრიკაში (**ჯიმ კლარკი, ჯონ სერტისი, გრემ ჰილი**) და დიდ ბრიტანეთში (იგივე ტრიო, უბრალოდ ჰილმა და სერტისმა გაუცვალეს ერთმანეთს ადგილები). 1966 წელს, ჰოლანდიის ზანდვორტში **ჯეკ ბრებემის** შემდეგ ფინიშზე მივიდნენ გრემ ჰილი და ჯიმ კლარკი, 1967 წელს მონცაში პოდიუმი ასე გამოიყურებოდა - სერტისი, ბრებემი და კლარკი, მექსიკაში - კლარკი, ბრებემი და **დენი ჰულმი**. ამ შემთხვევების გარდა, საჩემპიონო ტრიო პოდიუმზე კიდევ ორჯერ ავიდა - 1970 წელს სამხრეთ აფრიკაში (ბრებემი, ჰულმი და **ჯეკი სტიუარტი**) და 1973 წელს - ბრაზილიაში (**ემერსონ ფიტიპალდი**, სტიუარტი და ჰულმი).

# მაკლარენი ვერ ისვენებს

ბოლო ორი სეზონის ტრიუმფატორი - ბრიტანული საჯინიბო „მაკლარენი", რომლის პილოტებმა **ლუის ჰემილტონმა** და **ჯენსონ ბატონმა** თურქეთსა და კანადაში ზედიზედ ორი დუბლი შეასრულეს, ბრიტანეთის გრან-პრისთვის სერიოზულ ტექნიკურ განახლებას გეგმავს.

*„სილვერსტოუნისთვის" განსაკუთრებულად ვემზადებით. უამრავ ტექნიკურ სიახლეს შევთავაზებთ ფორმულა 1-ის მოყვარულებს და იმედგაცრუებული დავრჩები, თუ ეს შესაბამის შედეგს არ მოიტანს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაჩერება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არა მარტო „რედ ბული", არამედ სხვა გუნდებიც დაგვეწევიან და გაგვისწრებენ"*, - ამბობს „მაკლარენის" ბოსი **მარტინ უიტმარში**.

კალენდარში მომდევნო რბოლა - ევროპის გრან-პრია, რომელსაც ვალენსია უმასპინძლებს, თუმცა ამ ეტაპისთვის ბრიტანელები განსაკუთრებულ სიახლეებს არ გვპირდებიან, რადგან ესპანური ტრასის მთავარი მახასიათებლები ძალიან ჰგავს მონრეალის ტრასას. იქაც უხვად არის სწორი მონაკვეთები და შედარებით ნელი მოსახვევები. „მაკლარენის" მთავარი კონკურენტის - „რედ ბულის" შეფ **კრისტიან ჰორნერს** მიაჩნია, რომ ეს ტრასა ყველაზე მეტად სწორედ ბრიტანულ საჯინიბოს აწყობს. ხოლო „სილვერსტოუნი", შემდეგ კი „ჰოკენჰაიმი" და „ჰუნგარორინგი", უფრო „რედ ბულის" პილოტებისადმი იქნება კეთილგანწყობილი.



## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ასირისკა-ლანდსკრონა | 4:1 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პკვ5-ესპოო | 0:1 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბამბერგი-სკაილაინერსი | 72:70 |
| **იტალია** | |
| მილანი-სიენა | 75:88 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ისტბური** | |
| **დოლგოპოლოვი**-უორდი | 6:3, 6:4 |
| **ისტომინი**-მარჩენკო | 6:1, 6:4 |
| ბენეტო-**გარსია ლოპესი** | 6:4, 3:6, 6:7 |
| **ლოდრა**-სიმონი | 6:1, 6:3 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| ხირალდო-**სტახოვსკი** | 3:6, 4:6 |
| **მალისე**-ფალა | 6:3, 3:6, 6:3 |
| **ბეკერი**-გროილი | 6:3, 6:1 |
| **ტიპსარევიჩი**-ლუჩაკი | 6:3, 6:3 |
| **WTA. ისტბური** | |
| **ბარტოლი**-მარტ. სანჩესი | 5:7, 6:4, 7:6 |
| **სტოსური**-ბალტაჩა | 6:7, 6:1, 6:0 |
| კლაისტერსი-**აზარენკა** | 6:7, 4:6 |
| კუზნეცოვა-**მაკაროვა** | 4:6, 5:7 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| **პეტკოვიჩი**-ს. ზახავალოვა | 6:2, 7:6 |
| ციბულკოვა-**ფლიპკენსი** | 2:6, 3:6 |
| შვედოვა-**დულგერუ** | 6:3, 3:6, 4:6 |
| **ანენი**-ბაროისი | 7:5, 6:3 |

## TV პროგრამა

**18 ივნისი. პარასკევი**

**I არხი**

**15:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**15:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. D ჯგუფი. გერმანია-სერბეთი (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**17:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. C ჯგუფი. სლოვენია-აშშ (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. C ჯგუფი. ინგლისი-ალჟირი (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

**მზე**

**13:00** იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:05** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ოსერი.
**08:50** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ჩელსი-ატლეტიკო.
**12:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**12:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ლივერპული.
**14:35** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**15:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ბორდო.
**17:15** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ნაპოლი.
**19:00** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მარსელი.
**20:50** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.
**22:40** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შალკე.
**00:30** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**01:45** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მილანი-რეალი.
**03:35** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.
**05:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.

**EUROSPORT**

**10:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი.
**12:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**12:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი.
**14:25** ახალი ამბები.
**14:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**17:30** ახალი ამბები.
**17:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**17:45** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:00** ახალი ამბები.
**20:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**20:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:15** ახალი ამბები.
**22:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:30** ბოულინგი. PBA. ტელეჟურნალი.
**23:30** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. გერმანია.
**00:30** ახალი ამბები.
**00:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:10** ახალი ამბები.
**01:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი.
**02:00** პრო-რესტლინგი.
**03:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

## ამბები

**ჰოკეი**

### ჰაშეკის ჩაფხუტი და ქველმოქმედება

ჩეხეთში ონლაინ-აუქციონზე ლეგენდარული მეკარის **დომინიკ ჰაშეკის** ჩაფხუტი გაიტანეს. ეს ის სათამაშო ატრიბუტია, რომელმაც მეკარე 2009-10 წლების სეზონში „პარდუბიცეში" თამაშისას იყენებდა. შეგახსენებთ, რომ „პარდუბიცე" წელს ჩეხეთის ჩემპიონი გახდა.

ჩაფხუტის საწყისი ფასი სულ რაღაც 40 ევრო იყო, მაგრამ ვაჭრობამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ საღამოსთვის ფასი დაახლოებით 5 ათას ევრომდე ავიდა.

აუქციონი 24 ივლისამდე გაგრძელდება და ჩაფხუტის გაყიდვიდან შემოსული თანხა საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

აქვე შეგახსენებთ, რომ სტენლის თასის ორგზის მფლობელი და ოლიმპიური ჩემპიონი გაისად ჰოკეის კონტინენტურ ლიგაში ითამაშებს. 45 წლის ჰაშეკმა რამდენიმე დღის წინ მოსკოვის „სპარტაკთან" გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი.

### დასწრებამ იკლო

ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე 2009-10 წლების სეზონში დასწრების მაჩვენებლები გამოქვეყნდა. როგორც ირკვევა, გასულ რეგულარულში საშუალოდ ერთ მატჩზე 17 072 მაყურებელი დადიოდა. ეს 2.5 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე შარშანდელ სეზონში.

თუმცა მთელ რიგ გუნდებს მაყურებელი დაემატა. ყველაზე მეტი - 5-პროცენტიანი მოგება „ლოს ანჯელესს" ჰქონდა. ასევე მოგებაში დარჩნენ - „ბოსტონი", „სენტ ლუისი", „ვანკუვერი", „ვაშინგტონი", „პიტსბურგი" და „სან ხოსე". ძველ დონეზე დარჩნენ - „მონრეალი", „კალგარი", „ედმონტონი" და „ბაფალო". ყველაზე მეტად წაგებაში არიან - „ფინიქსი" (-19 პროცენტი), „ანაჰაიმი" (-10.7) და „კოლორადო" (-9.6). სამაგიეროდ, მაყურებელთა ინტერესი პლეი ოფში ბოლო წლების მიხედვით სარეკორდო იყო.

### დეტროიტმა ვეტერანი დაიტოვა

ბოლო დღეებში „დეტროიტ რედ უინგზის" ბანაკიდან საკმაოდ ხშირად ჩნდება ახალი სატრანსფერო ამბები. რამდენიმე დღის წინ ამ გუნდმა ფინური ტპსდან თავდამსხმელი **ილარი ფილპულა** გაიფორმა, ახლა კი „რედ უინგზმა" თავისი ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდის **ტოდ ბერტუცის** შენარჩუნება შეძლო.

ფორვარდთან, რომელმაც გასული სეზონის რეგულარულში 44 ქულა (18 გოლი+26 შედეგიანი პასი) დააგროვა, ორწლიან კონტრაქტს მოეწერა ხელი. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე „დეტროიტის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტები გააგრძელა შვედ ლეგიონერებთან - მცველ **ნიკლას ლიდსტრიომთან** და ფორვარდ **ტომას ჰოლმსტრიომთან**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# ფედერერი: შვეიცარია თუ სამხრეთ აფრიკა?

## დიადმა ჩოგბურთელმა არ იცის, ვის უქომაგოს მსოფლიოს ჩემპიონატზე

ცოტამ თუ იცის, რომ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელ **როჯერ ფედერერს** ორმაგი მოქალაქეობა აქვს - შვეცარიისა და სამხრეთ აფრიკის. საქმე ისაა, რომ როჯერის დედა - **ლინეტე ფედერერი** (ქალიშვილობის გვარი - **დურანდი**) სამხრეთ აფრიკაში დაიბადა და დღემდე ამ ქვეყნის მოქალაქედ მიიჩნევა.

ახლა ფეხბურთის დიდი მოყვარული ფედერერი გაორებულ სიტუაციაში იმყოფება: ვის უქომაგოს მსოფლიოს ჩემპიონატზე - შვეიცარიას, რომელსაც საერთაშორისო ტურნირებზე წარმოადგენს და სადაც 40 წელია მისი მშობლები ცხოვრობენ თუ დედამისის სამშობლოს? სინამდვილეში ჩოგბურთელი უბრალოდ ბედნიერია, რომ ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკაში ტარდება. *„როგორც კი გავიგე, რომ სამხრეთ აფრიკამ ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მიიღო, უბედნიერესი ადამიანი ვიყავი,* - ამბობს ფედერერი. - *ზუსტად ასეთი გრძნობა მქონდა მაშინ, როცა შვეიცარია ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობდა“.*

როგორც ვთქვით, ყველა დიდ ტურნირზე ფედერერი შვეიცარიის სახელით თამაშობს, მაგრამ ვიწრო წრეებისთვის ცნობილია, რომ ზოგიერთ პატარა ტურნირზე „ეროვნების“ გრაფაში როჯერი „სამხრეთ აფრიკას“ წერს. ის რამდენჯერმე სტუმრობდა ამ ქვეყანას. და ახლა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატი ძალას იკრებს, ჩოგბურთელი არ იღლება კოლეგებისთვის ერთი და იმავეს გამეორებისგან: *„სამხრეთ აფრიკა ყველაზე ლამაზი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც ნებისმიერი სტუმრის გაოცება შეუძლია. იქაური მცხოვრებლები კეთილგანწყობილნი არიან“.* ფედერერს სჯერა, რომ ჩემპიონატის ჩატარება ბევრ სასიკეთოს შესძენს ქვეყანას, რომელმაც წინა წლებში უამრავი სირთულე გამოიარა. სხვათა შორის, გამორიცხული არ არის, რომ პროფესიული კარიერის დასრულების შემდეგ როჯერი სამხრეთ აფრიკაში გადავიდეს საცხოვრებლად.

57 წლის ლინეტე ფედერერი პატარა ქალაქ კემპტონში დაიბადა, რომელიც იოჰანესბურგიდან 20 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. მის მშობლებს ყოველდღიური მძიმე შრომა უწევდათ: როჯერის ბაბუა ქიმიურ ფაბრიკაში მუშაობდა, ბებია - საავადმყოფოში მთავარი ექთანი იყო. ოჯახი შავკანიან მოსახლეობას არ განეკუთვნებოდა, მაგრამ ლინეტეს ადრეული ასაკიდან ასწავლიდნენ: *„მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რა ფერისაა, ჩვენ ყველანი ერთნაირები ვართ“.* ლინეტე ინგლისურს სწავლობდა, თუმცა აფრიკელების ენაც იცოდა. 1970 წელს მან როჯერის მომავალი მამა - **რობერტი** გაიცნო, რომელიც შვეიცარიიდან ჩავიდა სამხრეთ აფრიკაში. შემდეგ ისინი ბაზელში გადაბარგდნენ.

ლინეტე ფედერერმა შვეიცარიულ გაზეთ „ბერნერ ცაიტუნგს“ განუცხადა: *„ჩვენ, სამხრეთაფრიკელები, - სპორტული ერი ვართ. მახსოვს, რადიოგადაცემების 90 პროცენტი სპორტს ეძღვნებოდა. როცა უკვე შვეიცარიაში გადავედით საცხოვრებლად, ჩემი ქმარი მუდმივად ფეხბურთით იყო გატაცებული. პატარა როჯერი კი ცნობილი ფეხბურთელების სურათებს აგროვებდა“.*

*„დღემდე აგროვებს?“* - ჰკითხა ჟურნალისტმა. *„დიახ, შვეიცარიასა და ავსტრიაში გამართული ევროპის ჩემპიონატის წინ თავის კოლექციას დიად ჩოგბურთელებს - შვედ ბიორნ ბორგსა და ამერიკელ ჯონ მაკინროის უჩვენებდა. ახლა ვღელავ: როგორ მოასწრებს როჯერი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის თვალის დევნებას, მან ხომ უიმბლდონზე უნდა ითამაშოს?!“*



საინტერესოა, რომ შვეიცარიისა და ესპანეთის ნაკრებთა მატჩის წინ, ჩოგბურთის ბევრი მოყვარული ამ შეხვედრას კორტზე როჯერ ფედერერისა და **რაფაელ ნადალის** დაპირისპირებას ადარებდა. რაფამ ამ მხრივ აღნიშნა, რომ ჩოგბურთისგან განსხვავებით, ამჯერად შვეიცარიელებს შანსი არ ექნებოდათ. როჯერიც დაეთანხმა, მაგრამ ირონიულად გაიღიმა, თითქოს რაღაც იცოდა. მატჩი შვეიცარიამ 1:0 მოიგო.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge




# უიმბლდონი ვუვუზელების გარეშე



უიმბლდონის ორგანიზატორებმა გულშემატკივრებს კორტებზე სამხრეთაფრიკული საყვირის - ვუვუზელას შეტანა აუკრძალეს, - იუწყება BBC News.

*„ჩვენ იმ საგნების სპეციალური სია შევადგინეთ, რომელთა შეტანა უიმბლდონზე აკრძალული იქნება. სხვა ნივთებთან ერთად აქ ვუვუზელაც მოხვდა. ამ საყვირის ტრიბუნაზე შეტანის ყველანაირ მცდელობას მკაცრად აღვკვეთთ“,* - ამბობენ უიმბლდონის საორგანიზაციო კომიტეტში.

საჩოგბურთო ტურნირებზე, მათ შორის უიმბლდონზე, გულშემატკივრები ისე არ იქცევიან, როგორც სხვა სპორტული ღონისძიებების სტუმრები. აქ ჩოგბურთის მოყვარულები ცდილობენ, ჩუმად იყვნენ და მოთამაშეებს კონცენტრაციაში ხელი არ შეუშალონ.

ვუვუზელები სპორტის მოყვარულებს შორის პოპულარობით ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების შემდეგ სარგებლობს. ჩემპიონატის ყოველ მატჩს ფონად სწორედ ამ საყვირის ხმა გასდევს, რაც მოთამაშეების, მაყურებლების, ტელეტრანსლაციების კომენტატორებისა და ჟურნალისტების სამართლიან აღშფოთებას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ვუვუზელას ხმა ბევრს აღიზიანებს, ფიფა-მ გულშემატკივრებს ნება დართო, ამგვარად შეიარაღებული გამოცხადდნენ ტრიბუნებზე.

ასეთი პოპულარობის მიუხედავად, სამხრეთ აფრიკის საზღვრებს გარეთ ვუვუზელების აკრძალვა დაიწყეს. ასე მაგალითად, აფრიკული საყვირები აიკრძალა გერმანიაში მასობრივი ღონისძიებების დროს, აგრეთვე ბრიტანეთში გასამართ, სხვადასხვა ტურნირზე.

# მარიას ახალი საყურეები

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მარია შარაპოვა** კვლავაც აქტიურად უხამებს ერთმანეთს რეკლამასა და პრესტიჟულ ტურნირებზე გამოსვლას. ისევე როგორც „დიდი“ სლემის“ ყველა ტურნირის წინ, შარაპოვამ ამჯერადაც კომპანია Tiffany-სთან ერთად წარადგინა საყურეები, რომლითაც ის უიმბლდონის კორტებზე გავა.

ამჯერად რუს ჩოგბურთელს დაამშვენებს ბრილიანტებიანი ვერცხლის საყურე, რომელიც დიზაინერ **ელზა პერეტის** კოლექციიდან არის. კოლექციის სახელწოდებაა - Diamonds by the Yard.

„ასეთი დახვეწილი სამკაულით კორტზე გასვლა იმას ნიშნავს, რომ ბრილიანტის გამოყენება ნებისმიერ ადგილასა და ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. მოხარული ვარ, რომ თამაში ამ ლამაზი და ელეგანტური საყურით მომიწევს“, - განაცხადა ჩოგბურთელმა.

შარაპოვასა და Tiffany-ის მრავალწლიანი თანამშრომლობით შეიქმნა მთელი კოლექცია საყურეებისა, რომლითან მარია „დიდი სლემის“ ტურნირებზე თამაშობდა. კოლექციას სახელიც აქვს - Tiffany for Maria Sharapova.

# დელ პოტრო ექსპრეზიდენტის შვილს ხვდება





არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და ესპანელი **ფელისიანო ლოპესის** პირად ცხოვრებაში სიახლეებია. ეს ჩოგბურთელები ფეხბურთელთა ყოფილ შეყვარებულებს ხვდებიან.

ასე მაგალითად, ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონის დელ პოტროს ახალი გატაცება არგენტინელი მეკარის **ნიკოლას ნავაროს** ყოფილი გერლფრენდია, ფელისიანო კი მადრიდის „რეალის“ ფორვარდის - **კრისტიანო რონალდოს** ყოფილ გოგონას ხვდება.

როგორც diarioshow.com წერს, ხუან დელ პოტრომ არჩევანი არგენტინის ყოფილი პრეზიდენტის **კარლოს მენემის** ქალიშვილზე, 45 წლის **სულემიტაზე** შეაჩერა, რომელიც ცოტა ხნის წინ სკანდალურად დასცილდა ნავაროს. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ეს წყვილი არაერთხელ შეამჩნიეს ბუენოს-აირესის ელიტურ რაიონში - პალერმოში, სულემიტას სახლთან ახლოს.

რაც შეეხება ფელისიანო ლოპესს, მისი რჩეულია მოდელი **მირეა კანალდა**, რომელიც მანამდე პორტუგალიელ ვარსკვლავ კრისტიანო რონალდოს ხვდებოდა. ეს წყვილი ფოტოგრაფებმა პარიზში ექსკურსიის დროს დააფიქსირეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**